



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-3/2
1985

377

675-3

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია


1.1985

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1985, № 1

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



1985 N 1

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

• თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბუაჩიძე, ვ. გრგოლავა (რედაქტორის მოადგილე). გ. თევზაძე, ვ. კეშელავა
ზ. მიქელაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე
(რედაქტორი), ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე),

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джioев О. И. (зам. редактора),
Кешелавა В. В., Микеладзе З. Н., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С.,
Тевзадзе Г. Б., Чавчаваძე Н. З. (редактор).

Ответственный секретарь Ц. А. Шаламбериძე.

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1985.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-46 телефон

გადაეცა წარმოებას 6.12.85; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.6.85; შუკ. № 3641;
ანაწყობის ზომა 7×11¹/₂; ქაღალდის ზომა 7×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი
თაბახი 10.5; საარტიცვო-საგამომცემლო თაბახი 8,6; უე 05246; ტირაჟი 650;
ფასი 85 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|---|
| საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ | 5 |
| მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი | 6 |
| სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო | 7 |
| | 9 |

ფილოსოფია

| | |
|--|----|
| ა. კავლელაშვილი, ნ. ნიკოლაძე იან ჰუსისა და მარტინ ლუთერის ადგილის შესახებ რეფორმაციაში | 11 |
| დ. თევზაძე, რასელის მნიშვნელობის თეორიის პრინციპების შესახებ | 25 |
| რ. ბაბისონი, ჰერაკლიტეს <i>λῆξις</i> -ი და ლოგიკის მეცნიერება | 35 |
| შ. კვანციანი, ნებისყოფის თავისუფლება და სოციალური დეტერმინაცია | 51 |

ფსიქოლოგია

| | |
|--|----|
| ძ. მაყაშვილი, განწყობის ეფექტის თავისებურება ჭანმრთელ და შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებთან | 65 |
| რ. მირცხულაშვილი, ემოციოგენურ სიტუაციაში ფიქსირებული განწყობის სპეციფიკის საკითხისათვის | 79 |
| ბ. ყიფიანი, სოციალური განწყობის ცვლილება სხვადასხვა მოტივაციის პირობებში | 92 |

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

| | |
|---|-----|
| მ. მახარაძე, ისევ რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ | 104 |
|---|-----|

ინფორმაცია

| | |
|--|-----|
| კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე | 119 |
|--|-----|

СОДЕРЖАНИЕ

| | |
|---|-----|
| Информационное сообщение о Пленуме Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза | 5 |
| Михаил Сергеевич Горбачев | 6 |
| Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу | 7 |
| Константин Устинович Черненко | 9 |
| ФИЛОСОФИЯ | |
| А. К. ҚАВЛЕЛАШВИЛИ, Н. Николадзе о месте Ян Гуса и Мартина Лютера в реформации | 11 |
| Д. Д. ТЕВЗАДЗЕ, О принципах теории значения Рассела | 25 |
| Р. С. КАБИСОВ, λόγος Гераклита и наука логики | 35 |
| Ш. Г. ҚВАНЧИАНИ, Свобода воли и социальная детерминация | 51 |
| ПСИХОЛОГИЯ | |
| К. Д. МАҚАШВИЛИ, Особенности эффекта установки у здоровых и больных шизофренией детей | 65 |
| Р. Л. МИРЦХУЛАВА, К вопросу о фиксировании установки в эмоциональной ситуации | 79 |
| Г. Г. ҚИПИАНИ, Изменение социальной установки в условиях различной мотивации | 92 |
| КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ | |
| М. К. МАХАРАДЗЕ, Снова о философском мировоззрении Руставели | 104 |
| ИНФОРМАЦИЯ | |
| Конкурс на лучшие работы молодых ученых | 119 |



საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმი შესახებ

1985 წლის 11 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანხ. მ. ს. გორბაჩოვმა.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი სამგლოვიარო დუმილით სცეს პატივი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაცვალება გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, თანამიმდევრული მებრძოლი კომუნისტის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი ყველგან მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა სკკ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დიდ ყურადღებას უთმობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო იმ კურსის თანამიმდევრულ გატარებას, რომლის მიზანია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლება, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი გაზრდა, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცება.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ დიდი წვლილი შემატა მოძვე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებას, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცებას. მისი ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობის პრინციპები, საკადრისი პასუხი ეძლეოდა იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს, წარმოებდა დაუღალავი ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამაღებელი შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

თვალისჩინებით უფრთხილდებოდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრულ, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს. მას კომუნისტთა აზრებისა და საქმეების ერთიანობა მიაჩნდა ყველა ჩვენი წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდრად, განუხრელი წინსვლა-განვითარების საწინდრად.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა ადამიანები სრულიად საფუძვლიანად რაცხენ პარტიას საზოგადოების ხელმძღვანელ, წარმმართველ ძალად და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საზინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

საქ. ინფ. მარტის
სახ. ინფ. მარტის
გ. მ. ს. გორბაჩოვი

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობელ-ნათესავებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

პოლიტიბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა პოლიტიბიუროს წევრმა ახ. ა. გრომიკომ. მან შეიტანა წინადადება აირჩიონ სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად ახ. მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად ერთსულოვნად აირჩია ახ. მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ახ. მ. ს. გორბაჩოვი. მან უღრმესი მადლობა მოახსენა სკკ ცენტრალური კომიტეტს დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, რომ ძალზე კარგად ესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამასთან დაკავშირებით.

ახ. მ. ს. გორბაჩოვმა სკკ ცენტრალური კომიტეტს აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ერთგულად ემსახუროს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ლენინურ საქმეს, რათა განუსრულდეს ხორციელდებოდეს სკკ საპროგრამო მითითებები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, რათა განუსრულდეს ხორციელდებოდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

მიხეილ სერგის ქე გორბაჩოვი

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი დაიბადა 1931 წლის 2 მარტს სტავროპოლის მხარის კრასნოვარდისკის რაიონის სოფელ პრივოლნოეში, გლეხის ოჯახში.

მალე 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის შედეგ 15 წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორად. 1952 წელს შევიდა სკკ რიგებში. 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იურიდიული ფაკულტეტი), ხოლო 1967 წელს — სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო სწავლული აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობა.

1955 წლიდან მ. ს. გორბაჩოვი კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს სტავროპოლის მხარეში: ალკ სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პროზაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — მეორე და პირველ მდივნად.

1962 წლის მარტში მ. ს. გორბაჩოვი დააწინაურეს სტავროპოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგად, ხოლო ამავე წლის დეკემბერში დაამტკიცეს სკკ სამხარეო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ.

1966 წლის სექტემბერში იგი აირჩიეს პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1968 წლის აგვისტოდან მ. ს. გორბაჩოვი მუშაობს სკკ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1970 წლის აპრილში აირჩიეს პირველ მდივნად.

მ. ს. გორბაჩოვი სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1971 წლიდან. იყო პარტიის XXII, XXIV, XXV და XXVI ყრილობების დელეგატი. 1978 წელს აირჩიეს სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, 1979 წელს — სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატად. 1980 წლის ოქტომბერში მ. ს. გორბაჩოვი სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაყვანილ იქნა პოლიტიბიუროს წევრად. არის სსრ კავშირის მე-8—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ მე-10—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომლებიც მისთვის პარტიას მიუხდევია, შრომობს მისთვის ჩვეული ინიციატივით, ენერგიითა და თავდადებით, თავის ცოდნას, დიდ გამოცდილებასა და

ორგანიზატორულ ნიჭს ახმარს პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, უანგაროდ ემსახურება ლენინის დიად საქმეს, მშრომელი ხალხის ინტერესებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის მ. ს. გორბაჩოვი დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის
უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს
გ ი მ ა რ თ ვ ა
კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს**

შვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკო — გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნისტების იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობისათვის თანამიმდევრული მებრძოლი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკომ მთელი ცხოვრება ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს შეაღია, სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი უცვლელად, მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის რიგებშიც იყო ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს.

კომკავშირული წინამძღოლიდან და სასაზღვრო საგუშაგოს პარტორგიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანმდე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემდე — ასეთია კ. უ. ჩერენეკოს ცხოვრების გზა. პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე მთელი სისასვით გამოვლინდა მისი როგორც ორგანიზატორის, ლენინური ტიპის ხელმძღვანელის ნიჭი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო კ. უ. ჩერენეკოს მეთაურობით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის.

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი ამაღლების, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების კურსი. პარტიის უურადღების ცენტრში მუდამ იყო დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების, საკადრო პოლიტიკის, საბჭოების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის საქმიანობის გააქტიურების, სკოლის რეფორმის, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის ამაღლების საკითხები. წარმოებს აქტიური მუშაობა სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოსამზადებლად, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის შესამუშავებლად.

საერთაშორისო ასპარეზზე პარტიის მეცადინეობა უმთავრესად ხმარდებოდა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან უოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. კ. უ. ჩერენეკოს მოღვაწეობასთან დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, გადაჭრით უკუაგებდნენ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების აგრესიულ ზრახვებსა და მისწრაფებებს, დაუცხრომლად იბრძოდნენ იმპერიალიზმის მიერ განადგობილი გამალეხული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის, ხალხების საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კომუნისტებს, საბჭოთა ხალხს მოუწოდებენ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ პარტიის ლენინური ცენტრალური კომუნისტური პარტიას, საბჭოთა ხალხს

მიტეტისა და მისი პოლიტიურის გარშემო. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყნის მშრომლები სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევენ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმართველ ძალად. პარტიის ყველა საქმე და განზრახვა მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ძირეული ინტერესებისადმი, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებულ სამსახურს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შეიარაღებულია უკვლავი რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. იგი განუხრელად მიაბიჯებს ლენინის მიერ დასახული გზით და ამ გზას არასოდეს არ გადაუხვევს.

პარტია კვლავაც განახორციელებს განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსს. მას თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად მიაჩნია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარების საფუძველზე. მთელი გულმოდგინებით სულ უფრო სრულად განხორციელებს ჩვენი ცხოვრების სფეროში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობის პრინციპი, განუხრელად გატარდება ქვეყნის მშრომელთა მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებულობის განმტკიცების გეზი. პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირს, საბჭოთა ხალხების ძმურ მეგობრობას, რაც ჩვენი საზოგადოების ცხოველმომქმედების საფუძველს წარმოადგენს, განვითარებს სოციალისტურ დემოკრატიას. პარტიას საბჭოთა ადამიანების უზენაეს სულიერ ღირებულებებად მიიჩნდა და მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური მრწამსი, კოლექტივიზმი, პატრიოტიზმი, პროლეტარული სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყოველ დონეს ხმარობდნენ და ხმარობენ სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერებისათვის, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცებისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ჩვენ გვინდა და განუხრელად ვესწრაფვით გამაღებელი შეიარაღების შეწყვეტას, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებას. ჩვენი საბოლოო მიზანია ბირთვული იარაღის სრული მოსპობა მთელ პლანეტაზე, ბირთვული ომის საფრთხის სრული აღმოფხვრა. საბჭოთა კავშირი უცვლელად იღვწოდა და იღვწის კონსტრუქციული და დიპლომატიის, ისეთი პრაქტიკული ღონისძიებებისათვის, რომელთა მეშვეობითაც შემცირდება საერთაშორისო დაძაბულობა, დამყარდება ყველა ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო.

საბჭოთა კავშირი არავის ემუქრება და არ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას. მაგრამ იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა ქვეყანამ ან სახელმწიფოთა კოალიციამ მოიპოვოს ასეთი უპირატესობა. აი ამიტომ ჩვენ კვლავაც დაუცხრომლად ვავაძიებთ სიფხიზლეს, განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ჩვენ სიმპათიით ვეკიდებით და მხარს ვუჭერთ იმ ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უცვლელად ერთგულობს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალების ყოველნაირად შეკავშირების თანამიმდევრულ კურსს.

პარტიის მიზნები ნათელი და კეთილშობილურია. მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მშრომელთა უსაზღვრო ნდობა მოაპოვებინეს. ხალხთან ერთიანობაა პარტიის ძალა. პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობაა ხალხის ძალა.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგულ სამსახურს შეაღია, სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში. იგი დარჩება ჩვენს ხსოვნაში როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, როგორც გულისხმიერი და მომთხონი ხელმძღვანელი, როგორც მშრომელი ადამიანების სპირიტუებისა და საზრუნავისადმი უაღრესად ყურადღებიანი ადამიანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოავლენენ დიდ შეგნებასა და ორგანიზებულობას, იშრომებენ მეტი ენთუზიაზმითა და თავდადებით, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვის ძლიერებას, ღირსეულად ატარებენ დიდი ოქტომბრის დროშას.



კონსტანტინე უსტინის ქე ჩერენეკო

1985 წლის 10 მარტს სამოცდაცამეტი წლისა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამჯის სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკო. შეწყდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გულისცემა. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკომ მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მოახმარა პარტიისა და ხალხის საქმის თავდადებულ სამსახურს, ბრძოლას სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივი სრულყოფისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკო დაიბადა 1911 წლის 21 სექტემბერს გლეხის ოჯახში კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის სოფელ ბოლშაია ტესში. შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერენეკომ სიყრმიდანვე დაიწყო, მოჭამაგირედ მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ, ხოლო შემდეგ პარტიულ ორგანოებში. 1929—1930 წლებში კ. უ. ჩერენეკო იყო სრულიად საქავშირო აღკკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს იგი მოხალისედ წავიდა წითელ არმიასი, სადაც 1931 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1933 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგულშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

არმიისა სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერენეკო მუშაობდა კრასნოიარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოს და უიარის რაიონების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის პარტიული განათლების სამხარეო სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, მდივანად.

1945 წლიდან სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტორგანიზატორთა უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერენეკო მუშაობდა პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის მდივანად, ხოლო 1948 წლიდან — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

1956 წელს იგი დააწინაურეს სკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგის თანადეობაზე. 1960 წლიდან კ. უ. ჩერენეკო მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს იგი დაამტკიცეს სკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966—1971 წლებში კ. უ. ჩერენეკო სკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე, 1971 წლის მარტში იგი აირჩიეს სკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც გაიმართა პარტიის XXV ყრილობის შემდეგ, — სკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანად.

1977 წლიდან კ. უ. ჩერენეკო სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, ხოლო 1978 წლიდან — სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრია.

1984 წლის 13 თებერვალს გამართულმა სკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა კ. უ. ჩერენეკო აირჩია სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანად.

კ. უ. ჩერენეკო იყო სსრ კავშირის 7—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და რუსეთის სფსრ 10—11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1984 წლის აპრილში სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე კ. უ. ჩერენეკო აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

მაღალ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკოს, მან თავი გამოიჩინა როგორც ერთგულმა და მტკიცე მარქსისტ-ლენინელმა, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის აქტიურმა მებრძოლმა. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენეკომ, რომელსაც უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება, საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლექტიურ საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური გეზის შემუშავებისა და განხორციელებისათვის, XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური სტილის განვითარება-განმტკიცებისათვის.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში, სხვა გამოსვლებში კ. უ. ჩერნენკომ ყოველმხრივ დაასაბუთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსი — სსრ კავშირში აშენებული სოციალიზმის სრულყოფის კურსი. მის სახელთან არის დაკავშირებული პარტიის მიერ შემუშავებული განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემდგომი გაღრმავება და დაკონკრეტება, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის მომზადებისათვის მუშაობას.

კ. უ. ჩერნენკო დიდ ძალ-ღონესა და ყურადღებას უთმობდა მასებში პარტიის იდეურ-აღმზრდელი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, მის საკადრო პოლიტიკას, საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის, შემოქმედებითი კავშირების, სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია კ. უ. ჩერნენკოს წვლილი სკოლის რეფორმის შემუშავებაში.

კ. უ. ჩერნენკო დიდად ზრუნავდა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის გაძლიერებისათვის, ეკონომიკის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის. სკკ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოქმნილ სიტყვაში შემდგომი განვითარება პოვა პარტიის აგრარულმა პოლიტიკამ, განისაზღვრა სასურსათო პროგრამის შესრულების, ხალხის ცხოვრების დონის განუზრგელი ამაღლების აქტუალური ამოცანები.

კ. უ. ჩერნენკომ, რომელიც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს მეთაურობდა, ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში კ. უ. ჩერნენკო დაუცბრომლად მუშაობდა ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, გამაღებული შეიარაღების აღაგმვა, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება. ამ პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერდნენ და კვლავაც უჭერენ მხარს საბჭოთა ხალხი, ყველა კეთილი ნების ადამიანი.

კ. უ. ჩერნენკო ყურადღებას უთმობდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობისა და შეკავშირების განვითარებასა და განმტკიცებას. იგი თანამიმდევრულად იღვწოდა მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერისათვის.

კ. უ. ჩერნენკოს ინიციატივით იყო შემუშავებული საბჭოთა კავშირის ბევრი კონსტრუქციული წინადადება, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპების დამკვიდრება.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სამგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოვდა ოთხი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით, აგრეთვე მოძვე ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატი იყო.

კ. უ. ჩერნენკოს საბჭოთა ხალხის, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების დიდი პატივისცემა და ნდობა მქონდა მოპოვებული. იგი მუდამ გამოირჩეოდა გულისხმიერი დამოკიდებულებით მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, პრინციპულობითა და პირადი თავმდაბლობით.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს მთელი ცხოვრება არის ლენინური პარტიის დიდი საქმიანობის ურყევი ერთგულების, კომუნისმის იდეალების გამარჯვებისათვის თავდადებული შრომის მკაფიო მაგალითი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში.

სკკ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ფილოსოფია

ახარისი კავალაშვილი

ნ. ნიკოლაძე იან ჰუსისა და მარტინ ლუთერის აღზიდის შემსახე რეფორმაციაში

I

ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატი ნიკო ნიკოლაძე შუა საუკუნეების რელიგიური მონობისაგან აღამიანის განთავისუფლების საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეფორმაციას. ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის ჰენრიხ ზიბელის წიგნზე — „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“ — რეცენზიაში იგი საყვედურობს ავტორს, რომ რევოლუციის უშუალო გამომწვევი მიზეზების გვერდით ვერ ხედავს კავშირს რევოლუციასა და რეფორმაციას შორის, ვერ აფასებს რევოლუციის მოხდენის საქმეში რეფორმაციის როლსა და მნიშვნელობას, რომელმაც იდეურად მოამზადა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია.

ნიკო ნიკოლაძე რეფორმაციაში განსაკუთრებით გამოყოფს იან ჰუსისა და მარტინ ლუთერის დამსახურებას. ჰუსისა და ლუთერის შეხედულებათა შორის იგი ბევრ საერთოს ხედავს, თუმცა მას არც მათ თვალსაზრისთა შორის განსხვავება რჩება მხედველობიდან.

აღნიშნულ საკითხზე ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისის უკეთ გაცნობისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჰუსისა და ლუთერის შეხედულებების მოკლე გაცნობა.

იან ჰუსის მთელი მოძღვრება ორ იდეას ეფუძნება: ესაა ქრისტიანული სარწმუნოების მორალური მხარე და ეკლესიის ორგანიზაცია. მის მოძღვრებაში რელიგიური დოგმატიზმის კრიტიკას მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია. ის ფიქრობდა ქრისტიანული სარწმუნოების მორალური რეფორმაციის საშუალებით მოეხდინა თვით ეკლესიის რეფორმაცია.

ჰუსი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ყურადღებას ამახვილებდა ღვთისმსახურთა მხოლოდ ზნეობრივ მხარეზე. იგი აკრიტიკებდა მათ გარყვნილებას, თავგასულობას, ლოთობას, უეცობას, მექრთამეობას; ამის შესახებ ჰუსი წერდა: ძალზე ცოტანი არიან ისეთი მღვდლები, რომლებსაც არ ეყიღოთ თავიანთი ადგილი და მორწმუნეებისაგან არ ღებულობდნენ ძღვენს [6, გვ. 34].

იან ჰუსი განსაკუთრებით მკაცრად ებრძოდა სიცრუეს, სიყალბეს, რომლის საშუალებითაც სამღვდლოება ხალხის უმოწყალო ძარცვას და გამომძალველობას ეწეოდა: იგი აღნიშნავდა, რომ ღვთისმსახურები, ნებადართულად თუ უნებართვოდ, აწყობენ ხალხისათვის უცნობ დღესასწაულებს, იგონებენ სასწაულებს, ძარცვავენ საცოდავ ხალხს და ანგრევენ ქრისტეს ეკლესიას [10, გვ. 22]. იგი იბრძოდა ეგრეთწოდებული „წმინდა ნაწილების“ არსებობის, ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. მისი აზრით, ქრისტე ცად ამალდა მთლიანად, სრულად და მიწაზე არ შეიძლება დარჩენილი იყოს მისი სხეულის ან ტანსაცმლის რაიმე ნაწილი და ის საგნები, ის ნივთები, რასაც მორწმუნეებს აჩვენ-

ნებენ ყალბია, მოგონილია [6, გვ. 37—38]. იგი ასევე გამოგონილად თვლიდა ინდულგენციებს, რომელთა გავრცელებაში ხალხის ძარცვის კიდევ ერთ ხერხს ხედავდა.

ჰუსი თვლიდა, რომ თუკი სამღვდლოება მოწოდებულია ხალხის სამსახურისათვის და მას ამის პრეტენზია აქვს, მაშინ იგი არ უნდა ღებულობდეს ამ სამსახურისათვის ანაზღაურებას. იგი უფასოდ, ანაზღაურების გარეშე უნდა ემსახურებოდეს ხალხს. აქედან გამომდინარე, ჰუსი გმობდა ქადაგებისათვის, ნათლობისათვის, დამარხვისათვის და სხვა რელიგიური რიტუალებისათვის საზღაურის აღებას [6, გვ. 39].

იან ჰუსი საჯაროდ აცხადებდა, რომ სამღვდლოების სიმდიდრისაკენ სწრაფვა არის ყველა ბოროტების საწყისი; სიმდიდრე გახდა ეკლესიის მანკიერებათა საფუძველი. იგი წერდა: ძაღლებს წაართვი ძვალი და ისინი შეწყვეტენ ჩხუბს, ეკლესიას წაართვი ქონება და ვეღარ იპოვნი მისთვის მღვდელს [6, გვ. 44]. ამით ის ააშკარავებდა, რომ სამღვდლოება სიმდიდრისადმი სწრაფვაში ისეა გადაგვარებული რომ მისი მიზანი რწმენისადმი სამსახური კი არ არის, არამედ სიმდიდრის მოპოვებაა.

ჰუსის ეს შეხედულებანი და მოთხოვნები ეკლესიის მიმართ, სხვა ოპოზიციებთან შედარებით, გაცილებით სრულად ბურჟუაზიის წინამორბედ ბიურგერთა ინტერესებს გამოხატავდნენ. ჰუსი იყო მათი იდეოლოგი. ბიურგერთა მოთხოვნები გამოითქვა ჰუსამდეც, მაგრამ მის წინამორბედთაგან არავინ ისე არ აიმაღლა ხმა მთელი კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, როგორც ჰუსმა.

ჰუსი სამღვდლოების ზნეობრივი კრიტიკიდან თანდათან გადავიდა მთელი კათოლიკური ეკლესიის კრიტიკაზე. მისი მოღვაწეობის ამ მეორე პერიოდს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან წამოაყენა მოთხოვნა მთელი საეკლესიო წყობის გადაკეთების შესახებ. ის გადაჭრით მოითხოვდა თავისუფალი ქადაგების უფლების დაშვებას, აქედან გამომდინარე, ეკლესიის ბოროტად გამოყენებელთა თავისუფალი კრიტიკის დაშვების უფლებასაც. ამასთან ერთად, მოითხოვდა დაესაჯათ დანაშაულში შემჩნეული მღვდლები. იგი, ერთი მხრივ, მიმართავდა მეფეს, ხოლო მეორე მხრივ, ხალხს, რომ გამოიძიონ დანაშაული და დასაჯონ დამნაშავენი [6, გვ. 43].

ჰუსი მაშინდელ ეკლესიებში გამეფებული ფორმალისმის, თვალთმაქცობის და მოჩვენებითობის სასტიკი წინააღმდეგია. იგი სამღვდლოებისაგან მოითხოვდა გულწრფელ რწმენას და ასეთი რწმენით სამსახურს, იცავდა ღებულებას იმის შესახებ, რომ გულწრფელი რწმენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საეკლესიო წეს-ჩვეულებების ფორმალური შესრულება. მისი აზრით, ეკლესიის ჭეშმარიტ წევრებს წარმოადგენენ არა ის ადამიანები, რომლებიც გარეგნული ნიშნებით მას მიეკუთვნებიან, ხოლო შინაგანი რწმენით ეწინააღმდეგებიან, არამედ ისინი, ვისთანაც შინაგანი ჭეშმარიტი რწმენა და გარეგანი ნიშნები ერთმანეთს ერწყმის. ადამიანები, რომლებიც გარეგნული ნიშნებით ირიცხებიან ქრისტიანებს შორის, საქმით კი გარყვნილები და უვარგისებია, თავისთავად „ანტიქრისტეს ეკლესიის“ წევრებია [10, გვ. 71].

ჰუსი მართალია აკრიტიკებდა ეკლესიის ორგანიზაციას და მასში გაბატონებულ ფორმალისმს, მაგრამ არ გამოდიოდა ყოველგვარი საეკლესიო ორგანიზაციის წინააღმდეგ. ის უარყოფდა ეკლესიის ისეთ ორგანიზაციას და სამღვდლოების ისეთ მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა პიკვანდელ ქრისტიანულ რწმენას; იგი მოითხოვდა ადრინდელი ქრისტიანული თემის სარ-

წმუნობას და შესაბამის მარტივ საეკლესიო ორგანიზაციას, ქადაგებდა ძმობის, თანასწორობისა და ურთიერთსიყვარულის იდეას.

ჰუსს რთული საეკლესიო იერარქიული სისტემა არაქრისტიანულ გამოვლენად მიაჩნია. იგი განსაკუთრებით პაპობის ინსტიტუტის წინააღმდეგია, უარყოფდა პაპის პრეტენზიას ქრისტეს მოადგილეობის შესახებ. თვით ქრისტე უკრძალავდა თავის მოწაფეებს ამ ქვეყნად ხელისუფლების მიღებასო. პაპი რომელიც ისწრაფვის დაიკავოს ქრისტეს ადგილი, ის არ არის ნამდვილი პაპი, ის ანტიქრისტია [6; გვ. 46].

ჰუსისათვის ერთადერთი ავტორიტეტი სახარება და წმინდა წერილებია. სახარების გვერდით ჭეშმარიტების წვდომის საქმეში თანაბარი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული გონებას და პირად დარწმუნებულობას; გონება ჭეშმარიტების შემეცნების ისეთივე წყაროა, როგორც გამოცხადება, გონების გარეშე მიღებული რწმენა არ არის ჭეშმარიტი რწმენა. თვით გამოცხადებების ჭეშმარიტებას შეიძლება მივწვდეთ მხოლოდ გონების მეშვეობით [10, გვ. 70]. როგორც ჭეშმარიტების წვდომის საქმეში არსებობს განსხვავება საკუთრივ ჭეშმარიტებასა და მის შემეცნების საშუალებას შორის, ასევე განსხვავებაა სახარებასა და გონებას შორის. სახარებაშია მოცემული ღვთიური ჭეშმარიტება, რომელიც მხოლოდ გონების საშუალებით მიიღწევა [10, გვ. 70]. ჭეშმარიტების შემეცნებაში სახარებას და გონებას ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ.

გონებით შემეცნებულ „ღვთიურ კანონს“ ჰუსი თვლის უმაღლეს იდეალად, რომლითაც უნდა სარგებლობდეს თითოეული ადამიანი. მისთვის ეს იდეალი წარმოადგენს სოციალური სამართლიანობის აბსოლუტურ ნორმას. ის, რაც გონებით შემეცნებულ „ღვთიურ კანონს“ ეთანხმება, სამართლიანია, მისაღებია; ხოლო რაც ეწინააღმდეგება — უსამართლოა, უარსაყოფია [6, გვ. 53; 11, გვ. 420]. აქედან გამომდინარე, მან წამოაყენა ცნობილი პრინციპი—პირობით დამნაშავეობის შესახებ, რომელიც თვითეულ პირს ავალებდა დაფიქრებოდა ხელისუფალთა ბრძანებას და თუ ბრძანება სახარების ჭეშმარიტებებს არ შეესაბამებოდა, არ დამორჩილებოდა მას. ასეთ შემთხვევაში იგი დამნაშავედ არ ჩაითვლებოდა.

ჰუსის მსგავსად გერმანელი თეოლოგი მარტინ ლუთერიც მოითხოვდა რეფორმაციას, მაგრამ მისგან განსხვავებულ თვალსაზრისს აყალიბებდა.

მარტინ ლუთერი გამოდის კათოლიკური ეკლესიის და სამღვდლოების წინააღმდეგ. მან დასაწყისში ყურადღება გაამახვილა კათოლიციზმის ცენტრალურ ორგანიზაციაზე და მოითხოვა მისი განადგურება. ამ ბრძოლაში ძირითად დასაყრდენ ძალად მეფეებს და მთავრებს ხელავდა. იგი მათ მიმართავდა: „თუ მათი (ე. ი. რომაელი ხუცების) გააფთრებული ბორჯვა კიდევ გაგრძელდა, ჩემი აზრით, საუკეთესო დარიგება და წამალი ამის განსაკურნებლად ის იქნება, რომ მეფეები და მთავრები ძალას მიმართავდნენ, აღიჭურვებოდნენ და ამ მავნე ადამიანებს, რომელნიც მთელ ქვეყანას წამლავენ, თავს დაესხმოდნენ და ბოლოს მოუღებდნენ იარაღით და არა სიტყვით. თუ ჩვენ ქურდებს მახვილით ვსჯით, კაცის მკვლელებს სახრჩობელათი, ხოლო ერეტიკოსებს ცეცხლით, რატომ ყოველნაირი იარაღით თავს არ ვესხმით ამ გარყვნილების მავნებელ მასწავლებელთ, პაპებსა, კარდინალებსა, ეპისკოპოსებს და რომის სიღომის მთელ ხროვას და რატომ მათი სისხლით არ ვიბანთ ხელებს?“ [2, გვ. 46].

ლუთერი ან ცნობს პაპის ავტორიტეტს, უარყოფს მისი უცოდველობის დოგმას. იგი უარყოფდა ეკლესიის, როგორც ადამიანსა და ღმერთს შორის შუა-

მავლის საჭიროებას. მისი აზრით ადამიანი „სულის ხსნას“ აღწევს არა ეკლესიის და მის მსახურთა დახმარებით, არამედ საკუთარი შინაგანი ჭეშმარიტი რწმენით, რომელიც მას ნაბოძები აქვს უშუალოდ ღმერთისაგან [7, გვ. 80]. ადამიანის „სულის ხსნის“ ერთადერთი საშუალებაა პირადი რწმენა. შინაგანი რწმენა სრულიად საკმარისია საკუთარი „სულის ხსნისათვის“ [12, გვ. 270]. ამასთან ერთად მას მიაჩნია, რომ ეს „რწმენა“ არის ღმერთთან კავშირის ერთადერთი საშუალება. ამით ლუთერი თითოეულ ადამიანს ინდივიდუალურად ანიჭებდა პასუხისმგებლობას, როგორც პიროვნებას. ყოველი ადამიანი არის პასუხისმგებელი საკუთარ თავზე ღმერთის წინაშე. ეს გარკვეული აზრით პიროვნული თავისუფლების აღიარების მინიშნებაა, რასაც სოციალური თვალსაზრისით დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ლუთერმა ღმერთთან კავშირის ერთადერთ საშუალებად ადამიანის რწმენა აღიარა, მაგრამ მან ამავე დროს გადაჭრით უარყო ნებისყოფისა და გონების ყოველგვარი მნიშვნელობა [12, გვ. 270]. მისი მოძღვრების თანახმად, ღმერთთან კავშირის დამყარებისათვის აუცილებელი პირობაა მის წინაშე აბსოლუტური მორჩილება. აქ იგი ბოლომდე თანმიმდევრული არაა და სამღვდელოებას საბოლოო ჯამში მაინც დიდ ფუნქციას ანიჭებს. კერძოდ, ლუთერის აზრით, რელიგიური დაწესებულებანი საჭირონი არიან, რათა ადამიანებს შთააგონონ, ასე წავლონ ღმერთის წინაშე მორჩილება.

ლუთერისათვის ერთადერთ ავტორიტეტს წარმოადგენს საღვთო წიგნი. რწმენის საქმეში მხოლოდ „საღვთო წიგნებს“ უნდა ვეყრდნობოდეთ, მხოლოდ მათ უნდა ვენდოთ და მათ ავტორიტეტს უნდა დავუჭეროთ [7, გვ. 80—81]. ლუთერი აბსოლუტებდა „წმინდა წერილების“ ავტორიტეტს. სწორედ ამის გამო სამართლიანად საყვედურობენ მას, რომ როცა პაპის ავტორიტეტი შეცვალა ბიბლიის ავტორიტეტით, ამით მან შექმნა ახალი „ქალაქის პაპი“ [10, გვ. 70].

ლუთერი ეროვნულ ეკლესიებში პაპის ავტორიტეტს უპირისპირებს ცალკეული პიროვნებების, მთავრების, მეფეების, სახელმწიფოს მეთაურის ავტორიტეტს. იგი ეწევა საერთოდ ცალკეული პიროვნების განდიდებას. ლუთერიანობაში საერო ავტორიტეტები წარმოადგენენ აგრეთვე საეკლესიო ავტორიტეტებსაც. საერო ავტორიტეტები ამავე დროს არიან ეროვნული ეკლესიების მეთაურები. მათ უფლება აქვთ საკუთარი შეხედულებების მიხედვით განსაზღვრონ ქვეშევრდომთა რელიგია. ეროვნულ ეკლესიებზე პაპის ზეგავლენის შეზღუდვის მიზნით, ლუთერმა წამოაყენა პრინციპი, რომ ღმერთისადმი მსახურება უნდა განვიხილოთ არა როგორც ერთი რომელიმე სამღვდელოების საქმე, არამედ როგორც ყველა ქრისტიანის მთელი ცხოვრების ფუნქცია. ამით იგი რომის პაპს უსპობდა მთელი მსოფლიოს კათოლიკობაზე გამგებლობის და ზრუნვის პრეტენზიას, აღიარებდა რელიგიურ დამოუკიდებლობას, „ქრისტიანულ თავისუფლებას“ არა მარტო პირადი, ინდივიდუალური ადამიანის თავისუფლების სახით, არამედ საერთო ეროვნული სახითაც. აქ შეჩერდა იგი და ამის იქით აღარ წასულა, ცნობილია, რომ ლუთერის მოღვაწეობაში რადიკალური პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა. აქ რაც ითქვა, ლუთერის მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეხება, რომელსაც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულად. რაც შეეხება მისი მოღვაწეობის მეორე პერიოდს, აქ ლუთერი თავისი აღრინდელი პრინციპების ერთგული აღარაა და მისი ამ პერიოდის თვალსაზრისები ღირებულებას მოკლებულია.

II

ნიკო ნიკოლაძე რეფორმაციის საკითხში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჰუსისა და ლუთერის მოღვაწეობას. მან იცის, რომ თუ ჰუსის დროს ეს საქმე ვერ განხორციელდა, ამის მიზეზი პირობების მოუმზადებლობა იყო; როცა პირობები მომზადდა, ეს საქმე წარმატებით დაასრულა ლუთერმა. ნ. ნიკოლაძე სწორად აფასებს თვითეული მათგანის დამსახურებას.

ნ. ნიკოლაძე შენიშნავს, რომ ჰუსის მოღვაწეობა ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც კათოლიკური ეკლესია ჯერ კიდევ თავისი განდიდების უმაღლეს საფეხურზე იმყოფება და თითქმის არ არის მომზადებული სათანადო პირობები მისი კრიტიკისათვის. კრიტიკა კი არა, კათოლიკურ დოგმატიკაში დაეჭვებაც კი საშიშია. უნდა ითქვას, რომ იმ იდეების აღქმისათვის, რასაც ქადაგებდა ჰუსი, ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო ნიადაგი მომზადებული, მითუმეტეს ეს ითქმის მათ პრაქტიკულ ხორცშესხმასა და განხორციელებაზე. ის კლასი, ვისთვისაც ეს იდეები იყო გამიზნული, ჯერ კიდევ მოუმწიფებელი იყო ამგვარი საქმისათვის, ამიტომ ცხადია, რომ ყოველივე ეს მის გამოსვლას უფრო მეტად ნაადრევს ხდიდა. ეს ფაქტორები ხელს უშლიდნენ მისი იდეების განვითარების მსვლელობას. მიუხედავად ამ ხელისშემშლელი ფაქტორებისა, მან მაინც შესძლო ისეთი იდეები წამოეყენებინა და ხალხში გავრცელებინა, რომლებმაც ღრმა, წარუშლელი კვალი დატოვეს რეფორმაციისა და საერთოდ შემდგომი საცაცობრიო აზროვნების ისტორიაში.

ნ. ნიკოლაძე კარგად ამჩნევს ჰუსის შორსმჭვრეტელობას, მის მიერ ამა თუ იმ დოგმის უკვე მოძველებულობის, ცხოვრებისადმი შეუფერებლობის ხედვის უნარს. იგი წერს: იან ჰუსი „იმ დროს გამოჩნდა, როცა უმეტესობას მაინც ეშინოდა კათოლიკობისაგან ნაქადაგევი დებულებების ჭეშმარიტებაში დაეჭვებისა, დებულებების, რომელნიც შემდეგ ბევრის მიერ იქნა უარყოფილი“ [3, გვ. 197].

ჰუსის მიერ სამღვდელოების და ეკლესიის კრიტიკაში ნ. ნიკოლაძე ასევე სამართლიანად ხედავს იმ პერიოდისათვის დიდ საკაცობრიო საქმეს. ჰუსი თავისი გამოსვლებით აფხიზლებდა მაშინდელ მიძინებულ და დაბეჩავებულ ხალხს, სააშკარაოზე გამოჰქონდა ღვთის მსახურთა ჭეშმარიტი სახე, აჩვენებდა, რომ ღვთის მსახურებიც ჩვეულებრივი ადამიანებია და სინამდვილეს არ შეესაბამება აზრი მათი უბიწობის თუ უცოდველობის შესახებაც. ნ. ნიკოლაძემ კარგად იცის იმ პერიოდში ასეთი აზრის გატარების დიდი მნიშვნელობა და ისიც, რომ ეს არ იყო ადვილი საქმე. „იოლი არ იყო ჰუსის ღვაწლი,—წერდა იგი,— გახსოვთ, მკითხველო, თქვენი ბავშობა? რა ძნელად თავისუფლდებოდით თქვენ რაიმე გარეგანი ბიძგის შედეგად, მოჩვენებათა შიშისაგან.....გავიხსენოთ თქვენი განვითარების ეს დრო და შეგიძლიათ იმსჯელოთ იმაზე, თუ რად უღირდა ჰუსს ეჩვენებინა ბრბოსათვის, რომ პაპთა და მის მსგავსთა „უცოდველობის“ იდეა სხვა არა არის რა, თუ არა იგივე მოჩვენებანი“. [3, გვ. 198]. ნ. ნიკოლაძე კარგად ხედავს ჰუსის ამ დამსახურებას და სათანადოდ აფასებს.

კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ჰუსის ბრძოლის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მისი გამოსვლა მიწის საეკლესიო საკუთრების გამო. იგი მოითხოვდა ეკლესიას ჩამორთმეოდა მიწის საკუთრების უფლება. მაშინ ამ მოთხოვნის წამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იგი საფუძველს უთხრიდა არა მარტო ეკლესიას, არამედ მთელ ფეოდალიზმს.

ჰუსი დაუპირისპირდა ეკლესიის რთულ იერარქიულ ორგანიზაციას, რომელიც თვით არსებული საზოგადოებრივი წყობის კლასობრივ-წოდებრივი რთული იერარქიული სისტემის უშუალო პირმშო იყო. მის ადგილზე მოითხოვდა ადრინდელ მარტივ ქრისტიანულ საეკლესიო სისტემაზე დაბრუნებას.

ჰუსის ღვაწლის შეფასებისას ნ. ნიკოლაძეს მხედველობიდან არ რჩება და ცალკე გამოყოფს მისი მოძღვრების ძირითად ნაკლს. „გარდა ამ ვითარებისა იყო კიდევ მეორე, რაც მნიშვნელოვნად ვნებდა ჰუსს: მათ (ჰუსის და მისი მიმდევრების ა. კ.) მიერ ნაქადაგევი ძმობის პრინციპი არ შეიძლებოდა პირდაპირ გამომდინარე ყოფილიყო მაშინ გაბატონებული პაპის უფლებისა და ყველაფერში, თვით საერო საქმეებში დასავლეთის ეკლესიის აუცილებელი ავტორიტეტისაგან“ [3, გვ. 197—198].

საზოგადოებისათვის ძმობის, თანასწორობის იდეა თავისთავად კარგია, მისასაღმებელია, მაგრამ ნ. ნიკოლაძე მართალია, როცა ამ იდეის ქადაგებას იმ დროისათვის ძალიან ნადრევედ მიიჩნევს. იგი ფიქრობს, რომ ჰუსი ცდებდა, როცა ამ იდეის ქადაგებით იგი იმ დროისათვის რაიმე პრაქტიკულ შედეგს მოელოდა. ამიტომაც ამ იდეებს საზოგადოების ფართო მასებში გავლენა არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა.

კერძოდ, რა უშლიდა ხელს ამ იდეის გამარჯვებას? ნ. ნიკოლაძის სამართლიანი შენიშვნით, მაშინდელ ეკლესიაში ეს იდეა სრულიად უშედეგო იყო იერარქიულ საფეხურთა მკაცრი გამიჯვნისა და სუბორდინაციის გამო. სოციალურ სფეროში კი კლასობრივი, წოდებრივი, ქონებრივი და უფლებრივი განსხვავება ისეთი დიდი, ხელშეუხებელი და შეუვალი იყო, რომ ძმობის და თანასწორობის იდეის ქადაგებას არავითარი საფუძველი და პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა, რადგან „...სხვადასხვა წოდებანი—წერდა ფ. ენგელსი—მთავრები, თავადაზნაურობა, პრელატები, პატრიციები, ბიურგერები, პლებეები და გლეხები მეტისმეტად არეულ-დარეულ მასას წარმოადგენდნენ, რომლებსაც სხვადასხვაგვარი და ერთი მეორეში გადახლართული მოთხოვნები გააჩნდათ. ერთი წოდება გზას უღობავდა მეორეს და დაუსრულებელ, ხან აშკარა, ხან ფარულ ბრძოლას აწარმოებდა ყველას წინააღმდეგ“ [2, გვ. 37].

ფ. ენგელსის მიერ შუა საუკუნეების საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ეს დახასიათება ეხება XVI საუკუნის დასაწყისს, მაგრამ იგი დაახლოებით იგივე იყო ჰუსის დროსაც XV საუკუნის დასაწყისში. ამდენად ძმობა-თანასწორობის იდეას მაშინ არავითარი გავლენა არ ჰქონია და პრაქტიკული შედეგიც არ მოჰყოლია. ეს იყო მაშინ უბრალოდ „ღალადისი უდაბნოსა შინა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰუსის ძმობისა და თანასწორობის იდეა უკვალოდ არ გამქრალა. ამ იდეით იყო შთაგონებული შემდეგში მიუნცერის პლებური მოძრაობა, ხოლო ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მან მიიღო კანონის წინაშე თანასწორობის იდეის სახე. უფრო მოგვიანებით ამ იდეის გამოძახილს სოციალ-უტოპისტების მოძღვრებაში ვხვდებით.

ნ. ნიკოლაძე დიდად აფასებს ჰუსის მიერ გონების როლის აღიარებას და ამ საქმეში იგი სამართლიანად ხედავს შუა საუკუნეებში ხალხის სულიერი განთავისუფლების უებარ საშუალებას. ჰუსი როცა ეკლესიის ხელისუფალთა ქადაგებისადმი მორწმუნეებს გონებით კრიტიკულ მიდგომას ავალებდა და ამას და-

¹ იფულისხმება ეკლესიის სიძლიერე და მის მესვეურთაგან რელიგიურ დოგმებში დაეჭვების დაუშვებლობა. ა. კ.

ნაშაულად არ თვლიდა, ამით იგი ხალხს დასჯის შიშს უნელებდა, ფსიქოლოგიურად დასჯის შიშისაგან ათავისუფლებდა, ხოლო ამის შემდეგ, როგორც აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, „წამებათა შიშისაგან ერთხელ გათავისუფლებულმა შევიწროებულ, დაჩაგრულ ერის კაცთა გონებამ დაიწყო გაბატონებული რელიგიის ყველა დოგმათა ჩაკირკიტებული გამოძიება და, რადგან მაშინ გაბატონებულ რელიგიურ მოძღვრებაში ბევრი სიყალბე იყო პაპების ძალადობით შეპარებული, — ხალხის თვალში ისინი ერთი მეორეზე ეცემოდნენ“ [3, გვ. 198].

გონების კარნახით მოქმედების პრინციპით ჰუსი თვით მივიწყებულ გლეხსაც კი მოაგონებდა, რომ ის ვალდებული იყო დაფიქრებულიყო, გონებით განესაჯა, შეესაბამებოდა თუ არა მისი ბატონის ბრძანება „წმინდა წერილებს“ და მხოლოდ ამის შემდეგ ემოქმედა: შეესრულებინა ან არ შეესრულებინა ეს ბრძანება. შუა საუკუნეებში ეკლესიის ბატონობა მივიდა იქამდე, რომ რელიგიური მოძღვრებების ფორმით თვით კლასობრივი ინტერესები გაცნობიერდა [6, გვ. 53]. ჰუსის მოძღვრების სახით ექსპლოატირებულმა კლასებმა ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ იდეოლოგიური იარაღი მიიღეს.

1811
თუმცა ჰუსი გამოხატავდა მშრომელი მასების ინტერესებს, იგი მაინც შორს იდგა ფეოდალური წესების თანმიმდევრული და სრული უარყოფისაგან. ეს მის არც მიზანს და არც ამოცანას არ შეადგენდა. ეს გასაგებიცაა: მიუხედავად იმისა, რომ მოძღვრება გამოირჩევა რევოლუციური შინაარსით, ჰუსმა ვერ შეძლო გამოყოფოდა ბიურგერთა ინტერესებს [6, გვ. 54]. მას არ შეეძლო დროის ჩარჩოებიდან გასვლა. იგი არსებული ეპოქის შვილი იყო და ამ ეპოქით იყო შეზღუდული.

ნ. ნიკოლაძე, ჩვენი აზრით, სრულიად მართალია, როცა ჰუსის ღვაწლს არა მარტო მის თეორიულ მოღვაწეობაში ხედავს, არამედ მის პირად ცხოვრებაშიც. ჰუსი თავისი პირადი ცხოვრებით სხვებს უჩვენებდა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ნიმუშს. მისი პრინციპულობა, ქედუხრელობა იყო ადამიანობის, პიროვნულობის და ამავე დროს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ნიმუში. მან საკუთარი პრინციპების ერთგულების, ეკლესიის წინაშე გაუტეხლობის მაგალითი აჩვენა. მართალია, იგი ფიზიკურად მოსპეს, მაგრამ მორალურად მან გაიმარჯვა ეკლესიის მსახურებზე. მან მაგალითი უჩვენა იმისა, რომ შეიძლება დაძლიო ის შიში, რომელსაც იწვევენ ღვთისმსახურები ჯოჯოხეთის მუქარით, შეიძლება ფსიქოლოგიურად გადაიტანო მოსალოდნელი ფიზიკური წამება და საბოლოოდ გამარჯვებული გამოხვიდე ამ უთანასწორო ბრძოლაში. ამ მორალურ ფაქტორს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ პერიოდში. ნ. ნიკოლაძე ჰუსის ღვაწლის ამ მხარეს ცალკე გამოყოფს და განსაკუთრებული ყურადღების საგნად ხდის. იგი აღნიშნავს: „უდიდესი დამსახურება ჰუსისა სახალხო საქმისადმი, ან, როგორც ჩვეულებრივ ეძახიან, რეფორმაციისადმი, იმაში მდგომარეობს, რომ მან რამდენადმე ადამიანს საშუალება მისცა, მოჩვენებებისა და ჯოჯოხეთის უსაშინლეს წამებათა წინაშე შეუდრეკელად, რომლებითაც მას ყოველ ნაბიჯზე აშინებდნენ პაპიზმის დამცველები, შეეხედა თავისი თავისათვის, ირგვლივ მყოფთათვის და განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომელნიც მას აშინებდნენ“ [3, გვ. 198]. მისი ეს თავგანწირვა იყო არარაობად ქცეული ადამიანის სულიერი აღდგომა.

იან ჰუსის დაწყებული საქმე, როგორც ვთქვით, ღირსეულად გაგრძელდა გამოჩენილი გერმანელი რეფორმატორის მარტინ ლუთერის ნააზრევში. ქართველი მოაზროვნე ნ. ნიკოლაძე კარგად ხედავს ამ ორ დიდ რეფორმატორ-2. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1985, № 1

საქ. მ. ნ. ნიკოლაძის
სახ. მ. ნიკოლაძის
გვ. 198

თა მსოფლმხედველობებს შორის არსებულ მჭიდრო კავშირს. იგი რეფორმაციის საქმეში თითოეულის დამსახურებას ურთიერთთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქრონოლოგიურად დაცილებულნი არიან, მეორეში პირველის იდეურ, მიზნობრივ გამგრძელებელს ხედვს: ორივეს ერთნაირი მიზანი და ამოცანა ჰქონდა. თუ ჰუსმა ეს ამოცანა ვერ გადაჭრა, ამის ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზი, მის დროს საამისოდ ისტორიული პირობების ჯერ კიდევ მოუმწიფებლობა იყო. ლუთერის მოძღვრებამ კი გაიმარჯვა იმიტომ, რომ მის დროს თითქმის ყველა პირობა იყო მომზადებული და მისი მოძღვრება ამ პირობებით იყო ნაკარნახევი. ნ. ნიკოლაძე ჰუსის განსაკუთრებულ დამსახურებას ამ პირობების მომზადებაში ხედავს. ჰუსის მოძღვრებამ ნიადაგი მოუმზადა და გაუადვილა ლუთერს თავისი რეფორმატორული პრინციპების ქადაგება და განხორციელება. იგი სამართლიანად წერს: „...ჰუსმა საგრძნობლად შეუმსუბუქა ლუთერს ქადაგება მისი პრინციპებისა, დაეხმარა მას ძირი გამოეთხარა დასავლეთში კათოლიკური ეკლესიის უფლების შენობისათვის“ [3, გვ. 198]. ნ. ნიკოლაძემ კარგად იცის, რომ ისტორიული ეპოქა ლუთერის პრინციპების განხორციელებისათვის უკვე მომზადებული იყო. ი. ჰუსის მოძღვრება ამოსავალი პუნქტია ლუთერისათვის. ნ. ნიკოლაძე ლუთერის მოძღვრებას, ჰუსთან შედარებით, წინგადადგმულ ნაბიჯად თვლის და ამ კუთხით აფასებს მის ისტორიულ დამსახურებასაც.

ჰუსი და ლუთერი ბურჟუაზიის წინამორბედი საზოგადოებრივი ფენის, ბიურგერების ინტერესებს გამოხატავენ; მათ მოძღვრებებს ამ მხრივ ერთნაირი დადებითი თუ უარყოფითი ნიშნები ახასიათებთ, მაგრამ ძირითადი ამოცანის გადაწყვეტის საქმეში მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ერთი უკან ბრუნდება, მეორე წინ იხედება. და ამაშია მათი მოძღვრებათა განსხვავების სათავეც. კერძოდ, მათი ძირითადი მიზანი და ამოცანა იყო საზოგადოებაში კათოლიკური ეკლესიის იდეოლოგიური და პოლიტიკური შეუზღუდველი გავლენის საბოლოო ჯამში მოსპობა. ამ ამოცანის გადასაჭრელად ჰუსმა წამოაყენა პირვანდელი ქრისტიანული სიყვარულის იდეა, ლუთერმა კი, ხელმძღვანელობდა რა დროის მოთხოვნებით, ადამიანის რელიგიურობის საკმარის და განმსაზღვრელ პირობად ინდივიდუალური, პიროვნული, შინაგანი რწმენის იდეა წამოაყენა, რელიგიური რწმენისათვის თვით ადამიანს დააკისრა პირადი პასუხისმგებლობა. ღმერთის წინაშე თვითეული ადამიანი თვითონვეა პასუხისმგებელი საკუთარ რწმენაზე. ლუთერმა აღიარა ეკლესიის და მის მსახურთა გარეშე ღმერთთან ადამიანის უშუალოდ რწმენით დაკავშირება. იმან, რომ ადამიანის შინაგანი რწმენა, შინაგანი რელიგიურობა იქნა აღიარებული ღმერთთან უშუალო კავშირის საშუალებად და არა გარეგანი რელიგიური ნიშნები და ქცევები, განსაზღვრა ამ მოძღვრების მნიშვნელობაც და წარმატებაც. ჯერ ერთი, ამით ლუთერმა სამღვდელოების ფუნქცია დაკარგულად გამოაცხადა, მას წაართვა ადამიანის ცხოვრებაში ჩარევის უფლება და, თავისთავად ცხადია, მას ადამიანზე გავლენის საფუძველი გამოაცალა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო (არა მხოლოდ მის მოძღვრებაში, არამედ საერთოდ იმ პერიოდის საკაცობრიო აზროვნებაში) ადამიანის პიროვნების თავისუფლების დაშვება. ლუთერის აზრით, ადამიანსა და ღმერთს შორის არ არის საჭირო ეკლესია. ადამიანი თვითაა პასუხისმგებელი საკუთარ თავზე. ლუთერის მიერ ადამიანის თავისუფლების შესაძლებლობის დაშვება დიდი მნიშვნელობის მოვლენაა იმის მიუხედავად, რომ ეს დაშვება მხოლოდ რელიგიური ჩარჩოებით იფარგლებოდა.

ღმერთთან კავშირის დამყარებისათვის ადამიანის პირადი რწმენის აღიარებით ლუთერმა ადამიანს დაუბრუნა პასუხისმგებლობა, მას აღუდგინა წართმეული პიროვნულობა. ამით იგი ადამიანს უბრუნებს საკუთარ, ადამიანურ სახეს, უღვიძებს შინაგანი თავმოყვარეობის გრძობას.

როგორც ლუთერმა რწმენის საკითხში ადამიანის თავისუფლების იდეა წამოაყენა, შესაძლებლად ცნო ეკლესიის მსახურთა გარეშე ადამიანის უშუალოდ ღმერთთან დაკავშირება, ამით მან ეკლესია და საეკლესიო წესები ზედმეტად გამოაცხადა, ფაქტიურად პაპისა და მთელი უმთავრესების ეკლესიის იდეოლოგიის და პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა. უფრო მეტიც, ლუთერმა ამით მოითხოვა ადამიანის ეკლესიისაგან დამოუკიდებლობა, გაათავისუფლა საეკლესიო ჩაგვრისაგან, მისი მიწიერი ცხოვრება აამალა თვითმყოფობის დონემდე.

ლუთერის მიერ რელიგიის სფეროში და რელიგიური ფორმით წამოყენებული ადამიანის თავისუფლების იდეა დიდი შენაძენი იყო საკაცობრიო ისტორიაში, რომელმაც გარკვეულად განსაზღვრა კაცობრიობის შემდგომი მომავალი გზა და ისტორია. ამით დასაბამი მიეცა არა მარტო თვით თავისუფლების იდეას, არამედ მისი რეალური ხორცშესხმისათვის შემდგომ თაობათა ისტორიულ ბრძოლას. ამასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს მოძღვრება საერთოდ ხასიათდება არათანმიმდევრობით და წინააღმდეგობრიობით. რელიგიის სფეროში მან მხოლოდ მიუთითა ადამიანის პიროვნულობის თავისუფლების შესახებ და მეტი არაფერი. იგი ფაქტიურად შორს იდგა ბოლომდე თანმიმდევრული, კემმარტი, ნამდვილი ადამიანური თავისუფლების გაგებისა და აღიარებისაგან.

ლუთერთან რწმენა და გონება შეუთავსებელი ცნებებია, ისინი გამოირიცხავენ ერთმანეთს. ადამიანი ღმერთთან კავშირს ამყარებს მხოლოდ აბსოლუტური მორჩილების გზით, ნებელობა და გონება კი მორჩილებას გამოირიცხავენ. ამგვარი მორჩილების აღიარებით ლუთერის თვალსაზრისი არა მარტო არათანმიმდევრულია, არამედ რეაქციულიც კი არის, რადგანაც მართალია ადამიანს იგი, ერთი მხრივ, კათოლიკური სამღვდელოების მორჩილებისაგან ათავისუფლებდა და ამასთან ერთად ადამიანის პიროვნულობაზე და თავისუფლებაზე მიანიშნებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მას ისევ მონობაში ტოვებდა; ადამიანი განთავისუფლდა გარეგნულად, მაგრამ შინაგანად ისევ მონობაში დარჩა.

თუ პაპის ავტორიტეტის უარყოფა პროგრესულად მოჩანს ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში, ბიბლიის ავტორიტეტის ასე მტკიცედ და შეუწყველად აღიარება ამ ფონზე უცნაურად გამოიყურება. ამ მხრივ ჰუსის მოძღვრება უფრო პროგრესულია, მან რწმენა და გონება შეთავსებადად აღიარა და ბიბლიის ავტორიტეტის გვერდით გონებაც ტოლფასად გაიზარა. ლუთერმა კი უარყო გონების როლი. ამ საკითხში მან უკან დაიხია და გონება ისევ მონობაში დატოვა. გონების როლის საკითხში ჰუსის მონაპოვარმა ვერ პოვა შემდგომი განვითარება ლუთერთან. თუ ჰუსმა გონება აღიარა ადამიანის თავისუფალი მოქმედების და საერთოდ თავისუფლების პირობად, ლუთერმა, პირიქით, ადამიანის პიროვნული რელიგიური თავისუფლება აღიარა გონების გარეშე, რაც თავისუფლების ფორმალური, გარეგნული აღიარებაა. ასეთი სახით თავისუფლების აღიარება არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივია. გონების გარეშე თავისუფლების აღიარება გამოირიცხავს ადამიანის ნამდვილ კემმარტი

თავისუფლებას. მისი ასეთი სახით აღიარება არის ნამდვილი ადმიანური თავისუფლების უარყოფა. გონება ხდის ადამიანს თავისუფალ არსებად. გონების იგნორირებით, იგნორირებულია ნამდვილი თავისუფლებაც. გონების როლის უარყოფამ ლუთერი მიიყვანა კარგად დაწყებული საქმის გაყალბებამდე, კერძოდ თავისუფლების გარეგნულ, ფორმალურ აღიარებამდე.

როდესაც ლუთერი რწმენის საკითხიდან აბსოლუტურად გამორიხცავდა გონებას და ღმერთთან კავშირისათვის ერთადერთ გზად მორჩილებას აცხადებდა, იგი ბიურგერთა იდეოლოგიის, მათი ინტერესების გამომხატველია, ვინაიდან მორჩილების ცნება შინაარსობრივად „სოციალურადაც დატვირთულია“. ღმერთთან მორჩილება მაინც სამღვდელთა საშუალებით ხორციელდება ე. ი. ბიურგერთა ინტერესების შესატყვისად ხალხი ნამდვილ თავისუფლებას მოკლებული აღმოჩნდა. ლუთერის მოძღვრება, ამდენად, არათანმიმდევრულია. სწორედ ამის შესახებ მიუთითებდა მარქსი: „ლუთერმა, რასაკვირველია, მონობა ერთგულების აღთქმით დაამარცხა, იმიტომ რომ მის ადგილს მან დარწმუნების მონობა დასვა. მან ავტორიტეტის რწმენა დაამსხვრია, იმიტომ რომ რწმენის ავტორიტეტის რესტავრაცია მოახდინა. მან ხუცესები ერისკაცებად აქცია. იმიტომ რომ ერისკაცები ხუცესებად გადააქცია. მან ადამიანი გარეგანი რელიგიურობისაგან გაათავისუფლა, იმიტომ რომ რელიგიურობა მან ადამიანის შინაგან ქვეყნად აქცია. მან მოახდინა სხეულის ემანსიპაცია ბორკილებისაგან, იმიტომ რომ მან გულს დაადო ბორკილები.“

მაგრამ, თუ პროტესტანტიზმი ამოცანის ჭეშმარიტი გადაწყვეტა არ იყო, იგი სწორი დასმა მაინც იყო“ [1, გვ. 15]. პროტესტანტიზმი ლუთერიანობის სახით სწორედ საკითხის სწორი დასმის გამო არის ღირებული. მან ადამიანის ინდივიდუალობას მიაქცია ყურადღება, წინა პლანზე წამოწია იგი და ამით დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის შემდგომ ისტორიაში. ლუთერმა რწმენაზე პირადი პასუხისმგებლობის იდეა საშუალებად გამოიყენა კონკრეტული პიროვნების განდიდებისათვის. ესაა მისი ღვაწლის კიდევ ერთი დიდად მნიშვნელოვანი მხარე.

ცნობილია, რომ ფეოდალიზმის დაშლის პერიოდში საზოგადოება ხასიათდებოდა განვითარების დაბალი დონით, წინსვლის ნელი ტემპით, რისი მიზეზიც იყო საზოგადოებრივ ძალთა, კლასთა დაქსაქსულობა, წინააღმდეგობრიობა, კარნაკეტილობა. საზოგადოების მომავალი მოითხოვდა საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანებას და არა დაქსაქსულობას. საზოგადოების შემდგომი წინსვლა, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული აღმავლობა საზოგადოებრივ ძალთა ცენტრალიზაციას უნდა დამყარებოდა. საზოგადოების ამ ამოცანას კი იმ პერიოდში გადაჭრიდა მხოლოდ კონკრეტული პიროვნება, მონარქი, რომელიც გააერთიანებდა საზოგადოებრივ ძალებს, ერს და ამით ბიძგს მისცემდა მის შემდგომ განვითარებას. „ფეოდალიზმის დაშლა, — წერდა ფ. ენგელსი — ისევე როგორც ქალაქების განვითარება—ორივე (პროცესი) დეცენტრალიზაციას იწვევდა, აქედან წარმოიშვა პირდაპირი აუცილებლობა, შექმნილიყო აბსოლუტური მონარქია, როგორც ძალა, რომელიც ეროვნებათ ურთიერთ-აკავშირებს, იგი უნდა ყოფილიყო აბსოლუტური სწორედ იმიტომ, რომ ყველა ელემენტი ცენტრიდანულ ხასიათს ატარებდა. მაგრამ მისი ეს აბსოლუტური ხასიათი არ უნდა გავიგოთ ვულგარულად; აბსოლუტური მონარქია (ვითარდებოდა) მუდმივ ბრძოლაში ხან წოდებოდა წარმომადგენლობასთან, ხან მემამბოხე ფეოდალებსა და ქალაქებთან; წოდებანი მან არსად არ მოსპო; მაგრამ, ყველგან

უნდა აღინიშნოს, როგორც უფრო წოდებრივი მონარქია (როგორც ფეოდალიზმის დაშლის პერიოდის ჯერ კიდევ ფეოდალური, მაგრამ ამასთანავე უკვე ჩანასახობრივად ბურჟუაზიული მონარქია) [2, გვ. 196—197]. ყველაფერი ეს კარგად იგრძნო ლუთერმა და პიროვნების იდეა წამოწია წინ. ლუთერი სწორედ პასუხობდა ეპოქის მოთხოვნებს. მის მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პიროვნების რაობას. მან პიროვნება და სახელმწიფო რელიგიური ავტორიტეტის რანგში აიყვანა. ლუთერიანობის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებული როლი, პაპისაგან, როგორც კოსმოპოლიტური ინსტიტუტისაგან, ამ ხელისუფლების დამოუკიდებლობის აღიარება. პასუხობდა რა ეპოქის ინტერესებს, მისმა თვალსაზრისმა გარკვეულად გაიმარჯვა.

ნ. ნიკოლაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მას სწორედ ეს მხარე მიაჩნდა ლუთერის უდიდეს მიღწევად. სწორედ ამ იდეაში ხედავს მისი თვალსაზრისის წარმატების მიზეზს. ამ იდეის ქადაგებით წავიდა ლუთერი ჰუსსზე წინ, ამ იდეით მიუძღვის მას საკაცობრიო ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი. ნ. ნიკოლაძე სწორად ამჩნევს ჰუსისა და ლუთერის თვალსაზრისთა განსხვავებას, თითოეულის წარმატების თუ წარუმატებლობის მომენტს და შენიშნავს, რომ იმ პერიოდის საზოგადოებრივ ვითარებაში ძმობის პრინციპის ქადაგება კი არ იყო საჭირო, არამედ „საჭირო იყო... პრინციპი, რომელიც უნდა ყოფილიყო გარდამავალ საფეხურად ძმობისაკენ — ცალკეული პიროვნების ბატონობის პრინციპი. ეს პრინციპი იქადაგა ლუთერმა ერთი საუკუნის შემდეგ ჰუსისა, და აი რატომ ჰქონდა წარმატება ლუთერს, ხოლო ჰუსი და მისი მიმდევრები დაიღუპნენ. ამის დავიწყება არ შეიძლება“ [3, გვ. 193].

ნ. ნიკოლაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ძმობის პრინციპის ქადაგებით ჰუსი ვერ პასუხობდა მაშინდელი ვითარების მოთხოვნებს. იმ პერიოდის ვითარება მოითხოვდა საერთოდ ადამიანის დაკარგული პიროვნების აღდგენას, პიროვნების ბატონობას, ისეთ ხელისუფლებას, რომელიც გაერთიანებდა საზოგადოებას, დააჯგუფებდა კლასებს, ამ გზით გამოიკვეთებოდა მათი წინააღმდეგობები და ნიადაგი შეიქმნებოდა ძმობისა და ძმობის იდეის ქადაგებისათვის, სხვანაირად შეუძლებელი იყო. იმ დროისათვის საზოგადოება ისეთ რთულ სოციალურ სტრუქტურას ქმნიდა, ისეთ ურთიერთ გადახლართულ და გაურკვეველ წინააღმდეგობებს შეიცავდა, რომ მაშინ ძმობის პრინციპის ქადაგება სრულიად უაზრო თუ არა, როგორც აღინიშნა, სრულიად უშედეგო მაინც იყო.

ის ვითარება, რომ ადამიანთა პიროვნულობისადმი უფრო მკვეთრ ხაზგასმას ადგილი აქვს ლუთერთან ვიდრე ჰუსთან, უნდა აიხსნას ისტორიული პირობების თავისებურებებით. ჰუსის პერიოდში ბურჟუაზია არ იყო კლასად საკმაოდ გამოკვეთილი. ლუთერის დროს კი იგი ისეთ ძალად მოევიდნა საზოგადოებას, რომელიც ესწრაფვოდა მსხვილი ფეოდალებისაგან განთავისუფლებას. ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვდნენ საწარმოო ძალთა აღმავლობას, ეს კი მოითხოვდა პიროვნულ თავისუფლებას და საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანებას. პრაქტიკულ ცხოვრებაში ბურჟუაზიის ეს სწრაფვა იყო მიზეზი იმისა, რასაც ლუთერმა მოჰკიდა ხელი, მხოლოდ სარწმუნოების სფეროში. რელიგიური სამოსელით ეს ქადაგება იყო პასუხი მაშინდელი ბურჟუაზიის მოთხოვნილებაზე.

ნ. ნიკოლაძისათვის ცხადია, რომ იმ პერიოდში ყველაზე პროგრესული კლასი ბურჟუაზია იყო. ამ კლასის ინტერესებს კი ყველაზე უკეთ ისევ ლუთერის მოძღვრება მოერგო. ნ. ნიკოლაძე წერდა: „იოანე ჰუსი და მისი პარტია

დამარცხდნენ იმიტომ, რომ ჯერ არ იყო დრო დამდგარი ძმობის ქადაგებისათვის, რომ ეკლესიის უფლებების ავტორიტეტისაგან უნდა წარმოშობილიყო არა ძმობის, არამედ პიროვნების ბატონობის, ინდივიდუალიზმის პრინციპი.

რეფორმაცია შეეხო საზოგადოების მხოლოდ იმ ფენებს რომლებისათვისაც ინდივიდუალიზმის პრინციპს არსებითი სარგებლობა მოჰქონდა; აი რატომ ჩასკიდა ხელი ლუთერის მოძღვრებას მთელმა საშუალო კლასმა, მთელმა ბურჟუაზიამ [3, გვ. 202]. მართლაც ლუთერის მოძღვრება თავისი შედეგებით დიდად დაეხმარა ბურჟუაზიას არა მარტო თეორიულად, იდეურად, არამედ პრაქტიკულადაც. მან ეს მოძღვრება შესანიშნავად გამოიყენა საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის.

როცა ლუთერი ქადაგებდა ინდივიდუალიზმის პრინციპს, უარყოფდა პაპისა და ეკლესიის ავტორიტეტს, სახელმწიფო მეთაურს აცხადებდა ამავე დროს ეკლესიის მეთაურად; ამით იგი ფაქტიურად ეკლესიას უქვემდებარებდა სახელმწიფოს, ზღუდავდა მისი მოქმედებისა და გავლენის არეს. ეს კი მომავალი ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის თეორიული საფუძვლების შემზადებაა.

პაპის ავტორიტეტის უარყოფას სხვა დადებითი მომენტიც გააჩნდა. მისი განსაკუთრებულობის უარყოფას თავისი განმსაზღვრელი მიზეზი და მიზანიც ჰქონდა. როგორც ჰუსისათვის, ისე ლუთერისათვისაც ერთ-ერთ და მნიშვნელოვან საზრუნავს ეროვნული საკითხი წარმოადგენდა. ისინი ესწრაფვოდნენ საკუთარი ერის განთავისუფლებას. ამ მიზნის განხორციელების გზაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა პაპის კოსმოპოლიტური გამგებლობა, რომელიც ზეგავლენას ახდენდა და ბოჭავდა ამა თუ იმ ერის განვითარებას. მისი ავტორიტეტის უარყოფა ემსახურებოდა ერების გამოფხიზლების საქმეს, პირობებს ქმნიდა იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისაგან ერების განთავისუფლებისათვის. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ლუთერმა თავისკენ მიიზიდა ხალხის მთელი მოწინავე ფენები. პრინციპით—რელიგიური საზრუნავი ერთი რომელიმე სამღვდელოების მოვალეობა კი არ არის, არამედ ერთნაირად ყველასი და ყველა ერის საქმეაო—ლუთერი ათავისუფლებდა ერებს რომის პაპის მონოპოლიური გამგებლობისაგან, უჩვენებდა გზას სულიერი თავისუფლების მისაღწევად, ხელს უწყობდა ეროვნული სულიერი კულტურის განვითარებას. აღნიშნული პრინციპით მან აღიარა ეროვნულის და პიროვნულის ქრისტიანულ-რელიგიური თავისუფლება, აქ შეჩერდა იგი და ამას იქით აღარ წასულა. იგი ესწრაფვოდა რეფორმაციული მოძრაობა შემოეფარგლა რელიგიური სფეროთი. მან „თავისუფალი ქრისტიანი“ აღიარა მხოლოდ „სულიერ სფეროში“. ხელისუფლებას და მალალი წრის წარმომადგენლებს უფლება დაუტოვა დაამყარონ ისეთი წესრიგი, რომელიც იქნება „ქრისტიანული მშვიდობის“ და „სულიერი თავისუფლების“ საფუძველი. მან გამოხატა საეკლესიო ფეოდალიზმთან გერმანელ-ბიურგერების ბრძოლის მისწრაფება და სამღვდელოების როლი გარკვეულად შემოფარგლა [8, გვ. 3].

უნდა აღინიშნოს, რომ ლუთერის, როგორც ბიურგერთა იდეოლოგის, ასეთი თვალსაზრისი მოულოდნელი არ იყო. როდესაც გლეხების და ქალაქის უღარიბესი ნაწილის რევოლუციურმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, ლუთერმა გადაუხვია რადიკალიზმს და წინ წამოსწია თავისი მოძღვრების კონსერვატული მხარე. იგი აღნიშნავდა, რომ „ქრისტიანული თავისუფლება“ უნდა გავიგოთ მხოლოდ სულიერი თავისუფლების აზრით, რომ სხეულებრივი, ფიზიკური, სოციალური მორჩილება სრულიად შეთავსებადია ქრისტიანულ თავი-

სუფლებასთან. მისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში კონსერვატულობა აშკარა გახდა, რამაც ფ. ენგელსს ათქმევინა: „ლუთერმა მთავრებს მიჰყიდა არა მარტო ხალხის, არამედ ბიურგერების მოძრაობაც“ [2, გვ. 50].

როდესაც ლუთერი აღიარებდა პიროვნული და ეროვნული სულიერი თავისუფლების იდეას, იგი პროგრესს ემსახურებოდა, მაგრამ როდესაც იგი ამის იქით აღარ წავიდა და ეს იდეა მხოლოდ სულიერი თავისუფლებით შემოსაზღვრა, როცა იგი ამით დაკმაყოფილდა და არ განავრცო სოციალურ თავისუფლებამდე, უფრო მეტიც, ასეთი სახის თავისუფლება უარყო, გამორიცხა, აქ იგი კონსერვატორია, რეაქციონერია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი გამოხატავდა ბიურგერთა ინტერესებს, რომელთა მრწამსითაც სულიერი თავისუფლება უდრიდა იურიდიულ თავისუფლებას და შორს იდგა პრაქტიკული, სოციალური, რეალური თავისუფლებისაგან. შემდგომში გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ მართლაც ასეთი თავისუფლება დაამკვიდრა.

ლუთერის ასეთი თვალსაზრისი განსაზღვრული იყო ეპოქის ინტერესებით, ეპოქის განვითარების დონით. იმ დროისათვის მას მეტს ვერც მოვთხოვთ, რადგან თვით სოციალური თავისუფლების იდეაც რომ ექადაგა, იდეაში შორს წასულიყო და რევოლუციას მიმხრობოდა, მაინც არ იყო ის კლასი, რომელსაც ეს იდეა უნდა განეხორციელებინა.

ამრიგად, ჰუსმა და ლუთერმა თავისი მოძღვრებებით ასახეს ბიურგერთა მისწრაფება თავი დაეხსნათ კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკური, იდეოლოგიური და უფრო მეტად მატერიალურ-ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან, გაეთავისუფლებინათ ადამიანი შუა საუკუნეობრიობისაგან და განესაზღვრათ სამყაროში მისი ადგილი, ეროვნულ სახელმწიფოებს მოეპოვებინათ პაპისაგან დამოუკიდებლობა.

კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ჰუსის, შემდეგ ლუთერის და სხვა რეფორმატორების ბრძოლამ თავისი ლოგიკური შედეგი გამოიღო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ეკლესიამ მართლაც განიცადა შესამჩნევი რეფორმაცია. მას წაართვეს მორალური და ეკონომიკური ძლიერების დასაყრდენი საშუალებები, გამოაცალეს მის მატერიალურ განდიდებას საფუძვლები. გამოაშკარავებული და უარყოფილი იქნა სათანადო დოგმატიკა და კულტი, რომელიც იცავდა და ამართლებდა ეკლესიის რთულ იერარქიულ სისტემას და სიმდიდრეს. შედეგად მივიღეთ დოგმატიკით და კულტით გამარტივებული ეკლესია—ახალი ქრისტიანული მიმდინარეობის—პროტესტანტიზმის სახით, რომელსაც წარმეული ჰქონდა იერარქიული და მატერიალური უპირატესობანი და რომელიც სრულიად შეესაბამებოდა მაშინდელი ბურჟუაზიის ინტერესებს.

ნ. ნიკოლაძე სწორად აფასებს რეფორმაციის საქმეში ჰუსისა და ლუთერის დამსახურებას, ხედავს და ამასთანავე დამაჯერებლად ამტკიცებს ამ ორ რეფორმატორს შორის მჭიდრო კავშირს. სრულიად სამართლიანად ჰუსში ხედავს იგი ლუთერის წინამორბედს, ხოლო ლუთერში—პირველის დაწყებული საქმის გამგრძელებელს. სწორადაა ნ. ნიკოლაძის მიერ მინიშნებული თითოეული მათგანის ნაკლიც, რაც სამართლიანად ახსნილია მათივე ეპოქების შეზღუდულობით.

А. К. КАВЛЕЛАШВИЛИ

Н. НИКОЛАДЗЕ О МЕСТЕ ЯН ГУСА И МАРТИНА ЛЮТЕРА В РЕФОРМАЦИИ

Резюме

Нико Николадзе в деле освобождения человека от религиозного рабства средневековья и дальнейшего развития общества особое значение придавал реформации. Из реформаторов он выделял Гуса и Лютера, причем Гуса считал предшественником, а Лютера— его достойным преемником. По мнению Н. Николадзе, Гус намного облегчил Лютеру решение поставленных задач. Вместе с тем, Н. Николадзе одним из основных недостатков в деятельности Гуса полагал вынашивание им идеи братства, совершенно несоответствующей тому времени, что и обусловило поражение возглавляемого им движения. Что же касается оценки деятельности Лютера, то, напротив, достоинством его учения считается развитие взглядов, соответствующих той эпохе, в частности, подчеркивание значения индивидуального, личностного.

Деятельность Гуса и Лютера проложила путь к демократизму, свободе личности, что для того времени имело огромное историческое значение.

ლიტერატურა

1. მარქსი კ. ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი, თბილისი, 1971.
2. ენგელსი ფ. გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1956.
3. ნიკოლაძე ნ. რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო, თხზულებანი, ტ. 1, თბილისი, 1962.
4. Белгородский А. В. За что боролся и пострадал Ян Гус, П., 1916.
5. Рубцов Б. Т. Гусистские войны. М., 1955.
6. Рубцов Б. Т. Ян Гус. М., 1958.
7. Рутенбург В. И. Титаны Возрождения, Ленинград, 1976.
8. Смирин М. А. Народная реформация Томаса Мюнцера и великая крестьянская война, М., 1955.
9. Смирин М. М. Германия эпохи Реформации и великой крестьянской войны, М., 1962.
10. Филиппов М. М. Ян Гус. Его жизнь и реформаторская деятельность, П., 1902.
11. Философская энциклопедия, т. I, М., 1960.
12. Философская энциклопедия. т. 3, М., 1964.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტმა

დავით თაყაიძე

რასელის მნიშვნელობის თეორიის პრინციპების უმსახეზ

როდესაც მნიშვნელობის რასელისეულ თეორიაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ, მხედველობაში აქვთ დესკრიფციათა თეორიის სახელით ცნობილი თეალსაზრისი, რომელიც გადმოცემულია [7], [8], [10]-ში. ამ თეორიის ძირითადი დებულებები მთელი სიცხადით ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ კიდევ 1905 წლის სტატიაში [7], თუმცა ტერმინი „დესკრიფცია“ (ან „განსაზღვრული დესკრიფცია“) აქ არ გვაქვს; მის ნაცვლად ფიგურირებს „აღმნიშვნელი ფრაზა“. თეორიის ძირითად დაშვებას წარმოადგენს დებულება, რომ აღმნიშვნელ ფრაზას არა აქვს დამოუკიდებლად არავითარი მნიშვნელობა, არამედ მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ იმ კონტექსტებს, რომლებშიც ეს უკანასკნელი გვხვდება. ასე რომ, ფრაზის მნიშვნელობა, რომელსაც ის კონტექსტებში იძენს, მთლიანად ხმარებითაა განპირობებული. ვინაიდან აღმნიშვნელი ფრაზა მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას, ამიტომ ის არც უნდა იყოს არსებითი წინადადების სტრუქტურისათვის და მაშასადამე, შესაძლებელი უნდა იყოს ამ სტრუქტურიდან მისი ელიმინაცია. ეს არის დესკრიპციათა თეორიის ყველაზე საყურადღებო შედეგი. რით იყო განპირობებული ასეთი მიდგომა? ამ დროისთვის, ენობრივ გამოსახულებათა ლოგიკურ-სემანტიკურ ანალიზს არ გააჩნდა მდიდარი ტრადიციები. საკმარისია ითქვას, რომ ამ საქმის პიონერი—გერმანელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი და მათემატიკოსი გ. ფრეგე, თითქმის მივიწყებულ იქნა და მას ხელახალი აღმოჩენი დასჭირდა რასელის სახით. ფრეგეს უკვე გააჩნდა მწყობრი თეორია ენობრივ გამოსახულებათა სემანტიკური ანალიზისათვის, რომელიც საზრის-დენოტატის დიხოტომიას ეფუძნება. მართალია, დენოტატის ცნებამ გარკვეული მოდიფიკაციები განიცადა მას შემდეგ, რაც პირველად ფრეგეს მიერ იქნა დადგენილი, მაგრამ ობიექტი, რომელსაც ენობრივი გამოსახულება აღნიშნავს, კამათის საგნად იქცა, რაც დღემდე გრძელდება; სიძნელეს ე. წ. „ცარიელ სახელთა“ გაზრება ქმნის: რას ეხება მსჯელობა „პეგასი არის ფრთოსანი ცხენი“? ან რას ნიშნავს „მრგვალი კვადრატი“. „საფრანგეთის თანამედროვე მეფე“ და სხვ.? საკითხი ასეთ ობიექტთა ონტოლოგიურ სტატუსს შეეხო და ლოგიკური პრობლემატიკა აშკარად გადაეჭლო ფილოსოფიურს. ზოგიერთი ლოგიკოსის ცდებს (მაგ. მაინონგი), გაეაზრებინათ არარსებულ საგანთა უნივერსუმი მსგავსად რეალური ერთობლიობისა, შედეგი არ მოჰყოლია. ასეთი ნაბიჯი საფრთხის ქვეშ აყენებდა ლოგიკის ისეთ ფუნდამენტურ კანონს, როგორცაა წინაღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. მეორეს მხრივ, ასევე მიუღებელი აღმოჩნდა ცდაც უაზრობად გამოგვეცხადებინა კონსტრუქციები, რომლებიც არარსებულ ობიექტებს ეხებოდა: ასეთი ნაბიჯი აშკარად აღარიბებდა ენას, ამასთან, კრძალავდა ისეთი კონსტრუქციების ხმარებასაც, რომელთა აზრიანობა, სულ ცოტა, ეჭვს გარეშე მაინცაა დაყენებული.

ზემოთ მოტანილი სიძნელეები გამომდინარეობენ ე. წ. სახელდების მიმარ-

თების საგნობრიობის პრინციპიდან: სახელი, თუ კი ის მნიშვნელობს, არის რაიმეს სახელი, ვინაიდან არაა არ შეიძლება სახელდებულ იქნეს. ამიტომ, თუ კი გვაქვს მნიშვნელობის მქონე სახელი, უნდა გაგვაჩნდეს შესატყვისი ობიექტი, რომელიც ამ სახელითაა აღნიშნული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსჯელობანი, სადაც ეს სახელები გვხვდებიან, უაზრობები უნდა იყონ. ასეთ მიდგომას ადვილად მიეყავართ წინააღმდეგობამდე. მაგ. იქიდან, რომ მსჯელობა მრგვალი კვადრატის შესახებ (რომ ის არ არსებობს) აზრიანია, გამოდის, რომ სახელით „მრგვალი კვადრატი“ აღნიშნული ობიექტი არსებობს.

ამის გამო, რასელის მიერ აღმნიშვნელი ფრაზების დამოუკიდებელი მნიშვნელობის უარყოფა წარმოადგენდა ბუნებრივ ნაბიჯს: ჩვენ ყოველთვის უარყოფთ დამუხრებლობას, რომელმაც ჩიხში მიგვიყვანა. რასელი იძლევა მეთოდს ამ ფრაზების ისეთნაირი ინტერპრეტაციისათვის, რომ წინადადებაში, სადაც ის გვხვდება, სახელის ნაცვლად ჩნდება გამოსახულება, რომელიც არც ერთ კერძო საგანს არ უთითებს. ასე, რომ ზედმეტი ხდება „მრგვალი კვადრატის“ ან „პეგასის“ კორელატების ძებნა სამყაროში. მსჯელობა მათ უბრალოდ არ ეხება. თუმცა, ამ „ბუნებრივი“ ნაბიჯის გადადგმა არც ისე იოლი პროცესი იყო და რასელისთვის არა მარტო წინამორბედთა, არამედ საკუთარი თავის დაძლევისაც ნიშნავდა.

წერილის მიზანია იმ ვითარების აღწერა, რომელიც წინ უძღოდა [7]-ში ჩამოყალიბებული თვალსაზრისის დადგენას, ნაჩვენებია სიძნელეები, რომელიც დესკრიფციითა თეორიას უნდა გადაეჭრა. რაც შეეხება საკუთრივ დესკრიფციითა თეორიას, ქვემოთ ის წარმოდგენილი არ არის.

§ 1. [6]-ში წარმოდგენილი თვალსაზრისის ძირითადი ცნებები. [6]-ში წარმოდგენილი თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა ტერმინი. ის რაც შეიძლება აზრისათვის წარმოადგენდეს ობიექტს, ან შეიძლება გვხვდებოდეს ნებისმიერ ყალბ თუ ქეშმარიტ მსჯელობაში, როგორც განსჯის ობიექტი, ან შეიძლება მიჩნეულ იქნეს ერთად (ინდივიდუალად), წარმოადგენს ტერმინს [6, გვ. 43]. ტერმინის სინონიმებია: ერთეული, ინდივიდი, ნივთი. მის მნიშვნელოვან თავისებურებას შეადგენს ის ფაქტი, რომ ტერმინი დაუნაწევრებელი და შეუცვლელი ერთეულია: ის არის ის რაც არის და ყოველგვარი ცვლილება არღვევს მის ამ-ტერმინობას, ანუ, სხვა ტერმინად აქეცვს მას [6, გვ. 43].

ამგვარად, ტერმინი „ტერმინი“ სულ ცოტა ორი მნიშვნელობით იხმარება: მსჯელობის სუბიექტი და ერთეული საგანი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ გავმიჯნავთ ამ ორს და პირველს ს-ტერმინებს ვუწოდებთ.

ზოგადად ტერმინები იყოფა ორ ნაწილად:

ა) საგნები — ეს ის ტერმინებია, რომლებიც ენაში საკუთარი სახელებით მიითითებიან;

ბ) კონცეფტები — ეს ის ტერმინებია, რომლებიც ენაში დანარჩენი (საკუთარ სახელთა გარდა) სიტყვებით მიითითებიან.

თავის მხრივ, კონცეფტებიც განიყოფებიან ორად:

გ) კონცეფტები, რომლებიც ენაში ზედსართავი სახელებით მიითითებიან (პრედიკატები, ანუ კლას-კონცეფტები);

დ) ისინი, რომლებიც ენაში ზმნებით მიითითებიან (მიმართებები) [6, გვ. 44].

სხვა ტერმინებისაგან განსხვავებით, კონცეფტებს ახასიათებს ერთი მეტად

მნიშვნელოვანი თვისება: ისინი აღნიშნავენ. აღნიშვნა წარმოადგენს ლოგიკურ მიმართებას რაიმე კონცეფტსა და ტერმს შორის [6, გვ. 46]; კონცეფტი აღნიშნავს მხოლოდ მაშინ, თუ კი ის გვხვდება მსჯელობაში და ეს უკანასკნელი ეხება არა ამ კონცეფტს, არამედ კონცეფტის მიერ მითითებულ საგანს [6, გვ. 56].

თეორიის მეორე მნიშვნელოვანი ცნებაა მსჯელობა. მსჯელობა არ წარმოადგენს ლინგვისტურ ობიექტს: ლინგვისტური ბუნების მისი სიტყვიერი გამოხატვაა. ამიტომ წინადადებაში შემავალი სიტყვების მნიშვნელობებს შეადგენენ მსჯელობაში შემავალი ობიექტები. ისინი მოცემული სიტყვებით მითითებულიან. მეორეს მხრივ, მსჯელობა არც საგნობრივი ბუნებისაა, თუმცა ყოველთვის მათ ეხება. საგანი, რომელიც მსჯელობის ობიექტს შეადგენს, აღნიშნულია მსჯელობაში შემავალი ტერმებით.

მსჯელობის ასეთნაირი გააზრება იძლევა [6]-ში წარმოდგენილი მნიშვნელობის თეორიის გასაღებს: სიტყვებს ყოველთვის გააჩნია მნიშვნელობა იმ აზრით, რომ ისინი სიმბოლოებს წარმოადგენენ და, მაშასადამე, მიუთითებენ რაიმეზე. მაგრამ ეს რაიმე არ წარმოადგენს საგანს, არამედ იმას, რაც მსჯელობისეულია. სიტყვის მნიშვნელობა ეს არის მითითება მსჯელობაში შემავალ ობიექტზე. მაშასადამე, სიტყვებს, როგორც სიმბოლოებს აქვთ მითითებითი მნიშვნელობა, ხოლო ის, რასაც ფრეგე საზრისს უწოდებს, მათ არ გააჩნიათ. ამიტომ სიტყვის მნიშვნელობის კვლევა, რასელისათვის, არ არის ლოგიკისათვის საინტერესო. ლოგიკის კვლევის ობიექტია დენოტაცია, როგორც ლოგიკური მიმართება, გააზრებული მიმართებად გარკვეულ ტერმებს შორის, კერძოდ, საგნებსა და კონცეფტებს შორის და რომელიც ხასიათდება იმით, რომ კონცეფტი აღნიშნავს საგანს.

დაბოლოს, კიდევ ერთი ცნება, რომელიც ძირითადი ხდება [7]-ში. ესაა აღმნიშვნელი ფრაზა.

როდესაც რასელი სამეტყველო ენიდან გამოყოფს მათემატიკის საჭიროებისათვის მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, ის მიუთითებს ექვს ინგლისურ სიტყვაზე: all, every, any, a, some, the; ამათგან ორი არტიკლია: განუსაზღვრელი a და განსაზღვრული the (ინგლისური ენისათვის ამ არტიკლების ხმარება გარკვეული სემანტიკური ღირებულებების მქონეა: სახელი, რომელიც a არტიკლითაა პრეფიქსირებული, ზოგად სახელად იქცევა, მაშინ როდესაც the არტიკლის ხმარება მოცემული სიტყვით მითითებული საგნის ერთადერთობის მაჩვენებელია. ამდენად, ერთი და იგივე სიტყვა მაგ. man ორ სხვადასხვა კომბინაციაში a man და the man ორი სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელია). დანარჩენი სიტყვები: ყოველი, ნებისმიერი, რომელიმე V და X კვანტორებია. რასელი შენიშნავს, რომ ფრაზა, რომელიც ამ ექვს სიტყვათაგან ერთ-ერთს შეიცავს, ყოველთვის აღნიშნავს (აქ, ალბათ, უზუსტობაა, ვინაიდან, როგორც ვიცით, აღნიშნავს არა ფრაზა (გარკვეული სტრუქტურის მქონე სიტყვათა წყობა) არამედ ის, რასაც ფრაზა უთითებს და რაც მსჯელობისეულია), ამიტომ ასეთი ფრაზები წარმოადგენენ „აღმნიშვნელ ფრაზებს“. შემდგომ რასელი უფრო აზუსტებს ამ გამოთქმას: აღმნიშვნელი ფრაზა ყოველთვის შედგება კლას-კონცეფტისაგან, რომელსაც წინ უსწრებს ერთ-ერთი შემოთ ნახსენები ექვსი სიტყვიდან, ან მათი რომელიმე ექვივალენტი [6, გვ. 56]. აქაც, როგორცა სჩანს, უზუსტობასთან გვაქვს საქმე: კლას-კონცეფტი, როგორც კონცეფტი, არალინგვისტური ობიექტია; ამიტომ, მისი პრეფიქსირება სიტყვით შეუძლებელია. უფრო კორექტული იქნებოდა გვეთქვა: აღმნიშვნელი ფრაზა

ყოველთვის შედგება სიტყვისაგან, რომელიც რაიმე კლას-კონცეფტს უთითებს და ამ სიტყვას წინ უსწრებს ერთ-ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი სიტყვიდან.

ქვემოთ, [7]-ში წარმოდგენილი სიძნელეების განხილვისას, კიდევ შევეხებოთ აღნიშნულ ფრაზის თავისებურებას.

§ 2. საზრის-დენოტატის ფრეგესეული დიხოტომიის მიმართება დენოტაცი-ის რასელისეულ გააზრებასთან. [6]-ის მეორე გამოცემის დამატებაში რასელი ეხება ფრეგეს თეორიას და სხვათა შორის, წერს: „განსხვავება მნიშვნელობას (sinn) და მითითებას (Bedeutung) შორის დაახლოებით (თუმცა არა მკაცრად) ექვივალენტურია ჩემი განსხვავებისა კონცეფტს როგორც ასეთსა და იმას შორის, რასაც ეს კონცეფტი აღნიშნავს“ [6, § 476]. ჩვენის აზრით, საინტერესოა განვიხილოთ, თუ რაში მდგომარეობს ეს ანალოგია ან ექვივალენტობა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ფრეგესეული ცნებები sinn (საზრისი) და Bedeutung (დენოტატი, რეფერენტი) ახასიათებენ გარკვეული ტიპის ენობრივ გამოსახულებებს—საკუთარ სახელებს. კავშირი სიმბოლოსი მის საზრისთან და დენოტატთან ისეთია, რომ სიმბოლოს შესატყვისება გარკვეული საზრისი და ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, გარკვეული დენოტატი; მაშინ როდესაც მოცემულ დენოტატს არ შესატყვისება მხოლოდ ერთი სიმბოლო [3, გვ. 27]. საკუთარი სახელი (სიტყვა, სიმბოლო, სიმბოლოთა კომბინაცია, გამოსახულება) გამოხატავს მის საზრისს და წარმოადგენს ან აღნიშნავს მის დენოტატს. სიმბოლოს საშუალებით ჩვენ გამოვხატავთ საზრისს და აღვნიშნავთ დენოტატს [3, გვ. 31]. როგორც ვხედავთ, შესატყვისობა საზრისსა და დენოტატს შორის სრულიად არ გულისხმობს იმას, რომ ეს უკანასკნელი აღნიშნულია პირველით. აღნიშნავს ენობრივი სიმბოლო და არა საზრისი. საზრისსა და დენოტატს შორის არსებობს მხოლოდ შესატყვისობა, რაც თვით სიმბოლოთა განსაზღვრული; სიმბოლო ყოველთვისაა საზრისის მატარებელი, მაშინ როდესაც დენოტატი შეიძლება არც კი ჰქონდეს [3, გვ. 26].

ახლა ვნახოთ თუ რა კორელატები შეიძლება მოექცნოთ ამ ცნებებს [6]-ში. დავიწყოთ დენოტატი (Bedeutung):

როგორც ვნახეთ, Bedeutung ეს არის საგანი, ობიექტი, რომელიც სიმბოლოთი, სიტყვით არის აღნიშნული. მაგრამ [6]-ში სიმბოლო არაფერს არ აღნიშნავს, არამედ მხოლოდ უთითებს ტერმებს. მაშასადამე ფრეგესეული be-
deuten, როგორც მიმართება სიმბოლოსა და ობიექტს შორის არის მითითება რასელისათვის და, ამდენად, Bedeutung უნდა იყოს ტერმი. მაგრამ ეს ორი ცნება არ არის იგივეური, ვინაიდან ტერმი მსჯელობისეულია და არა ობიექტივირებული და შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ს-ტერმს, ისე კონცეფტს. ენობრივი სიმბოლო, ანუ სიტყვა უთითებს ორივეზე; ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, უთითებენ შესაბამისად საგნებს და თვისებებს, ხოლო აღნიშვნა, როგორც ლოგიკური მიმართება, არის მიმართება კონცეფტსა და ტერმს შორის, და არა სიმბოლოსა და ობიექტს შორის.

მეორეს მხრივ, ფრეგესეული sinn წარმოადგენს ენობრივი გამოსახულების მიერ გამოთქმულ აზრს, იმ ინფორმაციას, რომელიც სახელის გამოთქმისას (ან წაკითხვისას) გაიაზრება. ემოხვევა თუ არა sinn-ის ეს მნიშვნელობა რასელისეულ meaning-ს?

[6]-ის § 51-ში რასელი აზუსტებს ტერმინ meaning-ის იმ აზრს, რომლითაც მას მოიხმარს: „ყველა სიტყვას გააჩნია მნიშვნელობა იმ უბრალო აზრით რომ ისინი წარმოადგენენ სიმბოლოებს, რომლებიც თავისაგან განსხვავებულ რაიმეს მიუთითებენ. მაგრამ მსჯელობა, სანამ ის არ იქცევა ლინგვისტურ ობიექტად, თავისთავად არ შეიცავს სიტყვებს: ის შეიცავს ობიექტებს, რომლებიც ამ სიტყვებითაა მითითებული. ამრიგად, იმ აზრით ნახმარი მნიშვნელობა (meaning), რომლითაც ის სიტყვებს გააჩნია, ლოგიკისათვის ირელევანტურია. მაგრამ კონცეფტებს, როგორც, მაგ. ადამიანი, გააჩნია მნიშვნელობა (meaning) სხვა აზრით: ისინი, ასე ვთქვათ, სიმბოლურია თავიანთი საკუთარი ლოგიკური ბუნების გამო, ვინაიდან გააჩნიათ თვისება, რომელსაც მე დენოტაციას ვუწოდებ... მაგრამ ... ობიექტს, რომელიც სიტყვა „ჯონი“-თ არის მითითებული, არა აქვს მნიშვნელობა (meaning), და თვით კონცეფტებს შორისაც მნიშვნელობა (meaning) გააჩნია მხოლოდ იმათ, რომლებიც აღნიშნავენ (denote)“. მნიშვნელობა (meaning), რომელიც ლოგიკისთვის ირელევანტურია, შემდგომ არც უნდა მიიღებოდეს მხედველობაში. რასელმა არაორაზროვნად დაადგინა ტერმინ meaning-ის საზღვრები: ესაა დენოტატი, რომელიც გააჩნია აღმნიშვნელ კონცეფტს და ამრიგად, წარმოადგენს ტერმს, უფრო ზუსტად, ს-ტერმს. ხოლო ამ შემთხვევაში, sinn არ ითარგმნება meaning-ად.

შეიძლება ითქვას, რომ არ ემთხვევა sinn-ის შინაარსი კონცეფტს? ასეთი გაიგივების საფუძველს თითქო უნდა იძლეოდეს [7]-ში ნახმარი ფრაზა: „მნიშვნელობა აღნიშნავს დენოტატს“, ხოლო აღნიშნავს, როგორც ვიცით, კონცეფტი. ასეთი რამ რომ არ უნდა იყოს მართებული, ნათელია იქიდან, რომ აღნიშვნის ფუნქცია sinn-ს არ აკისრია. sinn-ს სიმბოლოთი აღნიშნული ობიექტი შეესატყვისება და ვინაიდან, ყოველი სიმბოლო არის გარკვეული, სხვა სიმბოლოსაგან განსხვავებული sinn-ის მატარებელი, ამიტომ ერთსა და იმავე ობიექტს შეიძლება შეესატყვისებოდეს იმდენი sinn, რამდენი სიმბოლოც შეგვიძლია შევარჩიოთ მოცემული ობიექტისათვის. ასე, რომ ობიექტთან ფაქტიურად დაკავშირებულია საზრისთა რაღაც კლასი, მაშინ როდესაც ტერმის (ს-ტერმის) დამოკიდებულება კონცეფტთან (აღმნიშვნელ კონცეპტთან) ასეთი არაა.

§ 3. აღმნიშვნელ ფრაზათა დაყოფა. სიძნელეები აღმნიშვნელ ფრაზათა გააზრებისას. როგორც ზემოთ ითქვა, [7]-ის ძირითად ცნებას წარმოადგენს „აღმნიშვნელი ფრაზა“. ეს ცნება აქ დეფინიციის გარეშე შემოდის და მისი შინაარსი ვასაგები ხდება მაგალითებზე მითითებით. მოტანილი მაგალითები კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ ფრაზა აღმნიშვნელია მხოლოდ და მხოლოდ თავისი ფომის ძალით.

აღმნიშვნელი ფრაზები სამ ჯგუფად არიან დაყოფილნი:

1. ფრაზა ფორმის მიხედვით აღმნიშვნელია, თუმცა არ არსებობს რაიმე, რომელსაც იგი აღნიშნავს. მაგ. „საფრანგეთის თანამედროვე მეფე“.
2. ფრაზა ფორმის მიხედვით აღმნიშვნელია და არსებობს ერთადერთი ობიექტი, რომელსაც ის აღნიშნავს. მაგ. „ინგლისის თანამედროვე მეფე“ აღნიშნავს ერთ გარკვეულ ადამიანს.
3. ფრაზა შეიძლება აღნიშნავდეს გაურკვეველად, როგორც მაგ. „რომელიღაც კაცი“.

რასელი დაადგენს სამ სიძნელეს, რომელთაც აღმნიშვნელი ფრაზების გააზრება ქმნის.

(ა). თუ *a* იდენტურია *b*-სი, მაშინ ის რაც ჭეშმარიტია ერთის შესახებ, ჭეშმარიტი იქნება მეორის შესახებაც. ასე, რომ ერთი ყოველთვის შეგვიძლია ჩავნაცვლოთ მეორეთი ნებისმიერ კონტექსტში ამ უკანასკნელის ჭეშმარიტებითი ფასის შეუცვლელად.

ახლა, ვთქვათ გვაქვს

4. „გეორგ IV უნდოდა სცოდნოდა იყო თუ არა სკოტი „ვევერლის“ ავტორი“;

მეორეს მხრივ, ვიცით, რომ ჭეშმარიტია

5. „სკოტი = „ვევერლის“ ავტორი“;

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

6. „გეორგ IV უნდოდა სცოდნოდა იყო თუ არა სკოტი სკოტი“.

მიუხედავად ჩანაცვლების კორექტულობისა, (4) და (6) წინადადებანი უთავისა.

(ბ). გამორიცხული მესამეს კანონის ძალით ჭეშმარიტია ან „A არის B“, ან „A არ არის B“. მაშასადამე, ჭეშმარიტი უნდა იყოს ან

7. „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არის მელოტი“ ანდა

8. „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არ არის მელოტი“. როგორც ვიცით, ორივე წინადადება ყალბია.

(გ). მესამე სიძნელე ეხება არსებობის უარყოფას. ვთქვათ გვაქვს შემდეგი წინადადება

9. „A განსხვავდება B-გან“;

თუ კი (9) ჭეშმარიტია, A მართლაც განსხვავდება B-გან და მაშინ არსებობს ისეთი რამ, რასაც შეიძლება ეწოდოს „A და B-ს სხვაობა“. ეს გარემოება შეიძლება გამოითქვას შემდეგი ჭეშმარიტი წინადადებით:

10. «A და B-ს სხვაობა არსებობს»;

თუ კი A განსხვავებულია B-გან, მაშინ (10) ყალბია და მაშასადამე არ არსებობს ისეთი რამ, როგორცაა „A და B-ს სხვაობა“, რაც ასევე შეგვიძლია ჭეშმარიტი წინადადებით გამოვთქვათ:

11. „A და B-ს სხვაობა არ არსებობს“;

მაგრამ რის არარსებობაზეა ლაპარაკი? როგორაა შესაძლებელი, რომ არარსებული იყოს მსჯელობის სუბიექტი?

მოტანილი სიძნელები საზოგადოდ ახასიათებს თვალსაზრისს, რომლის თანახმად აღმნიშვნელი ფრაზა აღნიშნავს დენოტატს და გამოხატავს საზრისს. თუ გვსურს, რომ მათ თავი დავაღწიოთ, უნდა შევძლოთ შესაბამის სიტუაციებში საჭირო დენოტატების უზრუნველყოფა; ანდა საერთოდ უარი ვთქვათ ისეთ რამეზე, რასაც აღმნიშვნელი ფრაზის დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძლება ეწოდოს. პირველი ალტერნატივა განხორციელებული იყო [6]-ში. ხოლო [7]-ში რასელი მიიჩნევს, რომ აღმნიშვნელი ფრაზისადმი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მინიჭება არის შეცდომა, რომელიც ამ უკანასკნელის არასწორი ანალიზითაა განპირობებული.

შესაძლოა, ამის მიზეზი იყო კიდევ ერთი სიძნელე, რომლის ანალიზსაც რასელი [7]-ში გვთავაზობს.

§4. „აღმნიშვნელი კომპლექსი“ და სიძნელე, რომელიც მას უკავშირდება.

ჩვენ მოთხრობით ერთ გარემოებას, რაც, ჩვენი აზრით, საინტერესო უნდა იყოს დესკრიფციათა თეორიის გააზრებისათვის. ჩვეულებრივ მიჩნეულია, რომ [7]-ში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი დადგინდა მაინონგისა და ფრეგეს მიერ შემოთავაზებული კონცეფციების ნაკლოვანებათა გააზრების შედეგად. რას ეხებოდა ეს კონცეფციები და რა ნაკლი ახასიათებდა მათ?

ზემოთ, როდესაც [7]-ში მოტანილი სიძნელები განვიხილეთ, აღვნიშნეთ, რომ მათგან თავის დასაღწევად უნდა შევძლოთ შესაბამის სიტუაციებში საჭირო დენოტატების უზრუნველყოფა. გარდა [6]-ში წარმოდგენილი თვალსაზრისისა, არსებობდა კიდევ ამ მოთხოვნის განხორციელების ორი გზა. ერთი ეკუთვნოდა მაინონგს, ხოლო მეორე — ფრეგეს.

მაინონგს მიაჩნდა, რომ გრამატიკულად სწორად აგებული ყოველი აღმნიშვნელი ფრაზა წარმოგვიდგენს ობიექტს, მაგ. „საფრანგეთის თანამედროვე მეფე“ ობიექტია ისევე, როგორც „ინგლისის თანამედროვე მეფე“; თუმცა პირველი არ არსებობს, მას და მის მსგავს ობიექტებს მაინც მიეწერება რაღაც ტიპის ყოფა, ე. წ. გარეყოფა (Aussersein). წინადადებაში, რომლის სუბიექტადაც ასეთნაირი ფრაზა გვევლინება, ნაგულისხმებია სწორედ ეს „გარემყოფი“ ობიექტი.

აღნიშნული თვალსაზრისი, რასელის აზრით, ერთი სიძნელის შემცველი მაინცაა: კერძოდ, დებულება, რომ რაღაც ყოფობს (ე. ი. რაღაცნაირად არსებობს), თუმც არ გააჩნია ეგზისტენცია, უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს: რაღაც არ არსებობს, და მიუხედავად ამისა, მაინც არის.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის დარღვევა აცილებულია ფრეგეს მიერ: იმ შემთხვევებში, როდესაც ფრაზისათვის დენოტატი არ არსებობს, ის ჩვენ კონვენციონალურ დენოტატებს გეთავაზობს; მაგალითად, ასეთ დენოტატად შეიძლება გამოდგეს ნულოვანი (ცარიელი) კლასი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცედურა ლოგიკურად უნაკლოა, რასელისათვის ის მიუღებელია მეტისმეტი ხელოვნურობის გამო.

ამრიგად, საჭირო დენოტატის უზრუნველყოფა, როგორც გამოიჩვენა, სიძნელეს აწყდება. მაგრამ ასეთივე სიძნელეს აწყდება ამ დენოტატებზე უარის თქმაც: საილუსტრაციოდ გამოდგება სწორედ ის სიძნელე, რომელიც არარსებულ საგანთა არარსებობაზე გამოთქმულ ჭეშმარიტ მსჯელობაში იგულისხმება და რომელიც, თავის მხრივ, ერთი კითხვით გამოითქმის: რის არარსებობაზეა ლაპარაკი?

თუ კი რასელი ფრეგესა და მაინონგს დაუპირისპირდებოდა, მაშინ მას უარი უნდა ეთქვა სწორედ დენოტატის პოსტულირებაზე და, ამგვარად, ის მეორე სიძნელის წინაშე აღმოჩნდებოდა. მაგრამ ერთი სიძნელის ხარჯზე მეორის შემოტანა არ წარმოაგენს გამოსავალს და [7]-ის კონცეფციაც ამ გზით რომ განვითარებულყო, პრინციპულად, არავითარი სიახლე დესკრიფციათა თეორიას არ მოჰყვებოდა.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ სიძნელები მოიხსნა სულ სხვა გზით: რასელმა უარი დენოტატზე კი არ განაცხადა, არამედ იმაზე, რასაც აღმნიშვნელი ფრაზის მნიშვნელობა ჰქვია. მაგრამ ეს არ არის არც მაინონგის და არც ფრეგეს კონცეფციების ალტერნატივა, და ამდენად, თქმა იმისა, რომ რასელი მაინონგისა და ფრეგეს დაპირისპირებაში აყალიბებს თავის მოძღვრე-

ბას, არაკორექტული უნდა იყოს. უფრო კორექტული, როგორცა სჩანს, იქნება შემდეგი: მინონგისა და ფრეგეს მიერ შემოთავაზებული ცდები არაღამაკმაყოფილებელია. ასევე არაღამაკმაყოფილებელია ალტერნატიული მიდგომაც. ამიტომ დენოტატის დაშვება-არდაშვებაზე ორიენტირებული თვალსაზრისი ნაკლოვანი იქნება ყოველთვის. როგორცა სჩანს, ამ სიძნელეთა თავი და თავი დენოტატისგან არც არის დამოკიდებული. ჩვენი აზრით, ამ ფაქტის გაცნობიერება არის სწორედ მინონგთან და ფრეგესთან პოლემიკისა თუ დაპირისპირების შედეგი. რაც შეეხება მნიშვნელობაზე უარის თქმას, ეს უკანასკნელი, როგორც უნივერსალური საშუალება ზემოთ მოტანილი სიძნელეების მოხსნისა, ნაკარნახევი იყო სულ სხვა თვალსაზრისის ხელახლა გააზრების შედეგად; ეს თვალსაზრისი არის [6]-ში შემოთავაზებული კონცეფცია.

ამ დასკვნის საფუძველს იძლევა ცნობილი ადგილი [7]-დან, რომელიც ე. წ. „ელეგის პარადოქსს“ ეხება.

სიძნელე, მოკლედ, შემდეგში მდგომარეობს: ვიცით, რომ აღმნიშვნელ ფრაზას გააჩნია მნიშვნელობა და ასევე ვიცით ის, რომ ამ მნიშვნელობით აღმნიშვნება დენოტატი: აღმნიშვნელი ფრაზის მნიშვნელობა ხომ აღმნიშვნელი კომპლექსია (ეს ტერმინი ადრე არ გვხვდება. [6]-ში მისი შესატყვისია აღმნიშვნელი კონცეფტი, რაც ნიშნავს აღმნიშვნელი ფრაზით მინიშნებულ მსჯელობისეულ ობიექტს) (იხ. § 1) და არა ფრეგესეული საზრისი, როგორც ეს შეიძლება სიტყვა „მნიშვნელობამ“ გვიკარნახოს (იხ. § 2). ახლა, ბუნებრივია, თუ კი გვაქვს ორი განსხვავებული ობიექტი, უნდა შეგვეძლოს კიდევ მათზე ცალ-ცალკე ლაპარაკი, ე. ი. უნდა შეგვეძლოს მათ შესახებ ისეთი ენობრივი კონსტრუქციების აგება, სადაც მათი სახელები ქვემდებარეს წარმოადგენენ. სხვა სიტყვებით, ისეთი მსჯელობების განხორციელება, რომლებიც მათ, როგორც განსჯის ობიექტს, ეხება. თუ კი, აქედან გამომდინარე, ვეცდებით ვილაპარაკოთ ფრაზის მნიშვნელობაზე, როგორც მის დენოტატისადმი დაპირისპირებულზე, ვნახავთ, რომ განსხვავება მნიშვნელობასა და დენოტატს შორის ხელიდან გვიქრება. როგორ არის ეს შესაძლებელი?

ვთქვათ გვაქვს აღმნიშვნელი ფრაზა c , და დავუშვათ, რომ მას გააჩნია მნიშვნელობა (აღვნიშნოთ $M(c)$ -თი) და დენოტატი (აღვნიშნოთ $D(c)$ -თი). ვთქვათ გვინდა ვილაპარაკოთ $M(c)$ -ს შესახებ ისე, რომ მხედველობაში არ ვიქონოთ $D(c)$; საზოგადოდ, ვიცით, რომ თუ გვაქვს c შემცველი რაიმე კონტექსტი, საქმე ეხება $D(c)$ -ს; ამიტომ $M(c)$ -ზე ლაპარაკისთვის, ბუნებრივია ვიხმაროთ ბრჭყალები, ასე რომ „ c “ = $M(c)$. განსხვავება „ c “-სა და c -ს შორის ადვილი დასანახია შემდეგი მაგალითიდან:

გრეის ელეგის პირველი სტრიქონი გამოხატავს წინადადებას;

„გრეის ელეგის პირველი სტრიქონი“ არ გამოხატავს წინადადებას.

„ c “ წარმოადგენს აღმნიშვნელ კომპლექსს [7, 109]. ახლა განვიხილოთ გამოსახულება

„მნიშვნელობა c -სი“.

ერთი შეხედვით

მნიშვნელობა c -სი = $M(c)$.

მაგრამ ეს ასე არ არის. ის რასაც ფრაზა „მნიშვნელობა c -სი“ გულისხმობს, არის $D(c)$ -ს მნიშვნელობა: თუ კი c ბრჭყალებს გარეშე იხმარება, ის რაც გამოთქმულია c -ზე, ეხება არა $M(c)$ -ს, არამედ $D(c)$ -ს; ასე რომ

მნიშვნელობა c -სი = $M(D(c))$.

თუ c ასეთი რამ საერთოდ არსებობს.

მაგალითად, გვაქვს

მნიშვნელობა გრეის ელევგის პირველი სტრიქონისა = მნიშვნელობა ფრაზისა „The curfew tolls the knell of parting day“.

და არა

მნიშვნელობა გრეის ელევგის პირველი სტრიქონისა = მნიშვნელობა „გრეის ელევგის პირველი სტრიქონისა“,

რაც თითქოს უნდა გვქონოდა.

გამოდის, რომ $M(c)$ -ზე რომ ვილაპარაკოთ, უნდა ვიხმაროთ არა „მნიშვნელობა c -სი“, არამედ „მნიშვნელობა „ c -სი“, ე. ი. $M(c)$ = მნიშვნელობა „ c -სი“.

მაგრამ ასეთი რამ სრულიადაც არ გვქონდა მხედველობაში, როდესაც ვამბობდით „მნიშვნელობა c -სი“.

ანალოგიური სიტუაციაა, თუ c ვიხმარებთ ფრაზას „დენოტატი c -სი“, იმიტომ, რომ $D(c)$ -ზე ვილაპარაკოთ მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად. მართლაც გვაქვს

დენოტატი c -სი $\neq D(c)$

და

დენოტატი c -სი = $D(D(c))$.

თუ c $D(D(c))$ საერთოდ არსებობს.

მაგალითად, „ c “ იყოს „აღმნიშვნელი კომპლექსი, რომელიც გვხვდება ზემოთ მოტანილი წინადადებებიდან მეორეში“. მაშინ გვაქვს, რომ c = გრეის ელევგის პირველი სტრიქონი

ხოლო

დენოტატი c -სი = The curfew tolls the knell of parting day

თუმცა, რაც გვინდოდა რომ გვქონოდა, როგორც „დენოტატი c -სი“ ფრაზის შინაარსი, არის „გრეის ელევგის პირველი სტრიქონი“.

ამრიგად, გვაქვს შემდეგი სურათი: თუ K არის რაიმე კონტექსტი, მაშინ $K(„c“)$, როგორც ვიცით, უნდა ეხებოდეს $D(„c“)$ -ს

მაგრამ

$D(„c“) = c$

და მაშასადამე $K(„c“)$ ეხება c -ს, ანუ რაც იგივეა $D(c)$ -ს. მაგრამ მაშინ $K(„c“)$ განუსხვავებელია $K(c)$ -გან და ამის გამო, მნიშვნელობაზე ლაპარაკი შეუძლებელი ხდება.

ამგვარად, განვასხვავებთ რა ერთმანეთისგან მნიშვნელობა და დენოტატი, ჩვენ არ შეგვწევს უნარი ამ განსხვავების შენარჩუნებისა და ამიტომ, როგორც ჩანს, უარი უნდა განვაცხადოთ მასზე. საკითხი, თუ რის ხარჯზე უნდა მოხდეს უარის თქმა, დენოტატისა თუ მნიშვნელობის, წინასწარ იყო გაპირობებული ფრეგესთან და მაინონგთან დისკუსიით: დენოტატზე უარის თქმა არ სცვლის არაფერს, ამიტომ უარი უნდა ვთქვათ აღმნიშვნელი ფრაზის მნიშვნელობაზე, სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს უარის თქმას იმ ობიექტზე, რასაც ეფუძნებოდა [6]-ის აღნიშვნის თეორია მთლიანად.

ამგვარად, [7]-ში წარმოდგენილი კონცეფცია, რომელიც შემდგომ დესკრიფციითა თეორიის სახით, საბოლოოდ, [8]-ში გაფორმდა და რომლის ძირითადი

დებულება აღმნიშვნელ ფრაზათა (დესკრიფციათა) მნიშვნელობაზე უარის თქმას, მათ „არასრულ სიმბოლოებად“ (ე. ი. მნიშვნელობის არამქონე სიმბოლოებად) წარმოდგენას გულისხმობს, არის [6]-ში შემოთავაზებული კონცეფციის ალტერნატივა.

დ. დ. ტევზაძე

О ПРИНЦИПАХ ТЕОРИИ ЗНАЧЕНИЯ РАССЕЛА

Резюме

В работе рассматриваются понятия, используемые Расселом для семантического анализа значения языковых выражений в книге „The Principles of Mathematics“ (1903 г.). Показано отличие этих понятий от фрегевских понятий смысла и денотата. На основе анализа известного «парадокса „Элегии“», приводимого Расселом в «On Denoting» (1905 г.), делается вывод о том, что основной принцип, формулируемой Расселом в «On Denoting» теории значения—отказ от смысла дескриптивных выражений—является альтернативой, принимаемой им в 1903 г. концепции значения. Подобная точка зрения уже высказывалась в логической литературе; она противопоставляется такому толкованию теории дескрипции Рассела, следуя которому последняя имеет однозначную направленность против семантической концепции Фреге.

ლიტერატურა

1. Карнап Р. Значение и необходимость, М., 1959.
2. Cassin Ch. Russell's discussion of meaning and denotation: A re-examination, in: Essays on B. Russell, ed.: E. D. Klemke, Urbana, 1971.
3. Frege G. On sense and reference, in: Thanslations from the philosophical writings of G. Frege, eds: P. Geach, M. Black, Oxford, 1952.
4. Geach P. T. Russell on meaning and denoting, Analysis, 19. 3. 1959.
5. Jager R. Russell's denoting complex, Analysis, 20, 1959/60.
6. Russell B. The Principles of Mathematics, London (1903), 1951.
7. Russell B. On denoting, in: Readings in Philcosophical Analysis, eds: H. Feigl, W Sellers, N-Y, 1949.
8. Russell B., Whitehead N. Principia Mathematica, Cambridge Univ. Press, 1964.
9. Russell B. Introduction to Mathematical Philosophy, London, 1953.
10. Russell B. My Philosophical Development, N-Y, 1959.

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

Р. С. КАБИСОВ

λόγος ГЕРАКЛИТА И НАУКА ЛОГИКИ*

იბადება კითხვა, არსებობს თუ არა საერთოდ ნებისყოფის თავისუფლება. თუკი იგი „უაზრო ზღაპარია“ მაშინ მის შესახებ მსჯელობა ზედმეტია, ხოლო თუკი არსებობს, რა იგულისხმება მასში? „დეტერმინიზმის იდეა — წერდა ვ. ი. ლენინი, — ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარყოფს უაზრო ზღაპარს — ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას, სრულიად პირიქით, მხოლოდ დეტერმინისტული შეხედულების დროსაა შესაძლებელი მკაცრი და სწორი შეფასება და არა ყველაფრის თავზე მოხვევა თავისუფალი ნებისყოფისათვის“ [1, გვ. 176].

როცა ლენინი ლაპარაკობს ნებისყოფის თავისუფლების, როგორც უაზრო ზღაპრის შესახებ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამ ცნების ინდეტერმინისტული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ნებისყოფის თავისუფლება არ არის განპირობებული რაიმე გარეგანი ფაქტორებით, და არა ის რომ იგი უშინაარსოა და არანამდვილია. ნებისყოფის თავისუფლების არსებობას არც დეტერმინიზმის და არც ინდეტერმინიზმის წარმომადგენლები უარყოფენ.

ნებისყოფის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ადამიანს შეუძლია გააკეთოს არჩევანი. თავისუფალი გადაწყვეტილება, რომელიც არჩევანის საფუძველზე კეთდება, განპირობებულია, როგორც გარეგანი პირობებით, ისე შინაგანი მოტივებით. ადამიანის მოქმედება არასოდეს არ არის შეზღუდული მხოლოდ გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით. ცნობიერებისა და ნებისყოფის თავისუფლების საფუძველზე ადამიანი წინასწარ წარმოსახავს იდეალურად გარეგან სიტუაციაზე საპასუხო მოქმედების მისთვის საუკეთესო შედეგს, სწორედ ამიტომ იგი არასოდეს არ რჩება „ბურიდანის ვირის“ მდგომარეობაში. „ნებელობის შემთხვევაში, — წერდა დ. უზნაძე — აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი არასდროს მოქმედებს არ იწვევს: 1. ნებისმიერი ქცევა არასდროს აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს არ ეყრდნობა, 2. ნებელობის შემთხვევაში აქტიობის პროცესში შემავალი მომენტების, მე-ს და ქცევის, ობიექტივაცია ხდება: მე თავის ქცევას უპირისპირდება, 3. ნებისმიერი ქცევა აწყობაში მიმდინარე ქცევა კი არაა, იგი მომავალი ქცევაა. ნებელობა პროსპექტულია, 4. ეს მომავალი ქცევა მე-ს მიერ ითვალისწინება წინასწარ და მისი რეალიზაცია სავსებით მე-ზეა დამოკიდებული. ნებელობა მთლიანად მე-ს აქტიობად განიცდება“ [3, გვ. 181].

ნებისყოფის თავისუფლების საკითხის პრობლემატურობა განსაზღვრულია იმით, რომ მის სპეციფიკურ ნიშანს შეადგენს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უშუალოდ სუბიექტის ნებასურვილისაგან გამომდინარეობს. მთავარი სიძნელე, რომელიც ამ პრობლემას უკავშირდება მდგომარეობს იმაში, რომ ნებისყოფის აქტი, მართალია, სათანადო მოტივის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ერთი და იგივე მოტივი არ განაპირობებს ყოველთვის ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას. საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა თავისუფალი გადაწყვეტილება მოტივით განპირობებული, დისკუსიის საგანია დეტერმინიზმსა და ინდეტერმინიზმს შორის. ინდეტერმინიზმის მიხედვით, ნებისყოფას გარეგანი მოტივი კი არ განსაზღვრავს, არამედ ნებისყოფა თვითონ განსაზღვრავს თავისუფალ ქცევას. დეტერმინიზმის მიხედვით კი, ნებისყოფის აქტი ყოველთვის შესაბამის მოტივს გულისხმობს. დ. უზნაძის მიხედვით, ნებისყოფის თავისუფლებას საფუძველად უდევს განწყობა. განიხილავს რა ინდეტერმინიზმისა და დეტერმინიზმის არგუმენტებს, იგი მიუთითებს, რომ „ცნობიერებას ჩვენ სრულიადაც არ შევყავართ შეცდომაში, როდესაც ნებელობის აქტს, როგორც თავისუფალ აქტს, განიცდის. როდესაც ადამიანი ნებელობას მიმართავს, იგი წინასწარ აქტუალური სიტუაციის იმპულსს ხელიდან უსხლტება, მისი იძულებისაგან თავისუფლდება: იგი არ აძლევს მას — აქტუალურ სიტუაციას, ან აქტუალურ „ველს“, როგორც იტყოდა ლენინი — შესაძლებლობას, მასში შესატყვისი მოქმედების განწყობა გამოიწვიოს. მაგრამ ეს უკვე ერთგვარი თავისუფლებაა — თავისუფლება, ასე ვთქვათ ნეგატიური, თავისუფ-

ლება უმოქმედობისა, მაგრამ ამავე ნიადაგზე მოქმედების თავისუფლება აიგება“ [3, გვ. 221].

ნებისყოფის აქტი ადამიანის შინაგანი აქტივობის საფუძველზე ხორციელდება, ამიტომ არის იგი თავისუფალი. ამასთან, ნებისყოფის თავისუფლება ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ სიტუაციას, რომელიც პიროვნებისაგან გარკვეული ქმედების განხორციელებას მოითხოვს. ნებლობის აქტი შესაბამისი მოტივის გარეშე არ არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ მოტივის მონაწილეობას ნებისყოფის მოქმედებაში არც ინდეტერმინიზმი არ გამოიჩინებს. მაგრამ, დეტერმინიზმისაგან განსხვავებით, იგი უარყოფს ნებისყოფის მოტივისაგან აუცილებელ დამოკიდებულების ფაქტს. ინდეტერმინიზმის მთავარი არგუმენტი დეტერმინიზმის წინააღმდეგ ის არის, რომ თუკი ყველა ადამიანური მოქმედება განპირობებულია შესაბამისი მოტივით, მაშინ თავისუფლებისათვის ადგილი არ რჩება.

ნებისყოფის თავისუფლების ობიექტური მიზეზებისაგან დამოუკიდებლად არსებობის დასაბუთებას ინდეტერმინიზმი ცდილობს იმის საფუძველზე, რომ ადამიანს გააჩნია თავისუფლების განცდა, რომელიც გარეგანი ფაქტორებით არ არის დეტერმინირებული. მაგრამ თავისუფლების განცდის არსებობა არ გამოდგება ნებისყოფის არსებობის საფუძვლად. თავისუფლების განცდის მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ დეტერმინიზმის ან ინდეტერმინიზმის სასარგებლოდ, რადგანაც იგი არაფერს გვეუბნება ნებისყოფის წარმოშობის განმაპირობებელ ობიექტური მიზეზების შესახებ. როგორც ო. ბაკურაძე მიუთითებს, „ნებისყოფის თავისუფლების განცდა, სანამ ნებისყოფის თავისუფლება გაგებულია როგორც მიზეზობრიობისაგან ნებისყოფის დამოუკიდებლობა, პრინციპულად შეუძლებელია, ხოლო მისი განცდა როგორც ფაქტი არსად არ არსებობს“ [2, გვ. 174]. ო. ბაკურაძე ფიქრობს, რომ თავისუფლების განცდით ნებისყოფის თავისუფლების აღიარება ინდეტერმინიზმის საბუთია, რომელიც ფაქტს თეორიით ცვლის. მაგრამ მას შემდეგ, რაც ვაღიარებთ, რომ ნებისყოფის თავისუფლების განცდას ყოველთვის შესაბამისი ობიექტური მოტივები გააჩნია საფუძვლად, გასარკვევი რჩება ის, თუ რაში გამოიხატება გარემო ფაქტორების როლი ნებისყოფის თავისუფლების მოქმედების პროცესში? რით არის განპირობებული ნებისყოფის პრობლემის არსებობა საერთოდ? ამ საკითხზე უშუალო გადასვლა მოითხოვს ნებისყოფის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებული ზოგიერთი შეხედულების მოკლე განხილვას.

მე-18 საუკუნის ფრანგი მატერიალისტები, მართალია, აღიარებდნენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, მაგრამ მათ ვერ შეძლეს სოციალური ორგანიზმის სპეციფიკური ნიშნების დადგენა, რადგანაც მათ არ ესმოდათ ალბათობისა და შემთხვევითობის როლი საზოგადოების ისტორიაში. „ადამიანში — წერდა ჰოლბახი — თავისუფლება სხვა არა არის რა, თუ არა ის აუცილებლობა, რომელიც მასში არის მოცემული“ [9, გვ. 131]. ჰოლბახი ფიქრობს, რომ არც ერთი ადამიანური საქციელი თუ მოქმედება არ არის უმიზეზო, რადგანაც თავისუფლება გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელი, ხოლო გადაწყვეტილება კი, მხოლოდ გარკვეული მოტივითაა განპირობებული. ჰოლბახი გამოდის იდეალისტური შეხედულების წინააღმდეგ და უარყოფს სხეულისაგან სულის დამოუკიდებელ არსებობას. ჰოლბახის აზრით, მოჩვენებაა შეხედულება, თითქოს ადამიანი დამოუკიდებელი და თავისუფალია,

რადგანაც იგი ნებისმიერი ქმედების შემთხვევაში გარეგანი პირობებით არის მკაცრად დეტერმინირებული.

ჰოლბახი ფიქრობს, რომ სამყაროს ყველა მოვლენა თუ პროცესი აუცილებლობითაა განსაზღვრული, ხოლო შემთხვევითობა ეს არის მოვლენის უცოდინარობის შედეგი. მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი კავშირითაა განსაზღვრული უმცირესი მტვრის ნაწილაკების თუ ქარიშხლის ტალღების ორომტრიალი ასეთივე მკაცრი აუცილებლობაა გაბატონებული ადამიანთა საზოგადოებაშიც, სადაც ამ თუ იმ დამპყრობლის თუ მონარქის ხასიათზე ხშირად არის დამოკიდებული მილიონობით ადამიანების თუ სახელმწიფოების ბედი. აუცილებლობა ასეთ პირობებში გამოდის შემთხვევითობებზე დამოკიდებული, რომელთა წინასწარ შემეცნება ადამიანს არ შეუძლია. აუცილებლობა, რომელზედაც ჰოლბახი ლაპარაკობს ფატალისტურ დასკვნამდე მიდის, რადგან იგი უშვებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ისეთ მკაცრ განსაზღვრულობას, რომელსაც ყველა მოვლენა სწორედ განსაზღვრული წესით უნდა დაემორჩილოს და არა სხვანაირად. ამდენად, ჰოლბახის მიერ დეტერმინაციის ბუნების გაგება მეტაფიზიკური ხასიათისაა.

ნებისყოფის თავისუფლების საკითხის გაგებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ჰეგელის შეხედულებას. „თავისუფლება, — წერს ჰეგელი, — რომელსაც თავის თავში არ ექნებოდა რაიმე აუცილებლობა, იქნებოდა მხოლოდ აბსტრაქტული თავისუფლება. თავისუფლება არსებობს მუდმივად კონკრეტული სახით, განპირობებულია თავის თავში და ამდენად აუცილებელია“ [10, გვ. 74].

ჰეგელის აზრით, ნებისყოფის თავისუფლება თავის განვითარებაში გადის სამ საფეხურს: პირველ საფეხურზე ის არის ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება, როგორც მისი განვითარების შესაძლებლობა. მეორე საფეხური არის თვითნებობის საფეხური, ე. ი. ადამიანის უნარი, აირჩიოს გარეგანი ზეგავლენისა და შინაგანი ბუნებრივი მონაცემების მიხედვით; ხოლო მესამე საფეხურია თავისუფალი, შეგნებულად გაცნობიერებული ნებისყოფა. ნებისყოფის თავისუფლება, ჰეგელის თანახმად, თავის ამოცანად სახავს განსაზღვროს სამყარო თავისი მიზნების მიხედვით. ინტელექციისა და ნებელობის განსხვავებას ჰეგელი იმაში ხედავს, რომ თუ ინტელექტი მისწრაფვის იმისაკენ, რომ ასახოს სამყარო ისეთივე, როგორც ის არის, ნებელობა მისწრაფვის ისეთი სამყაროს შექმნისაკენ როგორც უნდა იყოს. თავისუფლება ჰეგელისათვის აბსოლუტური სულის განვითარებაა, რომელიც ამ განვითარების პროცესში თანდათანობით ხსნის განსაზღვრულობის ეტაპებს. ჰეგელი მიუთითებს იმაზე, რომ თავისუფლება ნებისყოფის ძირითადი ატრიბუტია, რომლის გარეშე ნებისყოფა არ არსებობს. ჰეგელი, მართალია, აღნიშნავს ნებისყოფის გარემო ფაქტორებთან კავშირსაც, მაგრამ მისთვის გარეგანი სინამდვილე სულის მოღვაწეობის პროდუქტია, სწორედ ამიტომ საკითხიც ცალმხრივადაა გადაწყვეტილი.

ნებისყოფის თავისუფლების პრობლემის თავისებურ გადაწყვეტას იძლევა შოპენჰაუერი, რომლის მიხედვით ობიექტური სამყაროს საგნების არსებობასა და მოქმედებას საფუძვლად უდევს ნებისყოფა. მოქმედება და ნებისყოფა მხოლოდ რეფლექსიით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სინამდვილეში ისინი ერთი და იგივენი არიან. „თითოეული ჰეგმარტი და ნამდვილი გამოვლენა ნებისყოფის აქტისა ამავე დროს არის უშუალო გამოვლენა სხეულის აქტისა“ [16, გვ. 122].

შოპენჰაუერის აზრით, ნებისყოფის თავისუფლების სპეციფიკური ნიშანია სრული დამოუკიდებლობა ყოველგვარი მიზეზებისაგან. იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს სურვილს და ნდომას. შოპენჰაუერის აზრით, ადამიანს შეუძლია სურდეს ორი რამ, მაგრამ არ შეიძლება რომ მას ერთდროულად უნდოდეს სხვადასხვა რამე. ადამიანს შეუძლია გააკეთოს რაც სურს, მაგრამ თითოეულ მოცემულ მომენტში მას შეუძლია ინდომოს მხოლოდ ერთი განსაზღვრული რამ და არავითარ შემთხვევაში ამ ერთზე მეტი. ამიტომ იმას ვინც სურვილს და ნდომას ერთმანეთში ურევს, მცდარი წარმოდგენა ექმნება თითქოს ნებისყოფის თავისუფლება არსებობს; სინამდვილეში, შოპენჰაუერის აზრით, ასეთი რამ მხოლოდ ილუზიაა, რადგანაც სურვილის მიხედვით შესრულებული თავისუფალი მოქმედება არაფერს გვეუბნება ნებისყოფის თავისუფლების შესახებ. სამყაროს მოვლენებისა და პროცესების ყველანაირი გამოვლენა ნებელობის გაობიექტივებაა, ამასთან, შოპენჰაუერთან გაუგებრობას იწვევს ნებელობის კავშირი გარეგანი სინამდვილის მოვლენებთან. ნებისყოფის თავისუფლების დადებითი დახასიათება, შოპენჰაუერის აზრით, ყოველად შეუძლებელია, რადგანაც იგი ყოველგვარ სიცხადეს მოკლებულია. ნებისყოფის თავისუფლება დამოუკიდებელია ყოველგვარი მიზეზებისაგან. ამიტომ იგი არც ერთ მიმართებაში არ ემორჩილება აუცილებლობას. ნებისყოფის თავისუფლების ერთ მომენტს, კერძოდ უშუალო სიტუაციისაგან მის დამოუკიდებლობას, შოპენჰაუერი აავსოლუტურებს და მოცემულ პრობლემას მხოლოდ უარყოფითი ატრიბუტებით ახასიათებს. როგორც დ. უზნაძე მიუთითებდა, უშუალო სიტუაციისაგან ნებისყოფის თავისუფლების დამოუკიდებლობა მის სპეციფიკურ თავისებურებაზე მიუთითებს და არა იმაზე, რომ მას არ გააჩნია რაიმე საფუძველი. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ნებისყოფის თავისუფლების სწორედ ამ თავისებურებით ახორციელებს ადამიანი ნამდვილ თავისუფლებას.

ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა ინტენსიური კვლევის საგანია გენეტიკური კუთხითაც. არსებობს შეხედულება, რომ გენეზისის თვალსაზრისით ნებისყოფა გაივლის ხუთ საფეხურს: „თვითნებური მოძრაობის სტადია, მოტივების დაქვემდებარება, მიზანდასახულობა, მიზანდასახული მოტივაციის კონტროლის და ნებისყოფის თავისუფლების სტადია. ორი პირველი საფეხური საერთოა ცხოველებსა და ადამიანებს შორის“ [7, გვ. 22].

ე. ბაკანოვის აზრით, მესამე საფეხურიდან ნებისყოფა უკვე კულტურულ-ისტორიულ-სოციალური ბუნებისა ხდება. მოცემული თვალსაზრისის მიხედვით გამოდის, რომ ნებისყოფა ჩანასახის სახით ცხოველებსაც გააჩნიათ, რაც ვფიქრობთ არ უნდა იყოს სწორი შემდეგი მიზეზის გამო. ადამიანი, როგორც მატერიის განვითარების უმაღლესი პროდუქტი მოხსნილი სახით შეიცავს უფრო დაბალი საფეხურის ელემენტებს, ამასთან, სოციალურ გარემოში ადამიანს ჩამოუყალიბდა ბევრი ისეთი სპეციფიკური თავისებურება, რომელიც არც ერთ ცხოველს არ გააჩნია. ერთ-ერთი ასეთი თვისება არის ნებისყოფა, რომელსაც, როგორც ქვემოთ ვნახეთ, ადამიანის არსებობის თავისებურება განაპირობებს.

ნებისყოფას ადამიანის თანდაყოლილ თვისებად მიიჩნევს ამერიკელი ბიოლოგი ჯ. უოლდი, რომელიც თავის სტატიაში „დეტერმინიზმი, ინდივიდუალურობა და ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა“ ამტკიცებს, რომ ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობასთან და განვითარებასთან არის დაკავშირებული ორი უმნიშვნელოვანესი თვისებრივი ცვალებადობა: „პირველი ორგანიზმების ფორ-

მებისა და ზომების, ხოლო მეორე ინდივიდუალობის, როგორც ცოცხალი არსების უნივერსალური ატრიბუტის გამოვლენა“ [14, გვ. 74].

ნებისყოფის თავისუფლება, ავტორის აზრით, ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს გენეტიკური ინფორმაცია, ეს უკანასკნელი კი სტრუქტურის სახითაა მოცემული ორგანიზმში. გენეტიკური კოდი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ფიზიკურ აღნაგობას, მასში ბიოლოგიური ნიშნების არსებობას, არ შეიძლება გამოდგეს ნებისყოფის თავისუფლების თავისებურებების გასარკვევად, რადგანაც გენეტიკური მემკვიდრეობა შეიძლება ეხებოდეს ნებისყოფის თანდაყოლილობის საკითხს, და არა იმას თუ რა მიზეზები განაპირობებენ ნებისყოფის თავისუფალ მოქმედებას? მხოლოდ წმინდა შინაგანი თვითაქტიობის შედეგია იგი თუ მასში გარეგანი ფაქტორებიც მონაწილეობენ? ნებისყოფის აქტი გარეგან სიტუაციაზე საპასუხო რეაქციაა, რომელიც, მართალია, შინაგანი აქტივობის საფუძველზე ხორციელდება, მაგრამ ეს აქტი გულისხმობს მორალურ, ესთეტიკურ, სამართლებრივ, ფსიქიკურ და სოციალურ დეტერმინანტებს, რომლებიც მონაწილეობენ ნებისყოფის თავისუფალი გადაწყვეტილების პროცესში. სწორედ ამიტომ ნებისყოფის მოქმედების განაპირობებელ მიზეზებში, მხოლოდ რომელიმე ფაქტორზე ხაზის გასმა სხვებთან კავშირის გარეშე არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. ადამიანში გენეტიკური და გარემო პირობების ერთიანობაზე მიუთითებენ ცნობილი მეცნიერები. აკადემიკოს ი. პავლოვის აზრით, როცა საკითხი ეხება ნერვული სისტემის ბუნებრივ ტიპს, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გავითვალისწინოთ ყველა ის ზეგავლენის მომხდენი გარემოებანი, რომელთა გავლენას განიცდის და განიცდიდა დაბადებიდან მოცემული ორგანიზმი.

„ადამიანისა და ცხოველების საქციელი განპირობებულია არა მარტო თანდაყოლილი ნერვული სისტემის თავისებურებით, არამედ აგრეთვე იმ თავისებურებებით, რომლებიც შემოქმედდნენ და მუღმივად შემოქმედებენ ორგანიზმზე მისი ინდივიდუალური არსებობის პერიოდში. ე. ი. დამოკიდებულია მუღმივ აღზრდაზე და სწავლაზე, ამ სიტყვების ყველაზე ფართო მნიშვნელობით“ [12, გვ. 269]. ნებისყოფის თავისუფლების გენეტიკურ განპირობებულობაზე მიუთითებდნენ ს. რუბინშტეინი, ა. გენდინი და სხვები.

განხილული თვალსაზრისებიდან ნათლად ჩანს, რომ ნებისყოფის თავისუფლების საკითხის გადაწყვეტაში მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. წარმოდგენილი შეხედულებები ან უარყოფენ ერთმანეთს, ანდა გააჩნიათ საერთო მომენტები, მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, რომლებიც ნებისყოფის თავისუფლების საკითხთან არის დაკავშირებული; შესაძლებელია დავემყაროთ ზოგიერთ ფსიქოლოგიურ დასკვნებს და ვცადოთ გავარკვიოთ ნებისყოფის თავისუფლების საკითხის მიმართება სოციალურ დეტერმინაციასთან. სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ამ საკითხზე, საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ დგას სოციალური დეტერმინაციის პრობლემა მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

სოციალური დეტერმინაციის თავისებურების საკითხი ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა თანამედროვე ფილოსოფიურ ლიტერატურაში. იგი ორგანულად არის დაკავშირებული ისტორიული მატერიალიზმის ყველა ცნებასთან და კატეგორიასთან.

ამ პრობლემისადმი ინტერესი უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო და უფრო იზრდება. სოციალური დეტერმინაციის თავისებურება ძირითადად განიხი-

ლება ისეთ კატეგორიებთან მიმართებაში, როგორცაა ობიექტური და სუბიექტური, თავისუფლება და აუცილებლობა, აუცილებლობა და შემთხვევითობა და ა. შ. ფილოსოფიურ ლიტერატურაში დღემდე საკამათო საკითხად რჩება სოციალური დეტერმინაციის ცნების განმარტება, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების თავისებურება. სხვადასხვაგვარი შეხედულება არსებობს დეტერმინიზმის სხვადასხვა სახეობებს შორის მსგავსებისა და განსხვავების შესახებაც. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ადამიანში სოციალური და ინდივიდუალური ნიშნების ურთიერთობის პრობლემა. ეს საკითხები მოითხოვენ შემდგომ დაზუსტებას.

დეტერმინიზმს, როგორც სამყაროს ყველა პროცესისა და მოვლენის განსაზღვრულობის პრინციპს, უნივერსალური ხასიათი გააჩნია და თავისებურად გამოვლენდება სინამდვილის სხვადასხვა სფეროში. არაორგანულ ბუნებაში მოვლენებსა და საგნებს შორის არსებული კანონზომიერი პროცესები, ადამიანის მოღვაწეობის გარეშე მიმდინარეობენ. ცხოველების ძირითადი თვისებაა იმპულსური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რითაც ამოიწურება მათი აქტიური ზემოქმედება გარემო სინამდვილეზე; ბუნებაში ცხოველები კი არ ქმნიან რაიმე ახალს, არამედ იბრძვიან იმის დაუფლებისათვის, რაც მზა სახით არსებობს.

ადამიანი ბუნების ნაწილია, ამიტომ სოციალური დეტერმინაციის მეცნიერული ანალიზი არაორგანულ და ცხოველთა სამყაროში არსებულ კანონზომიერებასთან საზოგადოების კანონების საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენას მოითხოვს.

სოციალური დეტერმინაციის პრობლემის სირთულე გამოწვეულია საზოგადოების თავისებურებით, რომლის ყველა პროცესი და მოვლენა ადამიანის შეგნებული მოღვაწეობის პროდუქტია. ადამიანის წარმოშობა დეტერმინაციის ახალ სახეობას ქმნის, რომელიც დეტერმინიზმის საერთო პრინციპს კი არ ცვლის, არამედ მასში შეაქვს მთელი რიგი თავისებურებები. ბუნებაში დეტერმინაციის პროცესი ბრმა ხასიათს ატარებს. ადამიანმა კი, როგორც ცნობიერმა არსებამ, იცის რასაც აკეთებს. ცნობიერებასთან ერთად ადამიანს გააჩნია ნებისყოფის თავისუფლება, ხასიათი, ტემპერამენტი, ინტერესები, ემოციები და ა. შ. სწორედ ამის გამო ადამიანი არა მარტო შეიცნობს გარემო სინამდვილეს, არამედ განიცდის მას. იგი პასიურად კი არ აღიქვამს სამყაროს პროცესებსა და მოვლენებს, არამედ გარკვეული მიზნების, ინტერესების შესაბამისად წარმართავს თავის მოქმედებას. ადამიანი სილამაზის კანონების მიხედვით გარდაქმნის ბუნებას. სწორედ ეს არის მიზეზი იმ მრავალფეროვნებათა, რაც „ხელოვნურ ბუნებას“ ახასიათებს. ამრიგად, თუკი ბუნების კანონების მოქმედებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ადამიანის არსებობას, ისტორიული კანონზომიერების განსახორციელებლად სუბიექტური ფაქტორი ისევე აუცილებელია, როგორც ობიექტური. სოციალური დეტერმინაციის პროცესში ინდივიდუალური თვისებები სხვადასხვა კავშირებით არიან გადახლართულნი საზოგადოებრივ პროცესებთან და ურთიერთგანსაზღვრის რთულ ქსელს ქმნიან. ნებისმიერი სოციალური პროცესის თუ მოვლენის, მათი კანონზომიერი განვითარების საფუძველი არის ცოცხალი ადამიანი, რომელსაც გააჩნია, როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური თვისებები. „ცალკეული პიროვნების კერძო ინტერესები, — წერდა მარქსი, — და ეგრეთწოდებული საყოველთაო ინტერესები, ყოველთვის თან ახლავს ერთმანეთს“ [6, გვ. 134].

სოციალურ დეტერმინაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე საკამათოა საკითხი იმის შესახებ, ადამიანის ინდივიდუალური თვისებები (ნებისყოფის თავისუფლება, ხასიათი, ტემპერამენტი და ა. შ.) არიან თუ არა გარემო სინამდვილით განპირობებულნი, თუ ისინი ადამიანის თანდაყოლილი თვისებებია და გარემო პირობები მათ წარმოშობაში არავითარ როლს არ ასრულებს.

ადამიანში, როგორც აღვნიშნეთ, ინდივიდუალური და სოციალური ნიშნები ყოველთვის ერთად იგულისხმება. ისინი მუდმივად ზემოქმედებენ და განაპირობებენ ერთმანეთს. საზოგადოების კანონზომიერი განვითარება კი ადამიანის შეგნებული მოღვაწეობის შედეგია, ამიტომ ექვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური თვისებები მონაწილეობენ სოციალური დეტერმინაციის პროცესში და თითოეული მათგანი გარკვეულ ფუნქციას ასრულებს მასში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური ნიშნების მნიშვნელობა განისაზღვრება ისტორიულ აუცილებლობასთან მათი მიმართების მიხედვით. ეს მიმართება კი გარკვეული კლასის, პარტიის, მთელი საზოგადოების მოთხოვნილებებისა და ინტერესების გამოხატულებაა.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვიანტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ნებისყოფის თავისუფლებასა და სოციალურ დეტერმინაციას შორის. შეუძლია თუ არა ნებისყოფის თავისუფლებას გარკვეული როლი ითამაშოს საზოგადოების განვითარების, მისი დაჩქარებისა თუ შენელების პროცესში? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიას ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა აინტერესებს ინდივიდის, როგორც ფსიქო-ფიზიკური არსების თვალსაზრისით, ხოლო ფილოსოფიაში თავისუფლება საზოგადოებრივ კანონზომიერებასთან მიმართებაში განიხილება. ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით, ცალკეული ინდივიდის მნიშვნელობა იმ როლით განისაზღვრება, რომელსაც ის ასრულებს საზოგადოების განვითარების პროცესში, ისტორიულ აუცილებლობასთან მიმართებაში. ადამიანის ნებისყოფის თავისუფლებას არ შეუძლია უზრუნველყოს ისტორიული აუცილებლობა, რადგან ამ უკანასკნელს თავისი ობიექტური მიზეზები განაპირობებენ. ამასთან, ნებისყოფის თავისუფლება ისტორიული აუცილებლობის განხორციელების აუცილებელი პირობაა, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა ისტორიული მოღვაწეობა განახორციელოს. ნებისყოფის თავისუფლების აუცილებლობა ადამიანის არსებობის სპეციფიკურობითაა განპირობებული. რაში გამოიხატება ეს? ნებისყოფის თავისუფლების საკითხის სწორი გაგებისათვის, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ნებისყოფა სპეციფიკური, ადამიანური თვისებაა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ცხოველისათვის დამახასიათებელი იმპულსური ქცევისაგან. ცხოველისაგან განსხვავებით ბუნება ადამიანს არაფერს აძლევს მზამზარეულად. სწორედ ამიტომ იგი იძულებულია აქტიური ზემოქმედება მოახდინოს გარემო სინამდვილეზე. იმისათვის რომ იარსებოს, მან აუცილებლად უნდა აწარმოოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დაღუპვა გარდუვალია. ადამიანის შეგუება გარემო სინამდვილისადმი აუცილებლად მოითხოვს ბუნების ძალების წინააღმდეგობის გადალახვას. მისი არსებობისათვის აუცილებელია საკვები, ტანსაცმელი, ბინა, რომელსაც არა მარტო მოპოვება, არამედ გადამუშავებაც სჭირდება. საზოგადოების კულტურის ისტორია იქიდან იწყება, როცა ადამიანი ბუნების საგნებს ფორმას შეუცვლის, საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების მიხედვით გადააკეთებს მათ. ადამიანის ნებისყოფის თავისუფალი მოქ-

მედება განპირობებულია იმ აუცილებლობით, რომ გარემო სინამდვილისადმი შეგუებისას მას მუდმივად უხდება წინააღმდეგობის გადალახვა და თავისუფალი არჩევანის გაკეთება, რადგანაც მისი არსებობისათვის აუცილებელია გარემო სინამდვილის გარდაქმნა და მისი გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის.

ამრიგად, როცა ვამბობთ, რომ ნებისყოფის თავისუფლების სპეციფიკური ნიშანი გარემო სინამდვილესთან ადამიანის აქტიურ დამოკიდებულებაში გამოვლინდება, ამის საფუძველი ადამიანის არსებობის თავისებურებაშია. მეორე მიზეზი, რომელიც განაპირობებს ნებისყოფის თავისუფლების არსებობას და მოქმედებას, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ყოველთვის ცხოვრობს გარკვეულ საზოგადოებაში, რომელიც მისგან მოითხოვს სათანადო წესებისა და ნორმების მიხედვით მოქმედებას. ადამიანი ვერ მოიქცევა მარტო სურვილის მიხედვით, რადგან მისი მოქმედება ყოველთვის სხვასთან მიმართებაში გამოვლინდება. ამიტომ მისთვის აუცილებელია ჯერარსობის პრინციპის გათვალისწინებაც.

ნებისყოფის თავისუფლება ყოველთვის სათანადო მოტივებითაა განპირობებული, ამასთან იგი მხოლოდ ადამიანის შინაგანი აქტივობის საფუძველზეა შესაძლებელი. ეს იმითაა განპირობებული, რომ ნებისყოფის თავისუფლება „ეხება მხოლოდ იმას, რისი განხორციელებაც ჩემზეა დამოკიდებული“ [3, გვ. 184]. ადამიანები კი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინტელექტით, ხასიათით, ტემპერამენტით და სხვა ინდივიდუალური ნიშნებით. ამის გამო ნებისმიერი პიროვნება შემთხვევითია ისტორიაში. ისინი სხვადასხვაგვარად მოქმედებენ საზოგადოების კანონზომიერების განხორციელების პროცესში, მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნის დროს. შემთხვევითობა, რომელიც ცალკეული ინდივიდების განსხვავების გამო იქმნება ისტორიაში, სოციალური დეტერმინაციის ალბათური ბუნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

გარემომცველ სინამდვილეში, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი, არსებობს სხვადასხვა სახის შესაძლებლობანი, რომელთა სინამდვილედ გარდაქმნა, ყოველ კონკრეტულ მომენტში, მოითხოვს თავისუფალ, შემოქმედებით მიდგომას. სოციალური მოვლენები ცალკეული ადამიანებისაგან ხშირად მოითხოვენ პრობლემების გადაწყვეტას „ასე“ ან „ისე“. გადაწყვეტილების შედეგი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი აქტიურობით ჩაერთვება მათში ნებისყოფის თავისუფალი მოქმედება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისყოფის თავისუფლებას ადამიანის არსებობის თავისებურება განაპირობებს, რომელიც აუცილებლობით მოითხოვს მის აქტიურ დამოკიდებულებას გარემო სინამდვილესთან. ადამიანის აქტიურ დამოკიდებულებას გარემო სინამდვილისადმი ყოველთვის თან ახლავს შესაბამისი შედეგები. მას შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს ისტორიული კანონზომიერება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალურ დეტერმინაციაში ნებისყოფის თავისუფლება სპეციფიკურ ფუნქციას ასრულებს და მის თავისებურებას განაპირობებს. რაში გამოიხატება ეს კონკრეტულად?

ნებისყოფის თავისუფლების საფუძველზე ადამიანს შეუძლია სხვაგვარად ყოფნა განახორციელოს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ბრმად კი არ ემორჩილება გარეგანი სიტუაციის ზეგავლენას, არამედ თავისუფალია პასუხის არჩევანში. მას შეუძლია, რომ გარეგანი ზემოქმედების მიმართ გარკვეული დისტანცია დაიჭიროს, რაც განპირობებულია იმით, რომ ადამიანი არა მარტო ასახავს გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებას, არამედ გარკვეული მნიშვნელობის მიხედ-

ვით შეფასებს მათ. ამიტომ უშუალო სიტუაცია მისთვის შესაძლებელია მისაღები იყოს ან არ იყოს. გარეგანი ფაქტორები აუცილებელ პირობას წარმოადგენენ იმისათვის, რომ ნებისყოფის თავისუფლების აქტი განხორციელდეს, მაგრამ სიტუაცია რომელიც გარედან იქმნება არასოდეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ზუსტად მიგვანიშნოს იმაზე, თუ როგორ მოიქცევა სუბიექტი კონკრეტულ მომენტში. გარემო ფაქტორებთან ერთად ეს დამოკიდებულია სუბიექტის ინტელექტზე, მორალზე, ხასიათზე, ტემპერამენტზე და ა. შ. ამიტომ ნებისმიერი პასუხი რომელიც სუბიექტის მიერ არის გაცემული გარეგან გაღიზიანებაზე მიუთითებს არა მარტო გარეგან სიტუაციაზე არამედ სუბიექტზეც. იმის საფუძველზე, რომ ადამიანი არ არის მკაცრად დეტერმინირებული გარეგანი სიტუაციით, მას შეუძლია ამ უკანასკნელის მიმართ აქტიური პოზიცია დაიჭიროს. ფიზიკური სხეულებისაგან განსხვავებით, ადამიანი მექანიკურად კი არ პასუხობს გარეგანი პროცესების ზემოქმედებას, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასში გარკვეული მოქმედების განმსაზღვრელი მოტივი ჩამოყალიბდება. გადაწყვეტილების მიღება აქტიური ფსიქიკური პროცესის შედეგია, რაც განპირობებულია იმით, რომ ადამიანი შემოქმედებითად უდგება გარეგანი სინამდვილის შეფასებას. ხოლო ამ მოღვაწეობის შედეგი არასოდეს არ არის მკაცრი აუცილებლობით განსაზღვრული. ამის მაგალითებია ისეთი გენიალური ნაწარმოებები, როგორიცაა გოეთეს „ფაუსტი“, რაფაელის „მადონა“, ბარათაშვილის „მერანი“ და ა. შ. ადამიანის მოქმედება შინაგანი აქტივობის საფუძველზე ხორციელდება, ამიტომ მისი შედეგები მკაცრად კი არ არის განსაზღვრული, არამედ მხოლოდ გარკვეული ალბათობით. ალბათურ კანონზომიერებას ემორჩილება აგრეთვე მცირე ნაწილაკების მოძრაობა კვანტურ მექანიკაში. ამიტომ იბადება კითხვა: რა განსხვავებაა მათ შორის?

ფიზიკური სხეულებისაგან განსხვავებით, ადამიანის მიერ განხორციელებული სხვაგვარადყოფნა, ყოველთვის გულისხმობს წინასწარ მიზანს. მიზნის სახით სოციალურ დეტერმინაციაში მონაწილეობს იდეალური მომენტი, რომლის საფუძველზედაც ადამიანის მოქმედება განპირობებულია არა მარტო აწმყოთი, არამედ მომავლითაც. ამიტომ მიზანი „შესაძლებელია რომ იყოს რეალური დეტერმინაციის კომპონენტი“ [11, გვ. 18].

რადგანაც ადამიანის მოქმედებაში მიზანი და ნებისყოფის თავისუფლება მონაწილეობს, იგი არასოდეს არ არის შეზღუდული მხოლოდ აწმყოს მომენტით. ადამიანს გაცნობიერებული აქვს რომ მას შეუძლია თავისუფალი მოქმედება, ამასთან, ეს მოქმედება მხოლოდ შინაგანი აქტივობის შედეგია. მიზანი ცნობიერებას გულისხმობს საფუძველად, ხოლო ნებისყოფის თავისუფლება გაცნობიერებასთან ერთად შეფასებასაც ნიშნავს, იგი ყოველთვის გულისხმობს ღირებულებას, როგორც ნებისყოფის აქტის მადეტერმინირებელს. თავისუფალი მოქმედება თუმცა გაცნობიერებულია, მაგრამ იგი ცოდნაზე არ დაიყვანება. მაგალითად, სამშობლოს დაცვა მაღალი ზნეობრივი ღირებულების ცოდნაა, მაგრამ ეს ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანმა მისთვის თავი გასწიროს, ეს მხოლოდ სუბიექტის შინაგანი თავისუფალი გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. მიზნისა და ნებისყოფის თავისუფლების საფუძველზე ადამიანი გადალახავს უშუალო გარეგანი ფაქტორების ზეგავლენას და მისთვის ყველაზე იდეალური სიტუაციის მიხედვით მოქმედებს. ამდენად, ადამიანს შეუძლია გადაუხვიოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მკაცრ განსაზღვრულობას, რომელიც ბუნებაში ბატონობს. მიზნისა და ნებისყოფის თავისუფლე-

ბის სახით სოციალურ დეტერმინაციაში მატერიალურთან ერთად მონაწილეობს იდეალური მომენტიც, ამით დეტერმინაციის საერთო პრინციპი კი არ ირღვევა, არამედ მისი შინაარსი უფრო ფართოვდება. იდეალური მომენტის მონაწილეობა განსაზღვრავს სოციალური დეტერმინაციის თავისებურებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ იქმნება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ალბათური ფორმა, რომელიც მკაცრ დეტერმინაციის პრინციპს კი არ გამორიცხავს, არამედ მასთან არის ორგანულად დაკავშირებული. სოციალური დეტერმინაციის მეორე თავისებურება, რასაც მასში მიზნისა და ნებისყოფის თავისუფლების მონაწილეობა განაპირობებენ, დაკავშირებულია მომავლის მომენტთან, რომელიც წარსულთან და აწმყოსთან ერთად განსაზღვრავს მის განვითარებას.

ადამიანი ფიზიკური სხეულების მსგავსად კი არ არის სხვა საგნებსა და მოვლენებს შორის, არამედ ყოველთვის მიესწრაფვის უფრო სრულყოფილი არსებობისაკენ. „ნებისყოფა ინდივიდს ამორთავს ცხოვრების ახლანდელი მიმდინარეობიდან, აყენებს მას მომენტური აწმყოს ინტერესებზე მაღლა და ობიექტურ ღირებულებათა სამკვიდროსაკენ მიმართული აქტივობის სუბიექტად აქცევს. ამ გზით მომენტის არსება სოციალურ პიროვნებადმდე მაღლდება“ [4, გვ. 268]. მოთხოვნისაგან განსხვავებით, რომელიც უშუალოდ საგანზეა მიმართული, ღირებულებები ჯერარსობის სფეროს ეკუთვნიან. მაგალითად: სიკეთე, სამართლიანობა, ჯანმრთელობა როგორც ღირებულებანი ფაქტიურად კი არ არსებობენ, არამედ მნიშვნელობენ. ღირებულებების მიხედვით მოქმედება ადამიანის შინაგანი აქტივობის საფუძველზე ხორციელდება, ამასთან, ღირებულება ყოველთვის ობიექტური შინაარსის მატარებელია. ღირებულება იდეალური სახეა იმისა, რისკენაც მიესწრაფვის ადამიანი, რაც მან უნდა განახორციელოს. ღირებულებათა მნიშვნელობა განისაზღვრება საზოგადოების მოთხოვნილებებთან მის კანონზომიერ განვითარებასთან მიმართებაში. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ კომუნიზმი არის საზოგადოების განვითარების უმაღლესი ფორმაცია, ამით ჯერ იმას ვგულისხმობთ, რომ იგი ყველაზე მეტად შეესაბამება ადამიანის ნამდვილ ბუნებას. ამასთან, საზოგადოების განვითარების საფუძველზე ვიცით, რომ იგი აუცილებლად განხორციელდება. ღირებულებები არ შეიძლება საზოგადოებისაგან მოწყვეტილად იქნეს განხილული, რადგან ადამიანის თავისუფალი მოქმედება გაშუალებულია გარკვეული საზოგადოებით. საზოგადოებაში არსებული სამართლიანობისა და უსამართლობის საფუძველზე განსაზღვრავს ადამიანი მისი ნამდვილი ბუნებისათვის შესატყვის ღირებულებებს. ამიტომ საზოგადოება, რომელიც ზღუდავს ადამიანის ნამდვილ ბუნებას, იწვევს მის გაუცხოებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისყოფის თავისუფლება გარკვეული კლასის, საზოგადოების მეშვეობით არის დაკავშირებული ისტორიულ აუცილებლობასთან. საზოგადოების განვითარებას ბუნებრივი ისტორიული ხასიათი გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების კანონები არ არიან ისეთი ხანგრძლივობის მქონენი, როგორც ბუნების კანონები. ამასთან სოციალური კანონები ისეთი მკაცრი აუცილებლობით კი არ მოქმედებენ, როგორც, მაგალითად, ფიზიკის კანონები. ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთგანსაზღვრის კანონს ზუსტად ისეთი ხასიათი როდი გააჩნია, როგორც ავარდნილი ქვის მიმართ მსოფლიო მიზიდულობის კანონის მოქმედებას. საზოგადოების კანონების თავისებურებანი განპირობებულია სხვადასხვაგვარი მიზეზებით. ეს კანონები ადამიანების შეგნებული მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბდებიან და მოქმედებენ. თა-

ვად ადამიანები მკაცრად კი არ არიან განსაზღვრულნი ისტორიული აუცილებლობით, არამედ ამ კანონზომიერების მიმართ გარკვეული თავისუფლება გააჩნიათ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ კანონიერების საფუძველზე ადამიანს შეუძლია სხვადასხვა გზებით და საშუალებებით მისი დაჩქარება ან შენელება. პიროვნებას შეიძლება გააჩნდეს ისტორიული აუცილებლობის შესაბამისი ან მისი საწინააღმდეგო მიზნები, მოთხოვნილებები თუ მისწრაფებანი, მაგრამ მას არ შეუძლია ნება-სურვილის მიხედვით შეცვალოს საზოგადოების კანონების ზოგადი მიმართულება. ამასთან, ამ კანონზომიერების ფარგლებში მისი თავისუფალი მოქმედება შესაძლებელია და აუცილებელიცაა, რადგანაც ადამიანი მკაცრად რომ იყოს დეტერმინირებული ისტორიული აუცილებლობით, იგი თავს ვერ გაართმევდა მის წინაშე წამოჭრილ სიძნელეებს.

ისტორიული აუცილებლობა, განსხვავებით ბუნებისაგან, გულისხმობს საზოგადოების მოთხოვნილებებს. მოთხოვნილებები, მართალია, ყველა ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია, მაგრამ ადამიანის მოთხოვნილებები გარემოსთან ურთიერთობის დროს სულ უფრო იცვლებიან და მრავალფეროვანი ხდებიან. ადამიანი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, იცვლება საზოგადოების ცვალებადობასთან ერთად. ამასთან, იგი კრიტიკულად აფასებს ყოველ ეპოქაში არსებულ ღირებულებებს. სოციალური ღირებულებები, რომლებიც ადამიანს გააჩნია, ზოგადადადამიანური ღირებულებებია, რომელთა არჩევას იგი მიზნისა და ნებისყოფის საფუძველზე ახორციელებს.

ამრიგად, ადამიანის ინდივიდუალური ნიშნები: მოთხოვნილებები, მიზნები, ინტერესები, ნებისყოფის თავისუფლება და ა. შ. სოციალური დეტერმინაციის უბრალო გამაშუალებელი რგოლები კი არ არიან, არამედ თითოეული მათგანი თავისებურ ფუნქციას ასრულებს. ამასთან, თვითოეული მათგანის მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, თუ რა როლს ასრულებს სოციალურ სიმამდვილესთან მიმართებაში.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ნებისყოფას აქვს ორგვარი გამოვლენა. პირველი ემყარება პირადულ ზნეობრივ პრინციპს, ხოლო მეორე კი — სხვა ადამიანებთან მიმართებას. „ნებისყოფა, რომელიც მიმართულია სხვებზე არის სოციალური ნებისყოფის განმასხვავებელი ნიშანი“ [17, გვ. 49]. სოციალური ნებისყოფა ავტორის აზრით, იმ კანონებსა და წესებს ემორჩილება, რომლებიც მის გარეთ საზოგადოებაში არსებობენ, მაგრამ ამ კანონებს ისევე ადამიანები ქმნიან, ამდენად ისინიც სუბიექტურნი არიან. „წმინდა მორალი და ჭეშმარიტი უფლება არის ორი განსაკუთრებული ფორმა, რომლებშიც გამოვლინდება ადამიანის ნებისყოფა“ [17, გვ. 52]. შტამლერი ფიქრობს, რომ რადგანაც ნებისყოფა წმინდ სუბიექტური ფაქტორია იგი არ შეიძლება გამოხატავდეს, რაიმე საერთო, ზოგადი მნიშვნელობის წესს ან ნორმას. „იგი არ აღნიშნავს რაიმე შეჯამებულ ნებას, კანონზომიერი მოთხოვნილების შეჯამებულ სურვილს“ [17, გვ. 55]. ავტორი მართალია იმაში, რომ ნებისყოფა მხოლოდ შინაგანი აქტივობის შედეგად გამოვლინდება, მაგრამ აქედან იგი არასწორ დასკვნას აკეთებს იმის შესახებ რომ ნებისყოფას არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია, რაშიც ვერ დავეთანხმებით.

ნებისყოფა მართალია შინაგანია, მაგრამ მისი გამოვლენა აუცილებლად გულისხმობს სხვას, ვის მიმართაც ნებისყოფის აქტი გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. სამშობლოს დაცვა თუ ლალატი ადამიანის ნებისგანაა დამოკიდებული, ხოლო მისი ღირებულება კი ამ ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს საზოგა-

დობაში. როდესაც ვლაპარაკობთ საზოგადოებისადმი ნებისყოფის თავისუფლების მიმართებაზე, იგულისხმება რომ საზოგადოებაში თავისუფლების მატარებელია ცალკეული პიროვნება გარკვეული კლასი თუ მთლიანად საზოგადოება. სწორედ ამიტომ აუცილებელია იმაზე მითითება, რომ „თავისუფლების ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ იმით, რომ ისინი აუცილებლობის სხვადასხვა ფორმებს შეესაბამებიან, არამედ იმითაც, რომ მათ სხვადასხვა სუბიექტები ფლობენ“ [11, გვ. 59]. ხოლო სუბიექტს კი ყველა მართებაში გააჩნია ინდივიდუალური თვისებები, რომლებიც მხოლოდ იმდენად არიან მნიშვნელობის მქონენი რამდენადაც ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების განვითარებაზე. ამიტომ არის რომ დიდი პიროვნება უკეთ აცნობიერებს იმ ღირებულებებს რომლებსაც საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. დიდი პიროვნებების ისტორიული მოღვაწეობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათ სხვა დადებით თვისებებთან ერთად ნებისყოფის უდიდესი ძალაც გააჩნიათ. ისტორიულ კანონზომიერებასა და ადამიანის თავისუფალ მოქმედებას შორის გარკვეული დამოუკიდებლობა არსებობს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ შესაძლებელია სოციალური პროცესების სხვადასხვა ფორმით განხორციელება, და აგრეთვე იმით, რომ როცა ობიექტური ფაქტორები მომწიფებულია, აუცილებელია სუბიექტური ფაქტორის მოქმედება. როდესაც მარქსი მიუთითებდა იმაზე, რომ ძალდატანება „ბებია ქალის“ როლს ასრულებს ისტორიაში, ამაში სწორედ ის იგულისხმება, რომ საზოგადოებრივი პროცესების დროული განხორციელება, ძველის შეცვლა ახლით, შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი აქტიური შემოქმედების გზით.

ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: ნებისყოფის თავისუფლების საფუძველზე ადამიანს შეუძლია მკაცრად განსაზღვრული მიზნულ-შედეგობრივი კავშირის კაუზალური ჯაჭვიდან გადაუხვიოს მისთვის სასურველი მიმართულებით. მიზნისა და ნებისყოფის თავისუფლების საფუძველზე ადამიანი დეტერმინაციის უბრალო გამაშუალებელი წევრი როდია, პირიქით იგი თვითონ განაპირობებს ახალ მიზნულ-შედეგობრივი კავშირის მეტად რთულ და მრავალფეროვან ფორმებს. მიზნისა და ნებისყოფის საფუძველზე ადამიანი თვითონ არეგულირებს სოციალურ პროცესებსა და მოვლენებს, სწორედ ამიტომ სოციალური დეტერმინაციის ალბათური ფორმა, არსებითად, განსხვავდება მცირე ნაწილაკების სფეროში არსებული ალბათობისაგან.

Ш. Г. КВАНЧИАНИ

СВОБОДА ВОЛИ И СОЦИАЛЬНАЯ ДЕТЕРМИНАЦИЯ

Резюме

Основой свободы воли является специфика существования человека, которая выражается в том, что при приспособлении к окружающей действительности ему постоянно приходится преодолевать сопротивление и осуществлять свободный выбор, преобразовывая окружающую действительность для использования в собственных целях.

На основе свободы воли человек никогда слепо не подчиняется воздействию внешней ситуации, наоборот, он свободен в выборе ответа.

Это обусловлено тем, что он не только отражает окружающую действительность, а по определенным критериям оценивает ее. В отличие от физических тел, человек никогда не отвечает на внешние факторы механически. В отношении к последним он всегда принимает активную позицию. На основе цели и свободы воли человек преодолевает непосредственную внешнюю ситуацию и сам регулирует социальные процессы и явления. Поэтому вероятностная форма социальной детерминации существенно отличается от вероятности, которая имеется в квантовой механике.

ლიტერატურა

1. ლენინი ვ. ი. თხზ., ტ. 1. -
2. ბაკურაძე ო. თავსუფლება და აუცილებლობა. თბილისი, 1964.
3. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III—IV. თბილისი, 1964.
4. ჩხარტიშვილი შ. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. თბილისი, 1958.
5. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1973.
6. Маркс К., Энгельс Ф. Соч., изд второе, т. 3, М., 1955.
7. Баканов Е. И. Исследования генезиса волевого действия. Автореф. диссерт. канд. псих. наук, М., 1979.
8. Виндельбанд. О свободе воли, изд. В. В. Бутлерова. С.—Петербург, 1904.
9. Гольбах П. Система природы, М., 1940.
10. Гегель Г. Ф. Энциклопедия философских наук, ч. I, Логика. Москва-Ленинград, 1929.
11. Джигоев О. И. Природа исторической необходимости. Тбилиси, 1967.
12. Кедров Б. М. Некоторые размышления навеянные статьей Дж. Уолда. Журн. «Наука и жизнь», 1967, № 2.
13. Павлов И. П. Полн. собр. соч. т. 3, Москва-Ленинград, 1951.
14. Паркин В. Ф. Социальный детерминизм как проблема развитого социализма, М., 1981.
15. Дж. Уолд. Детерминизм индивидуальности и проблемы свободной воли, Журн. «Наука и жизнь», 1967, № 1.
16. Философская энциклопедия, т. I, М., 1960.
17. Шопенгауэр А. Мир как воля и представления, М., 1888.
18. Штаммлер Р. Хозяйство и право с точки зрения материалистического понимания истории, т. 2. С-Петербург, 1907.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილო-
სოფიის ინსტიტუტმა

ფსიქოლოგია

კეთილშობილ აბაშვილი

ბანუშობის ეფექტის თავისებურება ჯანმრთელ და ფიზიკურად დაზარალებულ ბავშვებთან

ბავშვობის ასაკში განვითარებული შიზოფრენია¹ მიუხედავად კლინიკური პოლიმორფიზმისა, მაინც ხასიათდება პათოლოგიურ გამოვლინებათა იმდენად გამოხატული ერთგვარობით, რომ საფუძველს უქმნის მკვლევართა მცდელობას გამოიყონ აღნიშნული ფსიქიკური დაავადების ძირითადი გამომწვევი მიზეზი, აღწერონ საერთო პათოგენეზური მექანიზმი. ასეთი მცდელობა ბევრია და რამდენადაც მრავალი იმდენადვე მრავალგვარი.

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობენ თეორიები, რომლებიც აღნიშნული დაავადების ძირითად პათოლოგიურ გამოვლინებებს (სტერეოტიპული მოქმედებები, სოციალური განდგომა, ნეგატივიზმი და სხვ.) ამა თუ იმ ფსიქიკური ფუნქციის დარღვევას უკავშირებენ. ამასთანავე აღრეული თვალსაზრისისაგან განსხვავებით, გახშირდა მოსაზრება, რომ სირთულეები აღქმასა, აზროვნებასა და მეტყველებაში ნეგატივიზმთან და უკონტაქტობასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ ნეგატივიზმი და არაკონტაქტურობა ნაწილობრივ, გამოწვეულია აღნიშნულ ფსიქიკურ შესაძლებლობათა შეზღუდვით [14]. ასე მაგალითად, ბავშვის შიზოფრენიის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი, რატერი, რომელიც ბავშვთა შიზოფრენიის საფუძვლად მეტყველების დარღვევას სახავს, ამტკიცებს, რომ დარღვევები ქცევაში შეორაღია მეტყველების დარღვევების მიმართ. კერძოდ, მეტყველების სირთულეები არის შედეგი ძირითადი სამეტყველო უნარის და არა ლაპარაკის მოტივის უქონლობისა. ავტორი თავისი შეხედულებების ერთ-ერთ დამადასტურებელ არგუმენტად თვლის იმ გარემოებას, რომ აუტისტი ბავშვები, რომლებიც ვერ ასრულებენ ვერბალურ ტესტებს, წარმატებით წყვეტენ არავერბალურებს. ე. ი. მათ ბჭვთ მოტივი შეასრულონ ტესტები თავისი შესაძლებლობების ფარგლებში [15].

მეორეს მხრივ, არაერთი ავტორი აღნიშნავს, რომ შიზოფრენიით დაავადებული ბავშვები ტესტირება-რეტესტირების დროს სტანდარტიზირებული ტესტის ერთსა და იმავე პუნქტებში ხან აღწევენ წარმატებებს და ხან მარცხს განიცდიან [14; 11]. წარმატება-წარუმატებლობის არამდგრადობის მსგავსი ფაქტები მრავალგზის დადასტურდა შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვთა აღქმის ექსპერიმენტული გამოკვლევების დროს. ეს ფაქტები საკმაოდ დიდ სირთულეს უქ-

¹ ფსიქოლოგიურ და ფსიქიატრიულ ლიტერატურაში ფართო მსჯელობის საგანს წარმოადგენს საკითხი ბავშვთა შიზოფრენიისა და ბავშვთა აუტიზმის ურთიერთმომართების შესახებ. სხვადასხვა ავტორების მიერ გამოყოფილია სხვადასხვა კრატერიუმები ბავშვთა ასაკის პათოლოგიის ამ ფორმების განსასხვავებლად (ასაკობრივი, სქესობრივი, მშობელთა სოციალური წარმოშობა, IQ-დონე), მაგრამ არსებობს მთელი რიგი გამოკვლევები, რომლებიც აბათილებენ ამ კრატერიუმთა საფუძვლიანობას. რიგი ავტორებისა საერთოდ არ განასხვავებს აუტიზმსა და ბავშვთა შიზოფრენიას. დასავლური ფსიქოლოგიური ლიტერატურის ძირითად ნაწილში აღნიშნულ ანომალიათა ნოზოლოგიური დიფერენცირება არ ხდება.

მნის იმ მკვლევარებს, რომლებიც ბავშვთა შიზოფრენიის ბუნებას ფსიქიკურ ფუნქციათა პათოლოგიით ხსნიან და არგუმენტად იყენებენ იმ მსგავსებას, რომელიც შიზოფრენიით დაავადებული ბავშვების და პარციალურად ბრმა, პარციალურად ყრუ, ან აფაზიის მქონე ბავშვთა ქცევას შორის არსებობს. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთნი ვარაუდობენ, რომ შესრულების ხარისხის ცვალებადობას, რომლისთვისაც არავითარი ობიექტური პირობა არ არის მოცემული, საფუძვლად უდევს „რეაგირების საერთო პარადოქსულობა“, „სენსორული შესასვლელის“ მოდულაციის თავისებური პათოლოგია [12], სხვანი მიუთითებენ ალქმის მთლიანობის დარღვევაზე ე. წ. რეცეპტის დისოციაციასზე, ინფორმაციის ერთი მოდლობიდან მეორეში გადატანის სირთულეზე [10], ქაოტური პერცეპტული სტიმულებიდან მნიშვნელოვანი პერცეფტული ნიმუშების ფორმირების შეფერხებაზე [13] და სხვ. საგულისხმოა, რომ მიუხედავად შემოტანილ ტერმინთა სიმრავლისა, რომელთა უმრავლესობა აღწერით ხასიათს ატარებს, არ არის მოცემული ერთიანი მექანიზმი, რომელიც ამ მრავალგვარ პათოლოგიურ გამოვლინებათა ახსნას საერთო საფუძველზე შესძლებდა.

ამგვარად, შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოლოგიური კვლევის შედეგად დაგროვილმა ექსპერიმენტულმა ფაქტებმა წინ წამოწიეს შემეცნებითი ფუნქციების (ალქმა, აზროვნება, მეტყველება) დარღვევის როლი აღნიშნული დაავადების ფსიქოპათოლოგიურ თავისებურებათა გენეზში, რითაც უარყვეს შეხედულება, რომელსაც ბავშვთა ასაკის შიზოფრენიის დარღვევები მოტივაციის პათოლოგიაზე დაჰყავდა, ასე რომ აზრი აღნიშნულ პათოლოგიურ თავისებურებათა სუბიექტით დეტერმინირების შესახებ შეცვალა აზრმა, რომელიც ამ თავისებურებების გამოვლინებათა ობიექტით დეტერმინირებას აძლევს უპირატესობას. მაგრამ მეორეს მხრივ, იგივე ექსპერიმენტულმა მონაცემებმა უჩვენეს, რომ შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებზე მიღებული მონაცემები ვერც მხოლოდ ობიექტის გვარობით აიხსნება (ობიექტურად თანაბარი სირთულის ტესტების სხვადასხვაგვარი შესრულების ფაქტები) და მაშასადამე აღნიშნული დაავადების დროს დარღვეული მექანიზმი არა მარტო ობიექტურ, არამედ სუბიექტურ კომპონენტებსაც უნდა შეიცავდეს, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს სუბიექტური კომპონენტი მოტივი არ არის.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა ავტორი ბავშვთა შიზოფრენიის განვითარებაში სხვადასხვა შემეცნებითი ფუნქციების პათოლოგიას აძლევს უპირატესობას (მაგალითად ალქმის პათოლოგიას, როგორც ბავშვთა შიზოფრენიის ცენტრალური დეფექტის თეორიას დაახლოებით იმდენივე არგუმენტი აქვს და იმდენივე მომხრე ჰყავს, რამდენიც იმ თეორიებს, რომლებიც ასეთ ცენტრალურ პოზიციაში მეტყველების ან აზროვნების დარღვევას აყენებენ), მიუთითებს იმას, რომ ტესტების არაადექვატური შესრულების ფაქტები შეიძლება გამოვლინდეს ყოველგვარი სახის შემეცნებით პროცესში და არა მინცდამინც ყოველთვის მხოლოდ ერთი გარკვეული პროცესის მიმდინარეობაში, ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ შესრულების სიძნელები დაკავშირებულია უფრო ზოგად მექანიზმთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ობიექტის ასახვა განურჩევლად იმისა თუ სახელდობრ რომელი შემეცნებითი პროცესის უპირატეს მონაწილეობას მოითხოვს ამოცანა.

ყოველივე ზემოთქმულის დაჯამებით, მივიღებთ, რომ შიზოფრენიით დაავადებული ბავშვის საკმაოდ წინააღმდეგობრივი ხასიათის ძირითადი ექსპერიმენტული მონაცემების ახსნა შესაძლებელი გახდება თუ ვივარაუდებთ ისეთი

მექანიზმის დარღვევას, რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ კომპონენტს, მონაწილეობს არა რომელიმე ერთი, არამედ ყოველი შემეცნებითი ფუნქციის წარმართვაში და რომელიც ობიექტის სუბიექტში ასახვას, ობიექტის გასუბიექტებას ემსახურება. როგორც ვიცით დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური ცნება არის სწორედ ის ცნება, რომელიც ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს [4].

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ათეული წლების მანძილზე სწარმოებს ფსიქიურ დაავადებათა, მათ შორის შიზოფრენიის, ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა უზნაძის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის საფუძველზე.

შიზოფრენიით დაავადებულ ზრდასრულთა განწყობის კვლევამ უჩვენა, რომ მათი ფიქსირებული განწყობის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს ინერტულობა და სტატიკურობა წარმოადგენს [1]. ასეთი განწყობა მოკლებულია თავის ყველაზე არსებით თვისებებს გარემოსთან ადექვატური შეგუების თვალსაზრისით, დაემორჩილოს ობიექტის ზემოქმედებას, შეიქმნას და გამოდიფერენცირდეს ამ უკანასკნელის შესაბამისად.

გაზრდილი ინერტულობის გამო შიზოფრენიით დაავადებულთა ფიქსირებული განწყობა განაგრძობს მოქმედებას არა მარტო მისთვის შესაფერის პირობებში, არამედ იმ პირობებშიაც, რომელთა მიმართ იგი ადექვატური აღარ არის [3; 6]. შიზოფრენიით დაავადებულთა განწყობისათვის დამახასიათებელი უუნარობა დაემორჩილოს ობიექტის კანონზომიერებას. შეიძლება გამოვლინდეს ერთი შეხედვით ზემოთ აღნიშნულის საწინააღმდეგო სახითაც, კერძოდ განწყობის ფიქსაციის სრულ შეუძლებლობაში ძირითადად დინამიური ექსპერიმენტული სიტუაციის პირობებში, ან სიტუაციაში, რომელიც უფრო ზოგად, ნაკლებ თვალსაჩინო ნიშან-თვისებათა ასახვას მოითხოვს [7; 9].

ფიქსირებულ განწყობათა სწორად, ობიექტურ მიმართებათა შესაბამისად ფორმირება განაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი უნდა იყოს ბავშვის ასაკში, როცა ინტენსიურად მიმდინარეობს გარემოს ძირითად ობიექტურ მიმართებათა გაზინავება და მათი ფსიქიკაში დალექვა ფიქსირებულ განწყობათა სახით. ასეთი განწყობები ორიენტირის როლს თამაშობენ შემდგომი უფრო რთული მიმართებების ასახვაში. როგორია ფიქსირებულ განწყობათა ფორმირების უნარი შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებთან?

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთ აღწერილი მონაცემები მიღებულია ზრდასრულ ავადმყოფთა გამოკვლევისას. განწყობის თავისებურებათა თვალსაზრისით ბავშვთა შიზოფრენია ნაკლებად არის შესწავლილი. ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა გამოკვლევა ჩატარებულია განწყობის ფიქსაციის კლასიკური მეთოდის მეშვეობით და მიმართულია მხოლოდ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესის შესწავლაზე. გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ განწყობის ჩაქრობის პროცესი შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებთან და მოზარდებთან ისევე გართულებული, როგორც ზრდასრულ ავადმყოფებთან [8], აქაც ვხვდებით ფიქსაციის ეფექტის ზრდას, ბავშვის განწყობა ატარებს ისეთსავე სტატიკურ ხასიათს, როგორც ზრდასრულისა.

თუ შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვთა განწყობის მოქმედება ხასიათდება იმავე კანონზომიერებით როგორითაც ზრდასრულ ავადმყოფთა განწყობა, ზემოთქმულის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ გარკვეულ ცვლილებებს ადგილი ექნებათ განწყობის ფორმირების და ფიქსაციის პროცესშიც.

უზნაძის კლასიკური მეთოდი, განწყობის ეფექტის მიღების თვალსაზრისით, შიზოფრენიით დაავადებულ და ჯანმრთელ ბავშვებს შორის განსხვავებას ვერ ავლენს, როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევაში იგი ადვილად აგზნებადი [2; 5]. ამიტომ კანონიერად დგება საკითხი იმის შესახებ თუ როგორია ის მახასიათებლები, რომლებიც რეალურ სიტუაციაში შესაძლოა აფერხებენ ობიექტის ასახვას ინდივიდის განწყობაში და რომლებიც არ არის მოცემული უზნაძის კლასიკური მეთოდით ჩატარებულ ექსპერიმენტში.

აღნიშნული მეთოდის სტრუქტურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მის თავისებურებას საფიქსაციო მიმართების (უტოლობის) სიტუაციის სხვა კომპონენტთა უცვლელობის პირობებში ფიქსირება წარმოადგენს. რეალურ, არა-ექსპერიმენტულ პირობებში კი გარკვეული მიმართების განმეორება, უმეტეს შემთხვევაში, დანარჩენი კომპონენტების მიხედვით სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში ხდება.

სიტუაციის დინამიურობა-სტატიკურობის მიმართ შიზოფრენიით დაავადებული ბავშვის განსაკუთრებულ მგრძობელობაზე მიუთითებს კლინიკური მონაცემებიც, რომლებიც ფართოდ არის აღწერილი შესაბამის ლიტერატურაში. ბევრი ავტორი ამახვილებს ყურადღებას ისეთ პათოლოგიურ გამოვლინებაზე როგორცაა მოთხოვნილება განმეორებაში. აღნიშნული დაავადებისათვის დამახასიათებელია სტერეოტიპული, ერთგვაროვანი მოქმედებები, შემოზღუდვა ერთგვაროვანი სენსორული მასალით, არაადეკვატური შიშის აღმოცენება სტერეოტიპულობის დარღვევის დროს.

ზემოთქმულის საფუძველზე მივიჩნით, რომ სიტუაციის დინამიურობა-სტატიკურობა უნდა იყოს სწორედ ის მახასიათებელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ შიზოფრენიით დაავადებული ბავშვის განწყობის ფორმირების თავისებურებები ჯანმრთელ თანატოლებთან შედარებით.

სიტუაციის ცვალებადი მახასიათებლების განმეორებადი მიმართების ფიქსირებაზე გავლენის შესასწავლად გამოვიყენეთ განწყობის ფიქსაციის ის მეთოდები, რომლებიც სწორედ ამ თვალსაზრისით განიჩნევინა ერთმანეთისაგან.

კვლევა წარმოებდა შემდეგი ექსპერიმენტული მეთოდის მეშვეობით:

1. განწყობის ფიქსაციის უზნაძის კლასიკური მეთოდი ოპტიკური სფეროსათვის.

2. განწყობის ფიქსაციის ხოჯავას მეთოდის II ვარიანტი. ამ მეთოდიკაში ექსპერიმენტული მასალის სახით გამოიყენება ფიგურათა 16 — წყვილი. თითოეული წყვილი წარმოადგენს ზომით განსხვავებულ, მაგრამ ფორმით იდენტურ ფიგურებს, ამავე დროს არც ერთი წყვილი არ იმეორებს მეორეს და საერთო მათთვის არის მხოლოდ სხვაობა სიდიდეთა შორის. კრიტიკული მასალის სახით გამოიყენება ტოლი წრეები.


3. საგანთა კლასზე განწყობის ფიქსაციის მეთოდი (გერსამია). საგანწყობო ცდებში ც. პ.-ს ტაქსისტოსკოპურად ეძლევა ბარათები ცხოველთა გამოსახულებებით (შინაური და გარეული ცხოველები, ფრინველები, თევზები, მწერები). შემდეგ უჩვენებენ კრიტიკულ გამოსახულებას—ქამარს, რომლის კონტური რამდენადმე გველს წააგავს. თუ ცხოველთა გამოსახულებების მრავალჯერადი ჩვენების შედეგად გამომუშავდა და გაფიქსირდა განწყობა ცხოველის აღქმისა. მაშინ კრიტიკული გამოსახულება ასიმილირდება ამ განწყობით და გაჩნდება აღქმის ილუზია — ქამარი აღიქმება გველად, ან ცხოველთა სამყაროს რომელიმე სხვა წარმომადგენლად.

აღნიშნულ მეთოდთან პირველში საფიქსაციო მიმართება სრულიად სტატისტიკურ პირობებში ეძლევა ცდისპირს. მეორე მეთოდიკის გამოყენებისას საფიქსაციო სიტუაციები უცვლელი რჩება მხოლოდ საფიქსაციო მიმართების თვალსაზრისით (ფიგურათა დიდ-პატარა განფენილობა), სიტუაციის სხვა კომპონენტები ცვალბადობს ექსპოზიციების მიხედვით. ექსპერიმენტის მესამე სერიისაში საფიქსაციო მიმართება აბსტრაქტული ხასიათისაა და ამიტომ საფიქსაციო ექსპოზიციებში მიწოდებული სიტუაციები სრული დინამიურობით ხასიათდება.

კვლევა სწარმოებდა 22 ავადმყოფ ც. პ-ზე (7-დან 11-წლამდე) შიზოფრენიის დიაგნოზით. საკონტროლო მონაცემთა მიღების მიზნით, ცდებს ვატარებდით იმავე ასაკის 165 ჯანმრთელ ცდისპირზე.

მონაცემები განწყობის აღმოცენების შესაძლებლობის შესახებ ჩვენი ექსპერიმენტის ყველა სერიაში ჯანმრთელ და შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებზე მოცემულია №1 გრაფიკზე.

გრაფიკი №1



აღქმის ილუზიათა სიხშირის განაწილება ჯანმრთელი ბავშვების (ა) და შიზოფრენიით დაავადებული ბავშვების (ბ) ჯგუფებში აბსცისაზე: ცდის სერიები
ორდინატზე: ცდისპირთა რაოდენობა პროცენტებში, რომელთაც გამოავლინეს აღქმის ილუზიები ცდის კრიტიკულ ექსპოზიციაში

ჯანმრთელ ცდისპირთა შორის განწყობის ეფექტის მქონე ინდივიდთა რაოდენობის კლება ჩვენი ექსპერიმენტის სერიების მიხედვით შეესაბამება იმ კანონზომიერებას, რომელიც ჩვენ საგანგებოდ შევქმენით ჩვენს ცდაში. ფიქსირებული განწყობის ეფექტის სიხშირე ნორმაში მცირდება საფიქსაციო სიტუაციათა დინამიურობის ზრდის კვალდაკვალ.

პათოლოგიურ მასალაზე მიღებული მონაცემები, პირველ რიგში, განირჩევიან იმით, რომ ნორმაში გამოვლენილი ფიქსირებული განწყობის ეფექტის გამოვლინების ერთიან ტენდენციას აქ ვერ ვხვდებით. საგანწყობო ილუზიების აღმოცენების სიხშირე მკვეთრად მცირდება მეორე სერიაში და ასევე მკვეთრად მატულობს ექსპერიმენტის მესამე სერიაში. მიღებულ მონაცემთა გასაანალიზებ-

ლად შევადაროთ ავადმყოფ ბავშვთა მონაცემები, ერთის მხრივ, ჯანმრთელი ბავშვების მონაცემებს და, მეორეს მხრივ, საფიქსაციო პირობათა თავისებურებებს.

ექსპერიმენტის პირველ სერიაში განწყობა ფიქსირდება ერთმანეთის იგივეური სტიმულების წარდგენის საფუძველზე. ამდენად, მათი ასახვა სხვა ცდებთან შედარებით მოითხოვს ნაკლებად აქტიურ მიმართულებას ობიექტზე. ამ პირობებში ნორმასა და პათოლოგიაში მიღებული მონაცემები ერთნაირია (სხვაობა სტატისტიკურად სანდო არ არის).

მეორე სერიაში რაოდენობა ჯანმრთელი და ავადმყოფი ბავშვებისა, რომელთაც გამოუმუშავდათ განწყობის ეფექტი, მკვეთრად განირჩევა ერთმანეთისაგან, თუმც პირველ სერიასთან მიმართებაში გამოვლენილი შეცვლის ტენდენცია ერთგვარია. განწყობის ილუზიათა შემთხვევები საფიქსაციო პირობების დინამიურობისას, როგორც ჯანმრთელ ისე ავადმყოფ ბავშვებთან უფრო იშვიათია ვიდრე პირველ ექსპერიმენტში. ოღონდ თუ განწყობის ეფექტის შემცირება ჯანმრთელ ცდისპირებთან შეადგენს მხოლოდ 9,7%, შიზოფრენიით დაავადებულებთან იგი 35% აღწევს. უნდა ვივარაუდოთ, რომ განწყობის ჩამოყალიბება უფრო რთულ პირობებში, რომელიც მოითხოვს სხვა ნიშნების მიხედვით განსხვავებული ობიექტების საერთო ნიშნის ასახვას შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებთან მნიშვნელოვნადაა გართულებული.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ განწყობის ფიქსაციის ეფექტი ც. პ-თა ძირითად ჯგუფებში კიდევ უფრო დაბალი უნდა იყოს ცდის მესამე სერიაში. ცხოველთა კლასზე განწყობის ფიქსაცია ხომ ერთმანეთისაგან ეგზომ განსხვავებულ კონკრეტულ გამოსახულებების ჩვენების საფუძველზე ხდება, როგორცაა: ხოჭო, დათვი, ხელიკი და სხვა.

მიუხედავად ამისა, როგორც ექსპერიმენტულმა მონაცემებმა უჩვენეს, განწყობის ფიქსაციის ფაქტთა სიხშირე ექსპერიმენტის ამ სერიაში შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებს შორის იმდენად მატულობს, რომ უფრო ხშირ მოვლენად იქცევა ვიდრე იმავე ასაკის ჯანმრთელ ბავშვებში.

აღნიშნული პარადოქსული მონაცემების ინტერპრეტაციისათვის გამოყენებული მეთოდიკების დეტალურ ანალიზს მივმართეთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპერიმენტული მეთოდიკები საფიქსაციო პირობათა დინამიურობის ზრდის მიხედვით შევარჩიეთ. პირველი ორი მეთოდიკისათვის ეს პარამეტრი მართლაც ერთმნიშვნელოვნად გამოიყო, ვინაიდან სხვა მახასიათებლების როგორც თავად საფიქსაციო მიმართების (დიდ-პატარა), ისე საფიქსაციო მასალის (გეომეტრიული ფიგურები) მიხედვით ისინი ერთგვარნი არიან, ამდენად განწყობის ეფექტის სხვაობა, რომელიც I და III სერიებს შორის არსებობს, მხოლოდ ფიქსაციის პირობათა დინამიურობით უნდა იყოს გამოწვეული. III სერიაში საფიქსაციო პირობათა დინამიურობა კიდევ უფრო იზრდება, მაგრამ ამ სერიას, გარდა აღნიშნული პარამეტრის რაოდენობრივი ზრდისა, აქვს I და II სერიისაგან განსხვავებული, სპეციფიკური თვისებებიც სახელდობრ: 1) I და II სერიაში საფიქსაციო კანონზომიერება თვალსაჩინო ხასიათს ატარებს, II-ში. იგი აბსტრაქტულია და 2) I და II სერიაში გამოყენებულია ფორმალური მასალა, III-ში კი საფიქსაციო მასალა არა მარტო საგნობრივია, არამედ განსაკუთრებული ემოციური ტონის მატარებელიც, რაც აშკარად გამოვლინდა ექსპერიმენტის მსვლელობაში.

აღნიშნული სამი მახასიათებლიდან (საფიქსაციო პირობათა მაქსიმალური დინამიურობა, საფიქსაციო კანონზომიერების აბსტრაქტიულობა, საფიქსაციო მასალის ემოციურობა) რომელს შეიძლება მიეწეროს ფიქსაციის ეფექტის მკვეთრი ზრდა ექსპერიმენტის III სერიაში?

ვინაიდან ფიქსაციის ეფექტის ცვლილება II სერიაში მხოლოდ პირველი ფაქტორით (ფიქსაციის პირობათა დინამიურობა) განისაზღვრება შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ფაქტორსა და განწყობის ეფექტს შორის შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებთან უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს — ფიქსაციის პირობათა დინამიურობის ზრდა განწყობის ეფექტის შემცირებას იწვევს, ხოლო რადგან ეს ასეა აღნიშნული ფაქტორი ვერ იქნება III სერიაში მიღებული განწყობის ეფექტის ზრდის გამომწვევი.


იმის შესახებ თუ დარჩენილი ორი ფაქტორიდან რომელს აქვს არსებითი მნიშვნელობა ჩვენთვის საინტერესო ექსპერიმენტული ფაქტისათვის, ჩვენს მიერ ჩატარებული ცდები ინფორმაციას ვერ იძლევა. მეორეს მხრივ, ორივე ფაქტორს როგორც მასალის ემოციურ დატვირთულობას, ისე მიმართებათა აბსტრაქტიულობის ხარისხს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შიზოფრენიის ფსიქოპათოლოგიის, განსაკუთრებით კი შიზოფრენიული აზროვნების საკითხის განხილვისას და თუ შემეცნებით პროცესთა განწყობის თავისებურებებით დეტერმინირების დებულებიდან ამოვალთ, აღნიშნულ ფაქტორთა მიმართების კვლევა განწყობის ფიქსაციის პროცესთან თავისთავადი მნიშვნელობის მატარებლად წარმოგვიდგება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის მომდევნო ეტაპზე მიზნად დავისახეთ იმ გავლენის უფრო დეტალურად შესწავლა, რომელსაც გამოყოფილი ფაქტორები, საფიქსაციო მასალის ემოციურობა და საფიქსაციო კანონზომიერების კონკრეტულობა-აბსტრაქტიულობა, ახდენს განწყობის ფიქსაციის სენსიბილიზირებულ პროცესზე (საფიქსაციო პირობათა დინამიურობა) შიზოფრენიით დაავადებულ და ჯანსაღ ბავშვებთან.


ამ მიზნით გამოვიყენეთ ორი მეთოდიკა, რომელნიც წინა მეთოდიკების ოპოზიციური არიან იმ აზრით, რომ თუ ხოჯავას ექსპერიმენტი თავის თავში მოიცავს საფიქსაციო კანონზომიერების კონკრეტულ ხასიათს და არაემოციურ საფიქსაციო მასალას, გერსამიას ექსპერიმენტი კი აერთიანებს საფიქსაციო კანონზომიერების აბსტრაქტიულობას და საფიქსაციო მასალის დიდ ემოციურ დატვირთულობას, მოცემულ ეტაპზე ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდიკები ერთ შემთხვევაში აერთიანებენ საფიქსაციო კანონზომიერების კონკრეტულ დონეს საფიქსაციო მასალის ემოციურობასთან, მეორე შემთხვევაში კი საფიქსაციო კანონზომიერების აბსტრაქტიულობას საფიქსაციო მასალის ნეიტრალურ ემოციურ ტონთან.

კერძოდ, განწყობის ფიქსაციის ერთ სერიაში (IV სერია) ცდისპირებს ვაწვდიდით ბარათების რიგს, რომელთაგან თითოეულზე ორი ერთმანეთისაგან მხოლოდ სიდიდით განსხვავებული გამოსახულება იყო. ეს გამოსახულებები, ხოჯავას მეთოდიკისაგან განსხვავებით წარმოადგენენ არა გეომეტრიულ ფიგურებს, არამედ ცხოველების, ადამიანებისა და სათამაშოების უფრო ემოციურ, ფერად გამოსახულებებს. განწყობა ფიქსირდება მიწოდებული გამოსახულებების სიდიდეთა სხვაობაზე. კრიტიკულ ექსპოზიციაშია ც. პ-ებს ვაწვდით ბარათებს ტოლი წრეებით.


გნაფიკი №2




გნაფიკი №3



გნაფიკი №4



გნაფიკი №5



აღქმის ილუზიათა სიზშირის განაწილება ჯანბრთელი ბავშვების (ა) და შიზოფრენიით დაავადებული ბავშვების (ბ) ჯგუფებში აბსცისაზე: ცდის სერიები.

ორდინატაზე: ცდისპირთა რაოდენობა პროცენტებში, რომელთაც გამოავლინეს აღქმის ილუზიები ცდის კრიტიკულ ექსპოზიციაში.

V სერიაში ცხოველთა ძლიერ ემოციური ფერადი გამოსახულებების ნაცვლად (III სერია, გერსამიას მეთოდით) ვაწვდიდით ყოფითი საგნების ნაკლებად ემოციურ შავ-თეთრ გამოსახულებებს. კრიტიკულ ექსპოზიციაში ცდისპირებს.

ედლეოდათ გველის გამოსახულება, რომელიც საგანთა კლასზე განწყობის ფიქსაციის შემთხვევაში ქამრად უნდა აღქმულიყო. IV სერიის ცდები ჩატარდა 42 შიზოფრენიით დაავადებულ და 116 იმავე ასაკის ჯანმრთელ ბავშვზე, V სერიის ცდები კი შესაბამისად 46 და 118 ც. პ-ზე.

II, III, IV და V სერიის შედეგების შეპირისპირება საშუალებას იძლევა განისაზღვროს, ერთის მხრივ, ემოციური ფაქტორის როლი განწყობის ფიქსაციისას სიტუაციის როგორც კონკრეტულ (გრაფ. № 4), ისე აბსტრაქტულ მიმართებებზე (გრაფ. № 5), მეორეს მხრივ კი, საფიქსაციო მიმართების აბსტრაქტულობა-კონკრეტულობის როლი განწყობის ფიქსაციის პროცესში როგორც ემოციური სტიმულირების არსებობისას (გრაფ. № 3), ისე მათი არარსებობის პირობებში (გრაფ. № 2).

№ 2 და № 3 გრაფიკის განხილვის დროს ჯანმრთელ ცდისპირთა მონაცემებში კანონზომიერება ადვილად შეიმჩნევა. საკონტროლო ჯგუფში განწყობის ფიქსაცია აბსტრაქტულ მიმართებებზე განწყობის ეფექტის გამოვლენას იწვევს დაახლოებით ისეთივე სიხშირით, როგორც მისი ფიქსაცია კონკრეტულ მიმართებაზე. აღნიშნული კანონზომიერება ვლინდება ექსპერიმენტის როგორც ემოციურად დატვირთული (გრაფ. № 3), ისე ემოციურად ნეიტრალური (გრაფ. № 2) სერიების მონაცემთა ურთიერთშეპირისპირებით.

მონაცემები, რომლებიც ძირითად ჯგუფშია მიღებული, უფრო წინააღმდეგობრივია და ერთიან კანონზომიერებას არ ავლენს.

კერძოდ, არაემოციური მასალის გამოყენებისას საფიქსაციო კანონზომიერების გართულება განწყობის ეფექტის უმნიშვნელო შემცირებას იწვევს. ემოციური მასალის თანაობისას კი პირიქით, მის მკვეთრ ზრდას (20, 2%). აღნიშნულთაგან პირველი მდგომარეობა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ საკუთრივ აბსტრაქტული მიმართების ასახვა მნიშვნელოვნად უფრო რთულ ამოცანას არ უნდა წარმოადგენდეს აღნიშნული პათოლოგიის დროს, ვიდრე კონკრეტული მიმართებისა. ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებული (2,9%) და ამავე დროს ნორმაზე მკვეთრად დაბალი (21,9%; 27,3%) განწყობის ეფექტი მოცემულ სერიებში (გრაფ. № 2) კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ დებულებას იმის შესახებ, რომ განწყობის ფიქსაციის დინამიური პირობები, რომელიც გვაქვს როგორც II ისე V ექსპერიმენტულ სერიაში, წარმოადგენს შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვთა განწყობის ფიქსაციის ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორს და საფიქსაციო მიმართების აბსტრაქტულობა მათთვის დამატებით დაბრკოლებას არ წარმოშობს, მაგრამ როგორ ავხსნათ IV და III ექსპერიმენტის მონაცემთა მიმართება (გრაფ. № 3). განწყობის ეფექტის მატება აბსტრაქტული მიმართების ფიქსირებისას (III სერია) ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებს ობიექტურ მიმართებათა ასახვა გარკვეულ პირობებში აბსტრაქტულ დონეზე უფრო უადვილდებათ ვიდრე კონკრეტულზე? თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი ექსპერიმენტის თავისებურებებიდან გამომდინარე (III სერია ემოციურად დატვირთულია) ამ გარკვეული პირობების ქვეშ ემოციური სტიმულაცია უნდა ვიგულისხმოთ და ვივარაუდოთ, რომ ემოციური სიტუაციების არსებობისას ობიექტურად მოცემული აბსტრაქტული და მხოლოდ აბსტრაქტული მიმართულებების ასახვის სადვილე შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვთა თავისებურებებს წარმოადგენს. მაგრამ ვიდრე III სერიის მონაცემების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას მართებულად მივიჩნევდეთ, ჩვენი ყურადღება საფიქსაციო მიმართების რავგარობიდან, რომელსაც

ზემოთ ვიხილავდით, გადავანაცვლოთ განწყობის ფიქსაციის იმ ცვლილებებზე, რომელიც საფიქსაციო მასალაში ემოციური სტიმულების არსებობა არაარსებობით არის პირობადებული. ამისათვის განვიხილოთ გრაფიკი № 4 და № 5.

ამ გრაფიკებზე გაერთიანებულია იმ ცდათა მაჩვენებლები, რომლებიც ერთნაირნი არიან საფიქსაციო მიმართების თვალსაზრისით, და თუ წინა გრაფიკებზე ცვლადის სახით საფიქსაციო მიმართება გამოდიოდა, ამ შემთხვევაში ასეთ ცვლადს საფიქსაციო მასალის გვარობა — ემოციურობა-არაემოციურობა წარმოადგენს.

ჯანმრთელ ბავშვებში ემოციური ტონის არსებობა როგორც კონკრეტული ისე აბსტრაქტული მიმართების ფიქსირებისას ამცირებს ფიქსაციის ეფექტის გამოვლენის სიხშირეს (8%-ით კონკრეტულ მიმართებებზე, 9,9%-ით აბსტრაქტული მიმართებების დროს). ეს ფაქტი შეიძლება იმით აიხსნას, რომ სენსორულ მოცულობათა ემოციური დატვირთულობა რომელთაგან, ზოგადი მიმართების ასახვისას გარკვეულ წილად აბსტრაგირება არის საჭირო, ხელს უშლის ამ პროცესის წარმატებით განხორციელებას.

შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებთან, წინააღმდეგ აღნიშნულისა, ემოციური სტიმულირების მიწოდება განწყობის ფიქსაციის ეფექტის გამოვლენათა რიცხვის ზრდას უკავშირდება. ოღონდ კონკრეტული მიმართების ფიქსირებისას ეს მატება ძლიერ შესამჩნევია (განწყობის ეფექტი 2%-ით მატულობს გრაფ. № 4), აბსტრაქტული კატეგორიის გამოყოფის პროცესში კი, III სერიაში მიღებული მაჩვენებლის გამო, ძლიერ გამოხატულ სახეს იღებს (განწყობის ეფექტი 25,2%-ით მატულობს გრაფ. № 5). როგორც ვხედავთ, III სერიაში ავადმყოფ ბავშვებზე მიღებულ შედეგს ექსპერიმენტული მასალის ამ კუთხით განხილვის დროსაც დისონანსი შეაქვს მონაცემთა მთლიან სურათში.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ III სერიაში ნორმისა და პათოლოგიის შედეგები ყველაზე მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს, აღნიშნული შედეგის სხვა შედეგებთან და ექსპერიმენტის პირობებთან მიმართებაში განხილვა გვიჩვენებს, რომ ექსპერიმენტის სწორედ ამ სერიაში ნორმისა და პათოლოგიის შედეგთა ფორმალური მსგავსების უკან ამ შედეგების მექანიზმთა სხვადასხვაობა უნდა იდგეს. მართლაც III სერიაში ცხოველთა კლასზე განწყობის ფიქსაციის დროს თავს იყრის ექსპერიმენტული სიტუაციის კომპონენტთა ისეთი კომპლექტი — საფიქსაციო პირობათა დინამიურობა, საფიქსაციო მასალის ემოციურობა, საფიქსაციო მიმართების აბსტრაქტულობა — რომელთაგან თითოეული, ნორმისა და პათოლოგიის სხვა მონაცემების მიხედვით, უნდა უფრო აფერხებდეს ობიექტურ მიმართებათა განწყობაში ასახვას ვიდრე ხელს უწყობდეს მას. ამიტომ საფიქრებელია, რომ შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებთან საფიქსაციო პირობების დინამიურობის გამო ობიექტურ მიმართებათა ასახვის ისედაც გართულებული პროცესი (არაემოციური მასალის მიწოდებისას ავადმყოფ ბავშვთა მხოლოდ 52,1% ახერხებს აბსტრაქტული მიმართების განწყობისეულ ასახვას) ძლიერი ემოციური სტიმულების მიწოდებისას საერთოდ აღიკვეთება და მის ნაცვლად კონკრეტული საფიქსაციო სტიმულების მიმართ აღძრული სუბიექტური დამოკიდებულების ფიქსაცია ხდება.

ამ დებულების ექსპერიმენტული შემოწმებისათვის ჩავატარეთ კიდევ ერთი დამატებითი სერია. ექსპერიმენტის ამ სერიაში შევეცადეთ ცდისპირთათვის მისაწოდებელი საფიქსაციო გამოსახულებები შეგვერჩია არა მრატო მათ შორის არსებული ობიექტური მიმართებების მიხედვით, არამედ ემოციური ტონის

მსგავსების მიხედვითაც, რათა შესაძლებელი გაგვეხადა მიწოდებული მასალის ალტერნატიული სტრუქტურირება ან საერთო ობიექტური მიმართებების, ან სტიმულებისადმი ემოციური დამოკიდებულების მიხედვით. კრიტიკული ექსპოზიციისათვის შევეცადეთ შეგვეჩია იგივე ობიექტური მახასიათებლის მქონე, მაგრამ ემოციურად ნეიტრალური გამოსახულება. ასეთ პირობებში კრიტიკული გამოსახულების ადექვატური აღქმა საფიქსაციო სტიმულთა ობიექტური პარამეტრის მიხედვით სტრუქტურირების, ემოციურად დატვირთული ილუზორული ხატის გაჩენა კი განწყობაში სტიმულთა სუბიექტური ღირებულებების გაფიქსირების მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვისარგებლეთ შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებზე არსებული მონაცემებით, რომელთა თანახმად მჭრელი წვეტიანი საგნები და მათი გამოსახულებები ასეთი ბავშვების ჟუმეტესობაში უარყოფით ემოციებს იწვევს. წინასწარი გამოკვლევებით აღნიშნული გამოსახულებები გარკვეული ემოციური ვალენტობის მატარებელი აღმოჩნდნენ ჯანმრთელი ცდისპირებისათვისაც. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენს ექსპერიმენტში საფიქსაციო სტიმულებად სწორედ ასეთი საგნების გამოსახულებები გამოვიყენეთ, კრიტიკულ ექსპოზიციაში კი ცდისპირებს ვაწვდიდით ბარათს ღილის გამოსახულებით, რომელიც ყვითელ ფონზე დახატულ, შუაში ორი ნახვრეტის მქონე მომცრო, მუქ დისკოს წარმოადგენდა. კრიტიკული ობიექტის შერჩევისას ვხელმძღვანელობდით, ერთის მხრივ, იმით, რომ შერჩეული ობიექტი გამორჩეული ემოციური ვალენტობის არმქონე, მაგრამ იმავე უსულო საგანთა კლასის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო როგორც საფიქსაციო ობიექტები, მეორეს მხრივ, მისი გრაფიკული გამოსახულების ლაკონიურობას ხელი უნდა შეეწყო საფიქსაციო სტიმულების წარდგენის საფუძველზე გარკვეული სუბიექტური ფიქსირების შემთხვევაში ამ დამოკიდებულების გამოძღვანებისათვის.

ცდები ჩატარდა 23 დაავადებულ და 100 ჯანმრთელ ბავშვზე.

ექსპერიმენტმა უჩვენა, რომ 82 ჯანმრთელი ბავშვი ე. ი. ც. 3-თა 82% კრიტიკულ ობიექტს ადექვატურად აღიქვამს როგორც ღილს, ე. ი. საფიქსაციო სტიმულების სტრუქტურირებას ობიექტური მახასიათებლების მიხედვით ახდენს. 18 ბავშვის აღქმა ილუზორულია (ბალიში ქინძის თავებით, ბურთი წერტილებით, თეფში, ხის გადანაჭერი). ავადმყოფ ბავშვებს შორის კრიტიკული ობიექტის ადექვატურ აღქმას ვხვდებით 23-დან მხოლოდ 11 შემთხვევაში, რაც ე. ი. 3-თა მთლიანი რაოდენობის 48% შეადგენს. 52% კრიტიკულ ობიექტს ილუზორულად აღიქვამს. საგულისხმოა ილუზიათა შინაარსობრივი მხარე. აქ ვხვდებით ემოციურად დატვირთულ გამონათქვამებს, „შავი მხეცი“, „მხეცის თავი“, „შხის დაბნელება“, „დამახინჯებული ადამიანი“, „მკვლელი“ და სხვა.

აღნიშნული ილუზიებიდან უმეტესობა არ განეკუთვნება უსულო საგანთა კლასს, რომელთა გამოსახულებები წინ უსწრებდა კრიტიკული ობიექტის აღქმას და რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ განწყობის სწორედ ამ კატეგორიაზე დასაფიქსირებლად.

კრიტიკული ობიექტის ილუზორულ აღქმათა განაწილება ნორმასა და პათოლოგიაში, აგრეთვე ილუზიათა შინაარსობრივ მახასიათებელთა გვარობა ნათელი დადასტურებაა წინა სერიების მონაცემთა საფუძველზე აღძრული ვარაუდისა — შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვთა ფიქსირებულ განწყობაში ემოციურად დატვირთული და ამავე დროს ინტენსიურად ცვალებადი საფიქსაციო სტიმულების მიწოდების დროს აღიბეჭდება არა მათთვის საერთო, აბსტ-

რაქციული ობიექტური მახასიათებლები, არამედ ცალკეული კონკრეტული სტიმულების მიმართ აღძრული სუბიექტური დამოკიდებულება.

ამგვარად, ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა შემდეგი ექსპერიმენტული ფაქტები:

1. სიტუაციის თვალსაჩინო კომპონენტთა დინამიური ცვლა განწყობის ფიქსაციის პროცესში, შიზოფრენიით დაავადებულ ბავშვებთან, განსხვავებით ნორმისაგან, განწყობის ეფექტის მკვეთრ შემცირებას იწვევს.

2. საფიქსაციო მიმართების აბსტრაქტულობა-კონკრეტულობა ფიქსაციის სხვა პირობათა ერთგვარობის დროს მნიშვნელოვნად არ ცვლის განწყობის ეფექტის გამოვლენის სიხშირეს მოცემული ასაკის არც ჯანმრთელ და არც ავადმყოფ ბავშვებთან.

3. ემოციური საფიქსაციო მასალის არსებობა რამდენადმე ამცირებს განწყობის ეფექტის სიხშირეს ჯანმრთელ ბავშვებთან — შიზოფრენიით დაავადებულებთან ასეთი სტიმულების არსებობა მკვეთრად ზრდის კრიტიკული ობიექტის ილუზორულად აღქმის სიხშირეს თუ საფიქსაციო მიმართება აბსტრაქტულია და უმნიშვნელოდ ცვლის მას, როცა საფიქსაციო მიმართება კონკრეტულ თვალსაჩინო ხასიათს ატარებს.

4. კრიტიკული ობიექტის ილუზორული აღქმა, ემოციური საფიქსაციო მასალის მიწოდებისას, როცა საფიქსაციო მიმართება აბსტრაქტული ხასიათისაა, შედეგია საფიქსაციო სტიმულების არა ობიექტური მიმართებების ასახვისა და შემდგომი გაფიქსირებისა, არამედ კონკრეტული სტიმულების მიმართ აღძრული სუბიექტური დამოკიდებულების გენერალიზაციისა.

ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად 1) შიზოფრენიით დაავადებული ბავშვები ჯანმრთელ თანატოლებთან შედარებით ობიექტურ მიმართებათა განწყობაში ასახვის გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან. ეს თავისებურება ძირითადად აღნიშნული პროცესის გართულებაში გამოიხატება, რაც ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული, უფრო მეტიც, ურთიერთსაპირისპირო ექსპერიმენტულ მონაცემებში შეიძლება გამოიხატოს; 2) მიმართებათა განწყობისეული ასახვის შესაძლებლობას განსაზღვრავს არა იმდენად თვით ამ მიმართების სირთულე-სიადვილე, არამედ იმ პირობათა თავისებურებები, რომლებშიც ხდება აღნიშნული მიმართებების ასახვა. ეს დებულება სამართლიანია როგორც ჯანმრთელი, ისე შიზოფრენიით დაავადებული ბავშვისათვის, მაგრამ ავადმყოფ ბავშვებთან საფიქსაციო პირობების გავლენა ობიექტური მიმართების განწყობისეულ ასახვაზე გაცილებით უფრო მკვეთრად არის გამოხატული ვიდრე მათ ჯანმრთელ თანატოლებთან.

ჩვენს ექსპერიმენტში გამოიყო სხვადასხვა, ობიექტურ მიმართებათა განწყობაში ასახვის პროცესზე აქტიურად ზემოქმედი ორი პირობა: საფიქსაციო მასალის დინამიურობა და საფიქსაციო მასალის ემოციურობა. მაგრამ ამ ორ სხვადასხვა ფაქტორს აქვს ერთი საერთო ნიშანი, კერძოდ ის, რომ როგორც ერთი ისე მეორე, ექსპერიმენტში მოცემული ინსტრუქციის მიხედვით, საფიქსაციო სიტუაციის ირელევანტურ კომპონენტებს წარმოადგენს, მართლაც, სიტუაციათა რელევანტურ, სპეციალურად ინსტრუქტირებულ კომპონენტებს წარმოადგენს ერთ შემთხვევაში დიდ-პატარობის, მეორე შემთხვევაში კი ცხოველებისა და საგნობრიობის ზოგადი კატეგორია და არც ერთი მათგანი არ არის არც დინამიური და არც ემოციური.

ამდენად ჩვენი გამოკვლევის შედეგები აყენებენ საკითხს ფიქსირებული განწყობის ფორმირებაში ირელევანტურ სტიმულთა როლის შესახებ. ეს საკითხი მნიშვნელოვანია არა მარტო განწყობის პათოფსიქოლოგიური, არამედ მისი ზოგადფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც.

აისახება თუ არა ირელევანტური სტიმულები ინდივიდის განწყობაში, ხდება თუ არა რამენაირი სელექცია თვით ამ ირელევანტურ სტიმულებს შორის და თუ ხდება, აქვთ თუ არა ირელევანტურ სტიმულთა თავისებურებებს რაიმე მნიშვნელობა ამ პროცესისათვის? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ან თუნდაც ამ მიმართულებით ჩვენი ექსპერიმენტული მასალის განზოგადებას აქ არ შევუდგებით, მაგრამ თვით ეს ფაქტი რომ პათოლოგიურ მასალაზე და პათოფსიქოლოგიური პრობლემატიკის შესაბამისად ჩატარებულ კვლევას შეუძლია დააყენოს და მნიშვნელოვან წილად პასუხიც გაცეს ამგვარ საკითხებს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პათოფსიქოლოგიური კვლევის მნიშვნელობას არა მარტო ამა თუ იმ ფსიქიკური დაავადების ბუნების შესწავლისათვის, არამედ ზოგადფსიქოლოგიური კანონზომიერების დაზუსტებისთვისაც.

К. Д. МАКАШВИЛИ

ОСОБЕННОСТИ ЭФФЕКТА УСТАНОВКИ У ЗДОРОВЫХ И БОЛЬНЫХ ШИЗОФРЕНИЕЙ ДЕТЕЙ

Резюме

В результате экспериментально-психологических исследований установлены новые закономерности выявления эффекта установки у детей, больных шизофренией, и у их здоровых сверстников.

Экспериментальные методики подобраны с целью изучения роли различных характеристик фиксационной ситуации в процессе установочного отображения объективных закономерностей последней.

Исследования показали, что возможность отображения объективных закономерностей в установке больных и здоровых детей в большинстве случаев различна. Для установки страдающих шизофренией специфична затрудненность упомянутого процесса, которая на уровне экспериментальных данных может выражаться не только в разных, но и в противоположных показателях. По итогам опытов условия фиксации установки (эмоциональная насыщенность, динамичность фиксационного материала) оказывают большее влияние на эффект установки, чем сложность или легкость самой отображаемой закономерности, и положение это действительно как в отношении здоровых, так и в отношении больных шизофренией детей, однако последние подвержены влиянию фиксационных условий значительно сильнее, чем испытуемые контрольной группы.

ლიტერატურა

1. ბჟალავა ი. შიზოფრენიით დაავადებულთა ფიქსირებული განწყობა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის VII სამეცნიერო სესია, 1948.
2. რუხაძე ნ. შიშის სინდრომის ფსიქოლოგიისათვის ბავშვთა და მოზარდთა შიზოფრენიის დროს, კრებ. ფსიქოპათოლოგიის საკითხები, თბილისი, 1976.
3. საყვარელიძე მ. შიზოფრენიული აზროვნების პათოფსიქოლოგიისათვის, თბილისი, 1974.
4. უზნაძე დ. განწყობის ძირითადი დებულებები, ტ. VI, თბილისი, 1977.
5. ხაჭაპურიძე ბ. ბავშვის განწყობის ზოგიერთი თავისებურება. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1941,
6. Баркалаи А. Л. Генерализация установки в случаях шизофрении, сб. Медицинская психология, Тбилиси, 1983.
7. Мелешко Т. К. Изменение влияния прошлого опыта на мыслительную деятельность больных шизофренией. Материалы симпозиума понятие установки и отношения в медицинской психологии, Тбилиси, 1968.
8. Местишвили М. Г. В сб. Психологические исследования в психиатрической клинике, Ленинград, 1970.
9. Цинцадзе К. Д. Особенности фиксации установки в отношении к определенному классу явлений у больных шизофренией, сб. Медицинская психология, Тбилиси, 1983.
10. De Meyer M., Alpern G., Barton S., De Meyer W. Imitation in autistic, early schizophrenic and non psychotic subnormal children, J. Autism child schizophrenia, 2 (3) 264, 1972.
11. De Meyer M., Churchill D., Pontius W., Cilkey K. Comparison of five diagnostic systems for childhood schizophrenia and infantile autism, J. Autism Child Schizophrenia, 1(2) 175, 1971.
12. Goldfarb W. Childhood schizophrenia, Cambridge, 1961.
13. Reichler R., Schopler E. Observation on the nature of human relatedness J. Autism Child schizophrenia 1(3) 283, 1971.
14. Robert T. Miller, Childhood Schizophrenia: a Review of Selected Literature, J. Ment Health, vol 3, № 1, 1974.
15. Rutter M. Language Cognition and Autism In: Congenial and Acquired, Cognitive Disorders, N. I., 1979.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

რუსულან მირცხულავა

ემოციოგენურ სიტუაციაში ფიქსირებული განწყობის საკვიფიკის საკითხისათვის

საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში დიდი მასალაა დაგროვილი ცდის ამოცანის შესრულებაზე ცდისპირის შინაგან ფიზიოლოგიურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობათა შემოქმედების შესახებ. ავტორთა განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს ცდის ამოცანის შესრულებაზე სტრესულ და შფოთვით მდგომარეობათა შემოქმედება წარმოადგენს.

ამ მიმართულებით იკვლევა განწყობის ფსიქოლოგიის სკოლაშიც წარმოებს. ასე მაგალითად, ნაკვლევი ცდისპირის ზოგიერთი ფიზიოლოგიური მდგომარეობის შემოქმედება ფიქსირებული განწყობის შემუშავებასა და ეფექტზე.

ბ. ხაჭაპურიძემ [8] შეისწავლა ცდისპირის დადლილობის შემოქმედება განწყობის ფიქსირების პროცესზე და ექსპერიმენტულად დაასაბუთა, რომ ცდისპირის დადლილობა ხელს უშლის განწყობის ფიქსირებას და ასუსტებს განწყობის ეფექტს. გ. კეჩხუაშვილისა და ნაი კიმ კიონგის ექსპერიმენტებშიც, ასევე, გამოვლინდა ჰაფტურ, პერცეპტულ, მოტორულ არეებში განწყობის ეფექტის შესუსტება ცდისპირის დადლილობის დროს [6, გვ. 287].

ბ. ხაჭაპურიძეს ეკუთვნის ცდისპირის მიერ მიღებული ალკოჰოლის მოქმედების შესწავლა განწყობის ფიქსირებაზე [8]. როგორც მისმა ცდებმა აჩვენა, საფიქსაციო ცდებამდე მიღებული ალკოჰოლი უარყოფითად მოქმედებს განწყობის ფიქსაციაზე, საპირისპირო შემოქმედებას აქვს ადგილი, როდესაც ცდისპირი ალკოჰოლს საფიქსაციო ცდების შემდეგ იღებს.

ი. ბუალავამ ექსპერიმენტულად იკვლია ფარმაკოლოგიურ საშუალებათა შემოქმედება განწყობის ფიქსაციის პროცესზე [1, გვ. 121—124]. მისი ექსპერიმენტების მიხედვით, ბრომი ფიქსირებული განწყობის ინერტობას იწვევს ანუ ბრომის შეყვანის შემდეგ ფიქსირებული განწყობა სტატიკურობისადმი იჩენს ტენდენციას.

განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში არის მონაცემები განწყობის ფიქსირების პროცესზე ცდისპირის ზოგიერთ ფსიქიკურ მდგომარეობათა შემოქმედების შესახებაც.

ა. ალხაზიშვილმა იკვლია სტრესული სიტუაციის შემოქმედება ფიქსირებული განწყობის ეფექტზე და დაასკვნა, რომ სტრესული აგენტი განწყობის სტატიკურობას იწვევს [3].

ე. გერსამიამ, რომელიც იკვლევდა ოლიგოფრენი ბავშვების ფიქსირებული განწყობის თავისებურებებს, დაადგინა, რომ ოლიგოფრენი ბავშვების წახალისება დაჯილდოებით ზრდის განწყობის ეფექტს [4]. ავტორი ცდის საფუძველზე ასკვნის, რომ ოლიგოფრენი ბავშვების მიერ ნორმალური განწყობისეული ილუზიის უქონლობის საფუძველია არა ინტელექტის დეფექტი (ამ დებულებით გერსამია უპირისპირდება უ. პიაჟეს პოზიციას განწყობის რაობის შესახებ),

არამედ ცდისპირთა სპეციფიკური დამოკიდებულება შემეცნებითი (ცდის) ამოცანისადმი და რომ დაჯილდოებით წახალისების შემთხვევაში განწყობის ეფექტის ზრდა ცდისპირის ცდის ამოცანისადმი დამოკიდებულების შედეგია. როგორც ვხედავთ, ე. გერსამიუს ცდები მოწმობენ განწყობის ეფექტის მატებას ცდისპირზე დადებითი ნიშნის მქონე ემოციოგენური აგენტის შემოქმედების შემთხვევაში.

როგორც განხილულ ექსპერიმენტულ გამოკვლევათა შედეგები უჩვენებენ, ცდისპირის ამა თუ იმ სახის ფიზიოლოგიურმა თუ ფსიქიკურმა მდგომარეობამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ფიქსირებული განწყობის ეფექტზე; ან შეასუსტოს მისი ეფექტი, ან პირიქით — გაზარდოს.

ჩვენი ექსპერიმენტული კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, განსხვავებულად ზემოქმედებენ თუ არა ექსპერიმენტში მოდელირებული საპირისპირო ნიშნის მქონე ემოციები ფიქსირებული განწყობის ეფექტზე.

ექსპერიმენტში ემოციათა მოდელირებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცდისპირზე ემოციოგენური აგენტით ზემოქმედება ანუ ცდისპირის მოთავსება ემოციოგენურ სიტუაციაში.

ლაბორატორიულ პირობებში ემოციოგენურ სიტუაციათა კონსტრუირების რამდენიმე მეთოდი არსებობს.

Mcgrath ერთმანეთისაგან ადიფერენცირებს ექსპერიმენტულ პირობებში ცდისპირზე ემოციოგენური ზემოქმედების ორ ძირითად ტიპს [9]:

1. ცდისპირზე ემოციოგენური ზემოქმედება ფიზიკურ სტიმულთა მეშვეობით, რაც ე. წ. „ფიზიკურ სტრესს“ განაპირობებს. ამგვარი სტიმულებია: ელექტრო შოკი, გარკვეული მედიკამენტები, ძილის, სენსომოტორული დეპრივაცია და ა. შ.

2. ცდისპირზე ემოციოგენური ზემოქმედება გარემოს ფსიქოლოგიური და სოციალ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების მანიპულირებით, რაზედაც ცდისპირი ე. წ. „ფსიქოლოგიური სტრესით“ რეაგირებს. ამგვარი სტრესორებია: ცდისპირის მოთავსება შეფასების ხიფათის სიტუაციაში (evaluation threat), ცდისპირის მიერ მარცხის განცდა შესრულებულ ამოცანაში და სხვა.

3. ცდისპირის ემოციური რეაქციის გამოწვევა ცდისპირის მიერ შესასრულებელი ამოცანის თავისებურებათა საფუძველზე. მაგალითად, ცდისპირის მიერ რისკთან დაკავშირებული დავალების შესრულება, შესასრულებელი ამოცანის სირთულე, ცდისპირის მიერ განმეორებადი და მომავირებელი მოქმედებების განმეორება იწვევს უარყოფით ემოციურ რეაქციას ცდისპირში.

ი. სარასონი იხილავს ემოციოგენურ სიტუაციის მოდელირების შემდეგ მეთოდებს [11]:

1. ცდის ხელმძღვანელის მიერ მიღწევაზე ორიენტირებული ინსტრუქციის გამოყენება. ასეთი ინსტრუქციის მაგალითია: „ამოცანა, რომლის შესრულებაც გევალებათ, თქვენი აზროვნების დონის გასაზომი საშუალებაა“.

2. ცდისპირის შეზღუდვა დროით, დავალებული ამოცანის შესრულებისას.

3. ცდისპირის მიერ შესრულებული ცდისეული ამოცანის შეფასება. ამ მეთოდისას ცდისპირს ეძლევა ორი ამოცანა (აქედან კვლევის ინტერესს ხშირად მეორე ამოცანის შესრულების ხარისხი წარმოადგენს). პირველი ამოცანის შესრულების შემდეგ, ფასდება მისი შესრულების ხარისხი. შეფასება შეიძლება იყოს რეალური ანუ შეფასებამდღეს ცდისპირის შესრულების ხარისხს, ანდა შეგნებულად ფიქტიური. ემოციოგენური სიტუაციის კონსტრუირების ამ

მეთოდის გამოყენებისას ფსიქოლოგები იკვლევენ მეორე ამოცანის შესრულებაზე პირველი ამოცანის შესრულების რეალური ან ფიქტიური შეფასების შემოქმედებას.

4. ექსპერიმენტებში ცდისპირზე ემოციური შემოქმედების მიზნით მიმართავენ თავად ცდის მასალის შესაბამის კონსტრუირებასაც. ასე მაგალითად, რთული ცდის მასალა (რთული აზროვნების ტესტი, რთულად დასასწავლი ტექსტი) შესაბამის ემოციურ რეაგირებას იწვევს ცდისპირში.

5. ემოციოგენური სიტუაციის მოდელირებისას გამოიყენება სოციალური ცვლადებიც, როგორცაა ცდის ხელმძღვანელის დამოკიდებულება ცდისპირისადმი, ცდის მიმდინარეობა აუდიტორიის პირობებში, ლაბორატორიის პერსონალის მიერ გათამაშებული მარცხის დაკვირვება ცდისპირის მიერ ამოცანის შესრულებამდე და სხვა.

ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში არსებობს დასახელებულ მეთოდთა გამოყენებისა და მოდიფიკაციის გარკვეული ტრადიცია.

ა. ალხაზიშვილმა, რომელიც იკვლევდა სიტუაციის შეცვლის შემოქმედებას განწყობის ტიპის (სტატიკურობა, დინამიკურობა) ვარიაბილობაზე, ექსპერიმენტულად დაასაბუთა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სიტუაციის შეცვლამ შეიძლება განწყობის ტიპის ცვლილება გამოიწვიოს. საგანწყობო ექსპერიმენტი მიმდინარეობდა ორ სიტუაციაში—ნეიტრალურსა და სტრესულში, რაც ცდისპირის განსხვავებულ შინაგან რეაგირებას იწვევდა ამა თუ იმ სახის ემოციური მდგომარეობის სახით.

ჩვენი აზრით, ასეთივე ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს ბ. ხაჭაპურიძის მიერ ჩატარებული ფიქსირებული განწყობის აქტივირებისათვის სიტუაციის მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებული ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგებს [8]. ბ. ხაჭაპურიძის ცდებმა აჩვენა, რომ კრიტიკული ექსპოზიციებისას საფიქსაციო ექსპოზიციების დროს არსებული გარემო პირობების შეცვლა უარყოფითად შემოქმედებს დაფიქსირებული განწყობის გამოვლენაზე, ამცირებს კონტრასტულ ილუზიათა რაოდენობას. ჩვენი ვარაუდის მიხედვით, ამ ვითარების მიზეზი შეიძლება ცდის განსხვავებული სიტუაციებისადმი ცდისპირის განსხვავებული ემოციური ელფერის დამოკიდებულებაც იყოს.

ა. ალხაზიშვილი სტრესული სიტუაციის მოდელირებისას სარგებლობდა რამდენიმე მეთოდით. იყენებდა ე. წ. მიღწევაზე ორიენტირებულ ინსტრუქციას, აფასებდა პირველი ამოცანის შესრულებას (იხ. სარასონის კლასიფიკაცია).

ჩვენს ექსპერიმენტებში, ემოციოგენური სიტუაციის კონსტრუირებისას შევეცადეთ გამოგვეყენებინა ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევათა გამოცდილება.

სტატიაში განვიხილავთ ექსპერიმენტს, რომელიც ფსიქოლოგიური (და არა ფიზიკური) სტრესის პირობებში მიმდინარეობდა, ანუ რომელშიც ემოციოგენურ სტიმულს სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო წარმოადგენდა.

ა. ალხაზიშვილის განხილული ექსპერიმენტისაგან განსხვავებით, რომელიც იკვლევდა ფიქსირებული განწყობის ეფექტზე სტრესული მდგომარეობის შემოქმედებას, ჩვენი ცდა გულისხმობდა განწყობის ფიქსაციის პროცესზე განსხვავებული ნიშნის მქონე (დადებითი და უარყოფითი) ემოციების შემოქმედების შესწავლას. უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაშიც კვლევა ძირითადად მიმართულია ცდის ამოცანის შესრულებაზე მხოლოდ უარ-

ყოფითი ნიშნის მქონე ემოციათა და კერძოდ, სტრესულ მდგომარეობათა შემოქმედების შესწავლისაკენ. აღნიშნული ორიენტაცია, ჩვენი აზრით, არ იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ საზოგადოდ ემოციათა (როგორც დადებით, ასევე უარყოფით) ცდის ამოცანის შესრულებაზე შემოქმედების კანონზომიერებათა შესახებ.

როგორც ა. ალხაზიშვილის, ასევე ჩვენს ცდაშიც ემოციოგენური სიტუაციის კონსტრუირებისას კომპლექსურად იქნა გამოყენებული სარასონის მიერ ფორმულირებული რამდენიმე მეთოდი. კერძოდ, ცდისპირის მიეცა მიღწევაზე ორიენტირებული ინსტრუქცია, ცდისპირი შეიზღუდა დროით, შეფასდა ცდისპირის მიერ შესრულებული პირველი ამოცანა (ცდა ორეტაპიანი იყო), ცდისპირველ ეტაპზე ცდისპირის მიეცა თავისთავად რთული ამოცანა, ცდისპირის მიმართ ცდის ხელმძღვანელის დამოკიდებულება ვარირებდა იმის მიხედვით, თუ რა ნიშნის ემოციური მდგომარეობის მოდელირება ხდებოდა მასში, ასევე ცდისპირში გამოსაწვევი ემოციური მდგომარეობის ნიშნის შესაბამისად ფასდებოდა სხვა ცდისპირთა შედეგები.

ც დ ის ა ლ წ ე რ ა

ცდისპირები: პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. ცდაში მონაწილეობა მიიღო 120 ცდისპირმა, რომელნიც განაწილებულნი იყვნენ სამ ჯგუფად (თითოეულ ჯგუფში 40 ცდისპირი).

I ჯგუფს (ძირითადი ჯგუფი) პირობითად ეწოდა უარყოფითი სტიმულირების ჯგუფი შემოქმედების ნიშნის შესაბამისად.

II ჯგუფს (ძირითადი ჯგუფი) — დადებითი სტიმულირების ჯგუფი ასევე შემოქმედების ნიშნის შესაბამისად.

III ჯგუფი — საკონტროლო მონაცემებისათვის იყო განსაზღვრული.

ც დ ის მ ა ს ა ლ ა: აზროვნების მიმდინარეობის შემსწავლელი ანაგრაფული ამოცანა (Newell 1967) [5]; საგანწყობო ბურთები 80 მმ და 40 მმ; პულსოტაქომეტრი მოდელი 084; ჩ. შპილბეგერის პიროვნული და რეაქტიული შფოთვის სკალა (STAI) [7; 10].

ც დ ის მ ი მ დ ი ნ ა რ ე ბ ა. ცდის ზოგადი სტრუქტურა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

| ძირითადი (ექსპერიმენტული) ჯგუფი | | | | | | საკონტროლო ჯგუფი |
|---------------------------------|----------------|---------------------|-----------------------------|----------------|---------------------|------------------|
| უარყოფითი სტიმულირების ჯგუფი | | | დადებითი სტიმულირების ჯგუფი | | | საგანწყობო ცდა |
| ემოციოგენური სიტუაცია | | ნეიტრალური სიტუაცია | ემოციოგენური სიტუაცია | | ნეიტრალური სიტუაცია | |
| ცდის I ეტაპი | ცდის II ეტაპი | | ცდის I ეტაპი | ცდის II ეტაპი | | |
| აზროვნების ტესტი | საგანწყობო ცდა | საგანწყობო ცდა | აზროვნების ტესტი | საგანწყობო ცდა | საგანწყობო ცდა | |
| | | | | | | |

თითოეულ ჯგუფში იზომებოდა პულსაციის სიხშირე და რეაქტიული შფოთვის ღონე, როგორც ემოციური მდგომარეობის ინდიკაციის საშუალებანი.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიაში ემოციის ინდიკატორად ყველაზე ხშირად დასახელებული ორი მეთოდი გამოიყენება. ფიზიოლოგიური პროცესების აღნუსხვით ავტორები მსჯელობენ ემოციის ფიზიოლოგიის მესახებ, ხოლო ცდისპირის ინტროსპექციის საფუძველზე შევსებული სკალის საშუალებით — ემოციის ფენომენოლოგიის შესახებ. ხშირად ამ ორი მეთოდით სტრესის ორ განსხვავებულ, კოგნიტურ და ემოციურ კომპონენტებს ზომავენ.

განვიხილოთ ცდის მიმდინარეობა უფრო დეტალურად. ორივე ძირითად ჯგუფში ცდის პირველი ეტაპი (newell აზროვნების ტესტი) მიმდინარეობდა კოლექტიურად.

ძირითადი ჯგუფების ემოციოგენური სტიმულირების ცდის I ეტაპის ინსტრუქცია: „თქვენ მონაწილეობას იღებთ ფსიქოლოგიურ ცდაში, რომელსაც ატარებს ფსიქოლოგიის ინსტიტუტი პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატის დაკვეთით. ცდა იკვლევს თითოეული თქვენთაგანის აზროვნების დონეს. ცდის შედეგები წარედგინება ინსტიტუტის რექტორატს და გათვალისწინებული იქნება თქვენი განაწილებისას ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ“. ცდისპირებს ამოცანის ამოხსნისათვის ეძლევათ 10 წუთი.

3—4 დღის შემდეგ ცდის ხელმძღვანელი შედიოდა ძირითად ჯგუფებში და მიმართავდა ცდისპირებს კოლექტიურად: „თქვენი აზროვნების შემსწავლელი ცდის შედეგები დამუშავდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფის მიერ. თქვენი აზროვნების დონეს ვადგენდით არა მხოლოდ ამოცანის ამოხსნის მიხედვით, არამედ ამორჩეული გზების, თქვენი წერილობითი მსჯელობის მიხედვითაც. მიღებული შედეგები გავაცანით რექტორატის წარმომადგენლებს. შედეგები არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა. სტუდენტთა დიდმა ჯგუფმა ვერ ამოხსნა მარტივი ფსიქოლოგიური ამოცანა და გამოავლინა ინტელექტის ნორმაზე დაბალი დონე. თქვენს შორის არიან ისეთებიც, რომელთაც, პირიქით, აჩვენეს ლოგიკური აზროვნების მაღალი დონე. დღევანდელი ცდით, რომელიც ასევე თქვენს აზროვნებას იკვლევს, დავაზუსტებთ წინა ცდის შედეგებს. ჩატარებული ცდის შედეგებს მოგახსენებთ ინდივიდუალურად დღევანდელი ცდის ჩატარებამდე.

ცდის II ეტაპის მიმდინარეობა ასეთი იყო: (ცდა ტარდებოდა ინდივიდუალურად) ცდისპირს მაჯაზე უმაგრდებოდა პულსოტაქომეტრის სამაჯური, ხდებოდა პულსაციის საწყისი მაჩვენებლის აღნუსხვა. ამის შემდეგ ცდისპირს ვეკითხებოდით გვარს, ვეძებდით სიაში და ვაცნობდით მას I ეტაპის ცდის შედეგს [3, გვ. 5—12]. შეფასება ფექტიური ხასიათის იყო, ან დადებითი ან უარყოფითი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პულსაციის მაჩვენებლის აღნუსხვას ცდისპირზე ემოციოგენური ზემოქმედების (შეფასების) დროს. ამის შემდეგ ცდისპირს ვაცნობდით საგანწყობო ცდის ინსტრუქციას, რომელსაც მოდიფიცირებული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან საგანწყობო ცდა ცდისპირს ეძლეოდა როგორც მისი აზროვნების დონის განმსაზღვრელი საშუალება. „დღევანდელი ცდა ისევე როგორც პირველი ცდა, თქვენი აზროვნების დონეს იკვლევს...“

საგანწყობო ცდაში ცდისპირს ეძლეოდა 3 ექსპოზიცია ასიმეტრიის დასადგენად, გადაფასების მხარეს საფიქსაციო ცდებში ვაწოდებდით დიდ ობიექტს 15-ჯერ. კრიტიკული ცდა შეიცავდა 30 ექსპოზიციას. ზედიზედ 5-ჯერ აღქვატური აღქმის შემთხვევაში ცდას ვწყვეტდით.

მთელი ცდის განმავლობაში იზომებოდა პულსაციის სინშირე.

საგანწყობო ცდის დასრულების შემდეგ ცდისპირს ეძლეოდა შპილბერგერის სკალის რეაქტიული შფოთვის ქვესკალა.

1,5 თვის შემდეგ ძირითადი ჯგუფის ცდისპირებს ჩაუტარდათ საგანწყობო ცდა ნეიტრალურ მდგომარეობაში პულსაციისა და შფოთვის მაჩვენებლების აღნუსხვით.


საგანწყობო ცდა დასახელებული მაჩვენებლების (პულსაცია და შფოთვის დონე) დაფიქსირებით ჩაუტარდათ საკონტროლო ჯგუფის ცდისპირებსაც.


განწყობის ეფექტზე ვმსჯელობდით კონტრასტულ ილუზიათა საერთო რაოდენობითა და განწყობის სიმტკიცით.

ცდის შედეგები:

ცდის შედეგების მიხედვით, განწყობის ეფექტი (როგორც კონტრასტულ ილუზიათა საერთო რაოდენობის, ასევე განწყობის სიმტკიცის მხრივ) ყველაზე დიდია საკონტროლო ჯგუფში, ყველაზე მცირე — უარყოფითი სტიმულაციის ჯგუფში, საშუალო ადგილს იკავებს ის შემთხვევა, როდესაც ცდისპირებზე დადებითი სტიმულირებით ვზემოქმედებთ. იხ. გრაფიკი № 1 და გრაფიკი № 2.

გრაფიკი №1.






განხილული მონაცემების შედარებამ ძირითად ჯგუფებზე ნეიტრალურ სიტუაციაში ჩატარებული ცდების შედეგებთან გვიჩვენა, რომ ემოციოგენურ სიტუაციასთან შედარებით ნეიტრალურ სიტუაციაში იზრდება როგორც კონტრასტულ ილუზიათა საერთო ოდენობა, ასევე განწყობის სიმტკიცე. იხ. გრაფიკები № 3 და № 4 (სხვაობები სტატისტიკურად სანდოა)


ამასთან, ნეიტრალურ მდგომარეობაში დადებითი სტიმულაციის ჯგუფის ცდისპირებმა აჩვენეს განწყობის ეფექტის ზრდა ნეიტრალურ მდგომარეობაში უარყოფითი სტიმულაციის ჯგუფის მონაცემებთან შედარებით (სხვაობები არაა სტატისტიკურად სანდო).

ნეიტრალურ მდგომარეობაში ძირითადი (+ და — სტიმულაციის) ჯგუფების მონაცემების საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ ყველაზე დიდ მაჩვენებელს საკონტროლო ჯგუფის განწყობის ეფექტის მაჩვენებელი წარმოადგენს. დადებითი სტიმულაციის ჯგუფი ნეიტრალურ მდგომარეობაში უფრო უახლოვდება საკონტროლო ჯგუფის მონაცემებს, ვიდრე უარყოფითი სტიმულაციის ჯგუფი. ამასთან სხვაობა დადებითი სტიმულაციის (ნეიტრალურ მდგომარეობაში) ჯგუფის მონაცემებსა და საკონტროლო ჯგუფის მონაცემებს შორის არაა სტატისტიკურად სანდო ე. ი. დადებითი სტიმულაციის ჯგუფი ნეიტრალურ მდგომარეობაში და საკონტროლო ჯგუფი ავლენენ განწყობის დაახლოებით ერთნაირ ეფექტს. ხოლო ნეიტრალურ სიტუაციაში უარყოფითი სტიმულაციის ჯგუფის მონაცემები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის მონაცემებისაგან განწყობის სიმტკიცის (და არა კონტრა-

ჯონტრუსტად ილუციათა სეარტოო რაიტბეჩის სეშუალო კაოიოკეტირეალო (M)



განწყობის სიგეტირეალო სეშუალო პოტიმეტირეალო (M)



ციოგენური ზემოქმედების) ჯგუფებში პულსაციის სიხშირე მატულობს უშუალოდ სტიმულირების შემდეგ, პირველი ამოცანის შეფასებისას (სხვაობები სტატისტიკურად სანდოა). პულსაციის სიხშირე მატულობს დაახლოებით თანაბარი ოდენობით დადებითი და უარყოფითი სტიმულირების ჯგუფებში ცდისპირებზე ემოციოგენური ზემოქმედების (მათი მოქმედების შეფასების) საპასუხოდ. პულსაციის სიხშირე შემდგომაც მატულობს ცდის განმავლობაში, როდესაც ცდისპირი იწყებს საგანწყობო ობიექტების შეფასებას, მაგრამ სხვაობა დადებითი და უარყოფითი სტიმულირების შემდეგ პულსაციის სიხშირესა და ცდის მსვლელობისას პულსაციის სიხშირეს შორის არაა სტატისტიკურად სანდო. ცდის განმავლობაში პულსაციის სიხშირე მეტია უარყოფითი სტიმულირების ჯგუფში, დადებითი სტიმულირებს ჯგუფთან შედარებით, თუმცა აქაც განსხვავება სანდო არაა.


პულსაციის სიხშირის მიხედვით ძირითადი ჯგუფების შედეგების შედარებამ საკონტროლო ჯგუფის შედეგებთან აჩვენა, რომ ცდის დაწყებამდე და ცდის განმავლობაში ძირითადი (უარყოფითი და დადებითი ზემოქმედების) ჯგუფების პულსაციის სიხშირე სტატისტიკურად სანდოდ მეტია საკონტროლო ჯგუფის პულსაციის სიხშირეზე.

ძირითად (უარყოფითი და დადებითი ზემოქმედების) ჯგუფებს ნეიტრალურ სიტუაციაში აღმოაჩნდათ პულსაციის ერთნაირი სიხშირე, როგორც ცდის დაწყებამდე ასევე ცდის მსვლელობისას.

სამაგიეროდ, დადებითი და უარყოფითი სტიმულირების ჯგუფების პულსაციის სიხშირე ემოციოგენურ სიტუაციაში სტატისტიკურად სანდოდ აღემატება ამ ჯგუფების მონაცემებს ნეიტრალურ სიტუაციაში, როგორც ცდის დაწყებამდე, ასევე ცდის განმავლობაშიც.

რაც შეეხება საკონტროლო და ნეიტრალურ სიტუაციაში ემოციური ზემოქმედების ჯგუფების შედარებას, აქ სხვაობები არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო, როგორც პულსაციის საწყისი მაჩვენებლის, ასევე ცდის მსვლელობისას პულსაციის მაჩვენებლის მხრივ.

ბრავიპი № 6



უარყოფითი სტიმულაციის ჯგუფის რეაქტიული შფოთვის მაჩვენებელი აღემატება საკონტროლო და დადებითი სტიმულაციის ჯგუფების მონაცემებს, მაგრამ მათ შორის სხვაობები არაა სტატისტიკურად სანდო.

დადებითი და უარყოფითი სტიმულირების ჯგუფებმა ნეიტრალურ მდგომარეობაში გამოავლინეს რეაქტიული შფოთვის თანაბარი დონე.

დადებითი სტიმულაციის ჯგუფმა ემოციოგენურ სიტუაციაში აჩვენა რეაქტიული შფოთვის უფრო მაღალი დონე ნეიტრალურ სიტუაციასთან შედარებით, მაგრამ სხვაობა არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო.

უარყოფითი სტიმულაციის ჯგუფმა ემოციოგენურ სიტუაციაში გამოავლინა შფოთვის მაღალი დონე, რომელიც სტატისტიკურად სანდოდ აღემატება ამავე ჯგუფის მონაცემებს ნეიტრალურ სიტუაციაში.

საკონტროლო ჯგუფის რეაქტიული შფოთვის მაჩვენებელი სტატისტიკურად სანდოდ აღემატება ნეიტრალურ მდგომარეობაში უარყოფითი და დადებითი სტიმულირების ჯგუფების მაჩვენებლებს.

შ ე დ ე გ ე ბ ის ა ნ ა ლ ი ზ ი და და ს კ ვ ნ ე ბ ი

ჩვენი ექსპერიმენტი გულისხმობდა განწყობის ფიქსირებაზე ემოციურ მდგომარეობათა ზემოქმედების შესწავლას, ამიტომაც ზოგადი დასკვნების გამოტანამდე, ჩვენი აზრით, აუცილებელია თავად მოდელირებული ემოციური მდგომარეობების კონსტატაცია ფიზიოლოგიური (გულის ცემის სიხშირე) და ფენომენოლოგიური (შპილბერგერის რეაქტიული შფოთვის კითხვარი) მონაცემების საფუძველზე.

ცდისპირთა ფიზიოლოგიურმა მონაცემებმა (გულის ცემის სიხშირის ცვლილებებმა) საიმედოდ ასახეს ემოციური აგენტის ზემოქმედებით გამოწვეული ემოციური მდგომარეობის ფორმირება ცდისპირში. ამ მეთოდით ერთმანეთისაგან გადიფერენცირდა ძირითადი ჯგუფები საკონტროლო ჯგუფისაგან და ძირითადი ჯგუფების მონაცემები ემოციოგენურ სიტუაციაში ამავე ჯგუფების მონაცემებისაგან ნეიტრალურ სიტუაციაში, თუმცა ფიზიოლოგიური მონაცემების მიხედვით ვერ მოხერხდა ძირითადი, დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების ჯგუფების გადიფერენცირება, ვინაიდან ჩვენს ცდებში განსხვავებული ნიშნის მქონე ემოციურ მდგომარეობებს თან ახლდა ერთნაირი ინტენსივობის ცვლილებები გულის ცემის სიხშირეში.

რაც შეეხება ცდისპირთა ფენომენოლოგიურ მონაცემებს (შპილბერგერის რეაქტიული შფოთვის ქვესკალა), ცდისპირთა ჯგუფებმა ვერ გამოავლინეს სტატისტიკურად სანდო განსხვავებანი, რაც აიხსნება მათი რეაქტიული შფოთვის მაღალი დონით ყველა შემთხვევაში. ასე მაგალითად, დადებითი სტიმულაციის შემთხვევაშიც კი ცდისპირთა რეაქტიული შფოთვის დონე არ იწევს საკმარისად დაბლა. გამონაკლისს წარმოადგენს ნეიტრალურ სიტუაციაში უარყოფითი სტიმულირების ჯგუფის რეაქტიული შფოთვის მაჩვენებლის სტატისტიკურად სანდო დაქვეითება ემოციოგენური სიტუაციის რეაქტიული შფოთვის მაჩვენებელთან შედარებით.

ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ცდისპირის ემოციური მდგომარეობა, როგორც უარყოფითი ასევე დადებითი, გამოწვეული ექსპერიმენტულ პირობებში მოდელირებული ემოციოგენური სიტუაციით, ზემოქმედებს განწყობის ფიქსაციის პროცესზე, რაც ჩვენს ცდებში ემოციოგენურ სიტუაციებში

საკონტროლო და ნეიტრალური სიტუაციების ცდებთან შედარებით განწყობის ეფექტის შესუსტებით გამოიხატა. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი ემოციური ზემოქმედებისას განწყობის ეფექტი სტატისტიკურად სანდოდ აღემატება განწყობის ეფექტს უარყოფითი ემოციური ზემოქმედების შემთხვევაში.

ჩვენი ჰიპოთეზა გულისხმობდა დადებით და უარყოფით ემოციურ მდგომარეობათა განსხვავებულ ზემოქმედებას განწყობის ფიქსაციის პროცესზე, რასაც, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება მიღებული ექსპერიმენტული შედეგი.

ჩვენი აზრით, მიღებული ექსპერიმენტული შედეგი, კერძოდ, განწყობის ეფექტის შემცირება, როგორც უარყოფითი ასევე დადებითი ემოციური ზემოქმედების შემთხვევაში საკონტროლო და ნეიტრალური სიტუაციის ცდებთან შედარებით, გამოწვეულია არა ემოციურ მდგომარეობათა განწყობის ფიქსირებაზე ზემოქმედების ზოგადი კანონმზომიერებით, არამედ ჩვენი ცდის სპეციფიკით. ჩვენს ცდაში მოდელირებული ემოციოგენური სიტუაცია ცდისპირს აყენებდა ე. წ. შეფასების ხიფათის სტრესულ სიტუაციაში (evaluation threat) [9; 11], მიუხედავად იმისა, თუ რა ნიშნის ემოციური რეაქციის გამოწვევას გულისხმობდა იგი. ჩვენი აზრით, მიღებული შედეგი მოწმობს შეფასების სიტუაციის უარყოფით ზემოქმედებას განწყობის ეფექტზე, თუმცა დადებითი შეფასება უფრო ნაკლებად ამცირებს განწყობის ეფექტს, ვიდრე უარყოფითი. შეფასების სიტუაცია გარდუვალად არის დაკავშირებული შფოთვის დონის ამაღლებასთან [9; 10; 11]. ამით აიხსნება როგორც განწყობის ეფექტის შემცირება, ასევე შფოთვის ფიზიოლოგიური და ფენომენოლოგიური მაჩვენებლების ზრდა დადებითი და უარყოფითი ემოციური ზემოქმედების ჯგუფებში.

Р. Л. МИРЦХУЛАВА

К ВОПРОСУ О ФИКСИРОВАНИИ УСТАНОВКИ В ЭМОЦИОНАЛЬНОЙ СИТУАЦИИ

Резюме

В работе дана информация об экспериментальном изучении воздействия эмоциональной ситуации и обусловленного ею эмоционального состояния испытуемого на процесс фиксации и выявления фиксированной установки.

Как показали экспериментальные данные, стрессовая (оценочная) ситуация, несмотря на качество оценки, негативно воздействует на фиксацию и проявление установки, что выражается в уменьшении установочных иллюзий по сравнению с контрольными показателями.

ლიტერატურა

1. ბ ჟ ა ლ ა ვ ა ი. ფარმაკოლოგიურ საშუალებათა გავლენა ფიქსირებული განწყობის მოქმედებაზე, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, თბ., 1953.
2. უ ზ ნ ა ძ ე დ. შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
3. Ал х а з и ш в и л и А. Воздействие смены ситуации на вариабельность типа установки. Экспериментальные исследования по психологии установки, т. V, 1971.
4. Гер с а м и я Э. Фиксированная установка детей-олигофренов и некоторые особенности структуры их психики, Тб., 1968.
5. Лин д е л е й П. Н ор м а н Д. Переработка информации у человека, М., 1974.
6. К е ч х у а ш в и л ი Г., Н а й К ი მ К њ е н გ. К вопросу о психической природе утомления. Материалы Закавказской Конференции Психологов, Баку, 1983.
7. Х а н и н Ю. Л. Краткое руководство к применению Шкалы Реактивной и Личностной Тревожности. Ч. Д. Спилбергера, Л., 1976.
8. Х а ч а п у რ ი დ ზ ე ბ. Проблема и закономерности действия фиксированной установки. Тб., 1962.
9. „Achievement, Stress and Anxiety: The series in Clinical and Community Psychology“. Ed. Heinz W. Krohne, Lothaz Laux, n. g. London, 1982.
10. „Cross-Cultural Anxiety“. Ed. Ch. D. Spielberger, R. Guerrero Washington — London 1976.
11. „Stress and Anxiety“ vol. 1. Ed. Ch. D Spielberger, J. G. Sarason, Washington, 1975.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

პირობები აიზიანი

სოციალური განწყობის ცვლილება სხვადასხვა მოტივაციის
პირობებში

მოტივაციის პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური განწყობების შესწავლისას. უკანასკნელი ხანის გამოკვლევებში ნაჩვენებია, რომ საინტერესო შემეცნებითი საქმიანობის სხვადასხვა მოტივაციურ კონტექსტში შესრულება ამ საქმიანობის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას აყალიბებს [8]. თუ ადამიანი საკუთარი სურვილით, გარეგანი იძულების გარეშე ჩაერთვის რაიმე ქცევის შესრულებაში, იგი შემდგომშიც გამოთქვამს ამ ქცევის შესრულების სურვილს და მაღალ შეფასებას მისცემს მის მიზიდველობას, ხოლო თუ ეს მოქმედება გარკვეული ჯილდოს მიღების მოტივით ან სასჯელის არიდების მიზნით წარიმართება, ინდივიდები თავისუფალი ქცევის სიტუაციაში სატესტო დავალების კვლავ შესრულების მცირე სურვილს გამოხატავენ და ხშირად დაბალ შეფასებას აძლევენ სამუშაოს მიზიდველობას. როგორც ვხედავთ, განსხვავებული ეფექტი სხვადასხვა მოტივაციური ჩართულობით მიიღება. პრველ შემთხვევაში ადგილი აქვს ინდივიდის „პრობლემაში ჩართულობას“ [5], რადგან ქცევა შინაგანი ღირებულების გამო სრულდება, ჰომოგენურადაა მოტივირებული [3]; მეორე შემთხვევაში იგივე მოქმედება წარიმართება „მე-ჩართულობის“ პირობებში და მოტივაცია გარეგან, ჰეტეროგენულ ხასიათს ატარებს.

შინაგანი მოტივაციის შემცირების ეფექტის პირველი ექსპერიმენტული გამოკვლევა და თეორიული ინტერპრეტაცია ე. დეცის ეკუთვნის [10]. დეცის ექსპერიმენტში ცდისპირთა ერთი ჯგუფი საინტერესო თავსატეხთან მუშაობდა გარეგანი განმტკიცების გარეშე, მეორე ჯგუფი იმავე სამუშაოს ასრულებდა ფულადი ჯილდოთი სტიმულირების პირობებში, მესამე კი მხოლოდ ვერბალურ განმტკიცებას იღებდა. აღმოჩნდა, რომ ფულადი ჯილდო იწვევს შინაგანი მოტივაციის შემცირებას, ხოლო სიტყვიერი წახალისება კი შეიძლება ზრდიდეს კიდევ მას.

მიღებული ეფექტების ახსნისას დეცი ეყრდნობა თეორიულ დებულებას, რომლის მიხედვით ადამიანის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებას წარმოადგენს გარემოსთან ურთიერთქმედებისას საკუთარი თავი აღიქვას აქტიურ და თვითდეტერმინირებულ ინდივიდად. დეცის თეორიის მიხედვით, სინამდვილის ყოველ მოვლენას გააჩნია სუბიექტისთვის მნიშვნელოვანი ორი ფუნქციონალური ასპექტი: საკონტროლო ასპექტი და ინფორმაციული ანუ უკუკავშირის ასპექტი. ადამიანი ახდენს სინამდვილის კოგნიტურ შეფასებას და მოვლენა იმ შემთხვევაში აღიქმება საკონტროლოდ, თუ ადამიანი ამ მოვლენის ზეგავლენას ხსნის როგორც გარკვეული მიმართულების მოქმედების იძულებას. თუ ეს ასპექტი თვალსაჩინო აღმოჩნდა სუბიექტისათვის, ადამიანი თავის ქცევის მიზეზს გარემოს ობიექტებს მიაწერს და შინაგანი მოტივაცია მცირდება. მოვ-

ლენას ინფორმაციული მნიშვნელობა აქვს ინდივიდისთვის, თუ იგი ქცევის რე-
ლევანტურ ინფორმაციას შეიცავს და არ წარმოადგენს იძულებას რაიმე მოქმე-
დებისადმი. ადამიანის მოტივაციას განსაზღვრავს მეორე ფაქტორიც — აღქ-
ვამს თუ არა იგი თავის ქცევას ეფექტურ, წარმატებით მიმდინარე აქტივობად.
თვალსაჩინო ინფორმაციული ხასიათის მქონე შოვლენა იწვევს შინაგანი მოტი-
ვაციის ზრდას, თუ იგი ქცევაში კომპეტენტურობას მიუთითებს სუბიექტს, არა
კომპეტენტურობის ინფორმაციის მიღებისას კი ადგილი აქვს შინაგანი მოტივა-
ციის შემცირებას. ინფორმაციული ასპექტი მხოლოდ მაშინ ახდენს გავლენას
შინაგან მოტივაციაზე, თუ საკონტროლო ასპექტი შედარებით არათვალსაჩინოა.
გარეგან განმტკიცებას, ჯილდოს საკონტროლო ხასიათი ექნება, თუ მას ინდივი-
დი მხოლოდ დავალების შესრულებისთვის მიიღებს, ხოლო თუ ჯილდო სამუ-
შაოს ხარისხისთვის დაწესდება, მისი ინფორმაციულობა სიტუაციის სხვა ფაქ-
ტორებით უნდა განისაზღვროს.

ე. დეცის კოგნიტური შეფასების თეორიას მნიშვნელოვანი დაბრკოლებები
ექმნება იმ შემთხვევებში, როდესაც შინაგანი მოტივაციის ცვლილება სუბიექ-
ტის აღქმაში ცვლილების დამოუკიდებლად აღინიშნება. პიტმანის, კუპერის
და სმიტის გამოკვლევაში ცდისპირთა ნაწილს ცრუ უკუკავშირის საშუალებით
უქმნიდნენ ილუზიას, რომ ისინი სამუშაოთი შინაგანად იყვნენ დაინტერესე-
ბულნი, მეორე ჯგუფს კი გარეგანი დაინტერესების უკუკავშირს აწვდიდნენ [17].
პირველი ჯგუფის ცდისპირებმა თავისუფალი ქცევის სიტუაციაში დავალებით
მეტი დაინტერესება გამოხატეს, ვიდრე მეორე ჯგუფის წევრებმა. ამ შედეგის
საფუძველზე პიტმანი და მისი კოლეგები ასკვნიან, რომ აღქმული მოტივაციუ-
რი მდგომარეობა აშუალებს ქცევას და საკმარისი პირობაა ცვლილების მისა-
ღებად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პიტმანის გამოკვლევაში ის ცდისპირები,
რომლებიც ჯილდოს გარეშე მუშაობდნენ ან არ იღებდნენ ცრუ უკუკავშირს,
თავისუფალი ქცევის სიტუაციაში გაცილებით უფრო დიდხანს მუშაობენ სა-
ტესტო დავალებით. ეს შედეგი უკვე ველარ აიხსნება აღქმულ თვითმოტივა-
ციაში განსხვავებებით და როგორც ჩანს, გარეგანი განმტკიცების ეფექტი კოგ-
ნიტურ შეფასებაში ცვლილების დამოუკიდებლადაც ვლინდება.

მ. ლეპერი და მისი კოლეგები შინაგანი მოტივაციის შემცირების ეფექტის
ასახსნელად აყალიბებენ „ზედმეტად გამართლების“ ჰიპოთეზას: თუ ობიექტს
ახასიათებს ისეთი ნიშნები, რომელთა გამოც ადამიანი ჩაერთვება შესაბამის
ქცევაში და მოსალოდნელია ობიექტის ბუნებისათვის გარეგანი სხვა დადებითი
შედეგებიც, ინდივიდის შინაგანი ინტერესი ამ ქცევის მიმართ მნიშვნელოვნად
შემცირდება [15]. ეს ინტერპრეტაცია ეყრდნობა ჰ. კელის მიერ ჩამოყალიბე-
ბულ გაუფასურების პრინციპს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: მოცემუ-
ლი მიზეზის როლი გარკვეული ეფექტის მიღებაში გაუფასურდება სიტუაცია-
ში ქცევის სხვა შესაძლებელი მიზეზების არსებობისას [14]. შინაგანი მოტი-
ვაციის შემცირების ეფექტი გარეგანი განმტკიცების შედეგად აღნიშნულია
სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან — დაწყებული სკოლამდელი ასაკის ბავშვე-
ბით და სტუდენტებით დამთავრებული [8]. ამასთან ერთად, მკვლევართა ნაწი-
ლი მიუთითებს, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვები მსჯელობისას არ მიმართა-
ვენ გაუფასურების პრინციპს [13]. აბსტრაქტული აზროვნებისას ისინი უფრო
ხშირად იყენებენ ადიტურობის სქემას, რომლის მიხედვითაც შინაგანი ინტე-
რესის და გარეგანი სტიმულის თანაარსებობა ზრდის შინაგან მოტივაციას. ამა-

ვე დროს მათ მიერ გამოვლენილი ქცევა აშკარად გაუფასურების პრინციპის გავლენას განიცდის [18].

ეს ფაქტი მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის შინაგანი მოტივაციის ცვლილების ატრიბუციის თეორიის პოზიციებიდან ახსნისათვის, რადგან ატრიბუციული სქემების არაცნობიერად ფორმირების და ფუნქციონირების დაშვებას გულისხმობს.

ბოალისა და კამინგის გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ მოტივაციის ცვლილება მაშინაც ხდება, როდესაც სუბიექტები არ ახდენენ მათი ქცევის შინაგანი თუ გარეგანი მიზეზების შეფასებასა და განსხვავებას [7]. ფიშერის ცდაში გარეგან განმტკიცებას თან ახლავს სუბიექტთა მიერ მათი ქცევის კაუზალურობის აღქმის ცვლილება, მაგრამ არ აღინიშნება შინაგანი მოტივაციის შემცირების ეფექტი [12].

შინაგანი მოტივაციის ექსპერიმენტული გამოკვლევაში ყოველთვის ვერ ახერხებენ ქცევითი ცვლილებების შესაბამისი ვერბალური პასუხების აღრიცხვას [16]. ამასთან ერთად, ქცევითი ცვლილებები მეტი სიძლიერით, სიმტკიცით აღინიშნება. თვითანგარიშები იმ შინაგან მდგომარეობათა შესახებ, რომლებიც, კოგნიტივისტური თეორიების თანახმად, ქცევის გამაშუალებლად ითვლება, უპირატესად მაშინ მიიღება, თუ სუბიექტები ყურადღებას გაამახვილებენ ქცევის გამომწვევ გარემოებებზე [19].

ქცევითი ცვლილებების ვერბალურ თვითანგარიშებში აუსახველობა მკვლევარებს აძლევს საფუძველს ივარაუდონ ქცევის გამაშუალებელი ატრიბუციების არაცნობიერი ხასიათი [6].

მოტივაციური ცვლილებების არაცნობიერად მიმდინარეობის ახსნა არ ხერხდება ატრიბუციული ან სხვა კოგნიტივისტური ორიენტაციის თეორიის საფუძველზე, რადგან მათი კონცეპტუალური სისტემა არ ითვალისწინებს შესაბამის ცნებებს. შინაგანი მდგომარეობების არაცნობიერ დონეზე ფორმირების შესწავლისთვის მიზანშეწონილი იქნება ისეთ თეორიულ თვალსაზრისს დავეყრდნობით, რომელიც სწორედ პიროვნების აქტივობის არაცნობიერ ფსიქიკურ რეგულაციას ეხება.

დე ჩარმსი და მიუიარი ზემოთ მოყვანილ თეორიულ შეხედულებათა კრიტიკისას მიუთითებენ, რომ შინაგანი მოტივაციის კვლევა ფაქტიურად დაყვანილია იმ სიტუაციურ გარემოებათა დეტალურ შესწავლაზე, რომლებიც განსაზღვრავენ ქცევით ეფექტებს, მაგრამ მთავარი ცვლადი—თვით პიროვნება, მისი გამოცდილება მკვლევართა ყურადღების გარეშე რჩება [9].

დ. უზნაძის განწყობის თეორია ადამიანის ფსიქიკურ აქტივობას განიხილავს მთლიანპიროვნებისეულ საფუძველზე, რომელიც გულისხმობს ქცევის რეგულაციის როგორც არაცნობიერ, ისე ცნობიერ მექანიზმებს. გარკვეული მოთხოვნების და შესაბამისი სიტუაციის არსებობის შემთხვევაში ადამიანს უყალიბდება გარკვეული ქცევის შესრულების განწყობა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც მისი მთლიანი, არაცნობიერი ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც ქცევის მიზანშეწონილ მიმდინარეობას განაპირობებს [1]. განწყობის თეორია იძლევა შესაძლებლობას ახსნილ იქნეს მოტივაციური ცვლილებათა არაცნობიერად მიმდინარეობის მექანიზმები.

განწყობის თეორიის მიხედვით, ფსიქოლოგიურად იმდენი განსხვავებულ ქცევა არსებობს, რამდენ განსხვავებულ მიზანსაც ემსახურება იგი [1]. სხვადასხვა მოტივაციის პირობებში ადამიანის მოქმედების განხილვას მივყავართ დას-

კენამდე, რომ ადამიანი ამ შემთხვევაში სხვადასხვა ქცევას ასრულებს. ქცევის შესრულების შინაგანი და გარეგანი მიზეზების ერთდროული არსებობისას ინდივიდი ჩაებმება ჰომოგენურად ან ჰეტეროგენულად მოტივირებულ აქტივობაში. მთლიანობით სუბიექტს თვალსაზრისით, მისი ქცევა ამ დროს სხვადასხვა განწყობის რეალიზაციის პროცესი იქნება.

ქცევის შესრულების შინაგან ან გარეგან მიზეზთა პიროვნული ღირებულება განსაზღვრავს მოტივაციის ჰეტეროგენულ ან ჰომოგენურ ხასიათს და შესაბამისი განწყობის ფიქსირებას. ჰეტეროგენულად მოტივირებული ქცევის განწყობის ფიქსირებას მოჰყვება აქ საქმიანობის მიმართ ჰომოგენური, შინაგანი ინტერესის შემცირება, რადგან მოქმედება შესრულდება მხოლოდ განწყობის აქტუალიზაციისათვის საკმარისი სიძლიერის ჰეტეროგენული სტიმულების არსებობისას. სიტუაციაში, სადაც არ იქნება ასეთი ჰეტეროგენული სტიმულები, ინდივიდები მცირე სურვილს გამოხატავენ შეასრულონ ეს მოქმედება. ჰომოგენურად მოტივირებული ქცევის განწყობის რეალიზაციის პროცესი არ გულისხმობს სუბიექტის მიერ განწყობის რავგარობის გაცნობიერების აუცილებლობას, ქცევის მიწერას შინაგანი ან გარეგანი მიზეზებისადმი. ამიტომ ჰეტეროგენულად მოტივირებული აქტივობა იმ შემთხვევებშიც გამოიწვევს შინაგანი მოტივაციის ცვლილებას, როდესაც სუბიექტი თავის ქცევას არ მიაწერს გარეგან მიზეზებს.

როგორც ვხედავთ, განწყობის თეორიის საფუძველზე შინაგანი მოტივაციის ცვლილების ახსნა არ გულისხმობს შეფასებითი პროცესების მონაწილეობის აუცილებლობას, რაც პოსტულირებულია კოგნიტივისტური ორიენტაციის თეორეტიკოსების მიერ. შინაგანი მოტივაციის ცვლილებას აქტივობის ჰეტეროგენულად მოტივირებული ხასიათი განსაზღვრავს. თუ ეს ვარაუდი რეალურ მდგომარეობას ასახავს, მაშინ ზემოთ აღნიშნული ეფექტი უნდა მივიღოთ არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც ჰეტეროგენული მოტივაციის პირობები გარკვეული მიმართულებით ძალისხმევის შემცველად განიცდებიან ადამიანის მიერ, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჰეტეროგენულად მოტივირებულ აქტივობას თავისუფალი ხასიათი აქვს.

ამრიგად, ჩვენი ჰიპოთეზა ასე ჩამოყალიბდება: ის ინდივიდები, რომლებიც გარკვეულ მოქმედებას ჰეტეროგენული მოტივით შეასრულებენ, შემდგომში ამ მოქმედების მიმართ უფრო ნაკლებ შინაგან ინტერესს გამოხატავენ, ვიდრე ის ინდივიდები, ვისი ქცევაც ჰომოგენური მოტივით იქნება გამოწვეული.

თავისუფალი ჰეტეროგენული მოტივაციური ფაქტორი იქმნება შეჯიბრის ორგანიზაციით შემეცნებითი საქმიანობის შესრულებისას. გარკვეული მოქმედება აქ სრულდება არა ჰომოგენური, შემეცნებითი ინტერესის გამო, არამედ სხვა პირთან პაექრობაში გამარჯვების მიზნით. თავისუფალი ჰეტეროგენული მოტივის თავისებურ სახეს შეიცავს ასევე „ეგო-ჩართულობის“ პირობები; ინდივიდის პიროვნული დაინტერესებულობა ამ შემთხვევაში სხვა გზით მიიღწევა: ცდისპირს ეუბნებიან, რომ იგი გარკვეული უნარების შემმოწმებელ გამოკვლევაში მონაწილეობს. ეგო-ჩართულობის პირობები გარკვეულ საფრთხეს უქმნის პიროვნების თვითწარმოდგენას და ამიტომ მისი აქტივობა პრესტიჟის მოთხოვნის მიხედვით უფრო არის განსაზღვრული, ვიდრე შემეცნებითი ინტერესით [11]. ჩვენი ვარაუდის მიხედვით, ეგო-ჩართულობის ან შეჯიბრის პირობებში შემეცნებითი საქმიანობის შესრულების შემდეგ ინდივიდებმა მცირე სურვილი უნდა გამოთქვან კვლავ შეასრულონ ეს სამუშაო ან დაბალი შეფასება მისცენ

მას, იმ ინდივიდებთან შედარებით, რომელთა შემეცნებითი აქტივობა ჰომოგენური შემეცნებითი მოტივით იქნება აღძრული.

შინაგანი მოტივაციის შემსწავლელი გამოკვლევებიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანი დაბრკოლებები იქმნება მოტივაციური ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებების ატიტუდური სკალების საშუალებით გაზომვისას: შინაგანი მდგომარეობის ქცევითი ინდიკატორები მიუთითებენ ცვლილებას, რომელიც ყოველთვის ადექვატურად არ ასახება სოციალური განწყობის სკალურ მაჩვენებლებში. ამიტომ შინაგანი მდგომარეობის სხვადასხვა გზით შეფასებამ შეიძლება შეუსაბამო შედეგები მოგვცეს, მითუმეტეს თუ ჩვენი ვარაუდით, შინაგანი მოტივაციის ცვლილება არაცნობიერად მიმდინარე პროცესების გავლენით ხდება.

სოციალურ-ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში ნაჩვენები იქნა, რომ სოციალური განწყობის სხვა გაზომვებთან შედარებით ქცევითი ინტენციის მაჩვენებლები ქცევის პროგნოზირებისთვის უფრო სანდო ინფორმაციას იძლევიან [4]. რა თქმა უნდა, სოციალური განწყობის ქცევითი კომპონენტი შეიძლება განსხვავდებოდეს აშკარა მოქმედებისაგან, მაგრამ იგი სხვა კომპონენტებთან შედარებით მეტ მიახლოებაში იქნება რეალურ ქცევასთან. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ შინაგანი მოტივაციის შეფასებისას დავეყრდნობით სოციალური განწყობის სხვადასხვა კომპონენტთა გაზომვის მონაცემებს.

როგორც ზევით ითქვა, მოტივაციის ცვლილებები ატიტუდურ მაჩვენებლებში განსხვავებულად აღინიშნება მაშინ, როდესაც სუბიექტები ყურადღებას ამახვილებენ ქცევის გამომწვევ პირობებზე, აფასებენ ქცევის შინაგან და გარეგან მიზეზებს. როგორც ჩანს, ამ დროს გაცნობიერების პროცესების ამოქმედებით შინაგანი მდგომარეობის უფრო ადექვატური ასახვა ხდება. ამდენად, ქცევის შინაგანი და გარეგანი მიზეზების შეფასებამ, მოტივაციის ანალიზმა შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს სოციალური განწყობის გაზომვებზე.

ამრიგად, ჩვენი ჰიპოთეზა შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

შეჯიბრისა ან ეგო-ჩართულობის პირობებში შემეცნებითი საქმიანობის შესრულებამ უნდა გამოიწვიოს ამ საქმიანობის მიმართ შინაგანი მოტივაციის შემცირება ჰომოგენური მოტივაციის ჯგუფთან შედარებით იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცდისპირები მათ ქცევას არ მიაწერენ გარეგან მიზეზებს.

ექსპერიმენტი

ცდები ჩატარდა საშუალო სკოლის უფროსკლასელებზე, რომელთა ასაკიც 15—16 წელი იყო. სულ ოქმში შევიდა 298 ცდისპირის შედეგი.

ცდების მიმდინარეობა ასეთი იყო: მოსწავლეებს ვუხსნიდით, რომ გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სასწავლო დავალების დამუშავება და დახვეწა, შემდეგ კი ვაწვდიდით საჩვენებელ ამოცანას. ამოცანა წარმოადგენდა ანაგრამას, რომელშიც ასოთა გადაადგილებით მიიღებოდა აზრიანი სიტყვა. ცდისპირთა ერთი ნაწილი ექსპერიმენტში მონაწილეობას იღებდა სურვილის მიხედვით. სიტუაციაში ჰეტეროგენული სტიმულების მოქმედება და ვიზუალური კონტროლი მინიმუმამდე იყო დაყვანილი, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი ქცევა ჰომოგენურად მოტივირებულ შემეცნებით აქტივობას წარმოადგენდა. ცდისპირთა მეორე ნაწილი იმავე სამუშაოს ასრულებდა შეჯიბრის სიტუაციაში; ორი მოსწავლე ეჯიბრებოდა ერთმანეთს ამოცანების სწო-

რად ამოხსნაში. მესამე ჯგუფთან ჰეტეროგენულად მოტივირებული აქტივობის შესრულებას ეგო-ჩართულობის პირობები განსაზღვრავდა — მოსწავლეებს ვეუბნებოდით, რომ ამოცანა ინტელექტის ტესტის ნაწილს წარმოადგენდა და ამოცანის ამოხსნაში წარმატება-მარცხი აზროვნების უნარის მაჩვენებელი იქნებოდა. თითოეული ამოცანის ამოხსნას გარკვეული დრო ეთმობოდა, რის შემდეგაც ცდისპირი იგებდა სწორ პასუხს. სულ საჭირო იყო ხუთი ამოცანის ამოხსნა.

ამოცანაზე მუშაობის დამთავრების შემდეგ თითოეული მოტივაციური ჯგუფი თავის მხრივ ოთხ ვარიანტად იყოფოდა: პირველი ჯგუფი შეიღწაფებოდა სკალაზე აფასებდა ამოცანებზე მუშაობის შინაგან სურვილს. სკალაზე მოცემული იყო დანაყოფები -3-დან 3-მდე ნულის გავლით: -3 და 3 უკიდურეს პოზიციებს აღნიშნავდნენ, -2 და 2 საშუალო გამოხატულ პოზიციებს შეესაბამებოდნენ, ხოლო -1 და 1 კი ოდნავ გამოხატულ პოზიციებს. ნულოვან შეფასებას ინდივიდი მიმართავდა მხოლოდ გარკვეული პასუხის შემთხვევაში. მეორე ჯგუფი ასეთსავე სკალაზე აფასებდა ამოცანებზე მუშაობის გარეგანი მიზეზების სიძლიერეს. მესამე ჯგუფის ერთი ნაწილი მიუთითებდა ჯერ პირველი ფაქტორის მოქმედებას, შემდეგ კი მეორე ფაქტორის გავლენას; ჯგუფის მეორე ნაწილი კი საპირისპირო მიმდინარეობით ახდენდა ქცევის შინაგან და გარეგან მიზეზთა შეფასებას. თითოეული მოტივაციური სერიის მეოთხე ჯგუფი არ ახდენდა ქცევის მიზეზთა ანალიზს, იგი საკონტროლო ვარიანტს წარმოადგენდა და მისი მონაცემების საფუძველზე შეგვეძლო გავგერკვია, თუ რა გავლენას მოახდენდა ცდისპირთა მიერ მათი ქცევის მოტივაციის ანალიზი სატესტო დავალების მიმართ დამოკიდებულებაზე. ცდის შემდგომ ეტაპზე ყველა მოსწავლე კითხვარის საშუალებით. აფასებდა, თუ რამდენად საინტერესო, გასართობი იყო ამოცანები; შრომას უფრო ჰკავდა მათი ამოხსნა თუ თამაშს. შეფასება ისევ სკალების საშუალებით ხდებოდა. ცდის ბოლოს ყველა ცდისპირი პასუხობდა კითხვაზე ამოხსნიდა თუ არა კიდევ ამოცანებს უშუალოდ ცდის დამთავრების შემდეგ და სკალაზე მიუთითებდა მუშაობის სურვილს.

მიღებული შედეგები და მათი ანალიზი

ყველა მოტივაციური ჯგუფის ცდისპირთა გარკვეული ნაწილი აფასებდა ქცევის შინაგანი ან გარეგანი მოტივების მოქმედებას ან ორივე ფაქტორს. განსხვავება შინაგანი და გარეგანი მიზეზების შეფასებაში არ გამოიყვანდა იმ ჯგუფებთან, რომლებიც სხვადასხვა მიმდევრობით ახდენენ ანალიზს, ამიტომ მათი მონაცემები ცხრილში გაერთიანდა თითოეული მოტივაციური ჯგუფისთვის. ქცევის შინაგანი და გარეგანი მიზეზების შეფასებათა საშუალოები და მათი სტანდარტული გადახრები სხვადასხვა მოტივაციური ჯგუფებისთვის მოყვანილია ქვემოთ მდებარე ცხრილში. გამოთვლების გასაადვილებლად შეფასებებს ენიჭებოდათ რიცხვითი მნიშვნელობები 1-დან 7-მდე სკალის შესაბამისად.

ცდისპირთა ყველა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამოცანებზე მუშაობის ძლიერი სურვილი ჰქონდა (საშუალო შეფასებები მოთავსებულია ინტერვალში 6,02-დან 6,21-მდე). საშუალოთა შორის განსხვავების შემოწმება სტატისტიკის t კრიტერიუმის საშუალებით არ იძლევა სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს მოტივაციურ ჯგუფებს შორის [2]. ეგო-ჩართულობის ჯგუფის ცდისპირები, რომლებიც მხოლოდ ქცევის შინაგან მიზეზებს აფასებდნენ (25 7. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1985, № 1

ცხრილი 1

ქცევის მიზეზთა შეფასებების საშუალოები და მათი სტანდარტული ვალახრები

| ანალიზის მიმართულება | მოტივაციური ჯგუფები | | ეგო-ჩართულობა | | შეჯიბრი | |
|--------------------------------|------------------------|------|---------------|------|-----------|------|
| | \bar{X} | s | \bar{X} | s | \bar{X} | s |
| 1 შინაგანი სურვილის შეფასება | 6,16 | 1,20 | 5,97 | 1,29 | 6,05 | 1,24 |
| 2 გარეგანი მიზეზების შეფასება | 1,95 | 0,85 | 1,74 | 1,08 | 1,81 | 0,97 |
| შინაგანი სურვილის შეფასება | 6,21 | 0,92 | 6,02 | 1,32 | 5,18 | 1,20 |
| 3* გარეგანი მიზეზების შეფასება | 1,57 | 0,91 | 1,69 | 0,83 | 1,94 | 1,05 |

(3) ისეთივე სიდიდის შინაგან სურვილს მიუთითებენ, როგორც შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფის წევრები (23 ცპ), $t=0,575$, $p>0,2$; ქცევის ორივე ფაქტორის შეფასებისას (ეგო-ჩართულობა 25 ცპ, შემეცნებითი მოტივაცია 27 ცპ), $t=0,59$, $P>0,2$. შეჯიბრის სიტუაციაში მომუშავე ცდისპირები ისეთივე სიდიდის შინაგან სურვილს მიუთითებენ ქცევის მხოლოდ შინაგანი მიზეზების შეფასებისას (22 ცპ), როგორც შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფის წევრები: $t=0,297$, $p>0,2$; შინაგანი და გარეგანი მიზეზების შეფასების შემთხვევაში $t=0,1$, $P>0,2$. ექსპერიმენტული ჯგუფების ცდისპირები არ მიუთითებენ სამუშაოს შესრულებისას გარეგანი მიზეზების მოქმედების სიძლიერეს, ამასთან ერთად, არ აღინიშნება განსხვავებები სხვადასხვა მოტივაციურ ჯგუფებს შორის: ეგო-ჩართულობის ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ქცევის გარეგან მიზეზებს აფასებს (22 ცპ) არ განსხვავდება შესაბამისი შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფისაგან (26 ცპ), $t=0,72$, $p>0,1$. შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფი გარეგანი მიზეზების უფრო ძლიერ მოქმედებასაც კი მიუთითებს, ვიდრე ეგო-ჩართულობის და შეჯიბრის ჯგუფები, მაგრამ ეს განსხვავება საკმაოდ მცირეა. ქცევის როგორც შინაგანი, ისევე გარეგანი მიზეზების შეფასებისას, მოტივაციურ ჯგუფებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელობითი არაა: ეგო-ჩართულობის ჯგუფისა (25 ცპ) და შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფისათვის (27 ცპ) $t=0,48$, $p>0,2$; შეჯიბრისა (26 ცპ) და შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფებისათვის $t=1,34$, $P>0,05$; შეჯიბრისა და ეგო-ჩართულობის ჯგუფებისათვის $t=0,926$, $p>0,05$.

ამრიგად, ეგო-ჩართულობისა ან შეჯიბრის პირობებში ცდისპირების მიერ არ აღიქმება ამოცანებზე მუშაობის შინაგანი სურვილისა და გარეგანი მიზეზების მოქმედების განსხვავებული სიდიდე შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფთან შედარებით.

ამოცანათა მიმზიდველობის მაჩვენებლად მიღებული იყო კითხვარში ანაგრაჰმის სამი შეფასების ჯამი თითოეული ცდისპირისთვის. თითოეულ ჯგუფში

* მე-3 ჯგუფის ცდისპირები აფასებდნენ ორივე ფაქტორს.

ცდისპირთა რაოდენობა, ცდისპირთა მიერ ამოცანების მიმზიდველობის შეფასებათა საშუალოები და მათი სტანდარტული გადახრები მოყვანილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

ამოცანათა მიმზიდველობის შეფასების საშუალოები და მათი სტანდარტული გადახრები

| ვარიანტი | მოტივაციური ჯგუფები | | | | | | | | |
|----------|-----------------------|-----------|------|---------------|-----------|------|---------|-----------|------|
| | შემეცნებითი მოტივაცია | | | ეგო-ჩართულობა | | | შეჯიბრი | | |
| | n | \bar{X} | s | n | \bar{X} | s | n | \bar{X} | s |
| 1 | 23 | 17,36 | 1,88 | 25 | 16,43 | 2,84 | 22 | 16,28 | 2,83 |
| 2 | 26 | 17,59 | 2,60 | 22 | 16,22 | 2,99 | 24 | 16,02 | 2,73 |
| 3 | 27 | 17,12 | 2,75 | 25 | 16,37 | 2,49 | 26 | 16,21 | 2,55 |
| 4 | 27 | 16,92 | 2,23 | 23 | 16,67 | 2,48 | 28 | 16,82 | 2,49 |

ეგო-ჩართულობის პირობებში მომუშავე ცდისპირები, შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფთან შედარებით, ნაკლებ შეფასებას აძლევენ ამოცანა მიმზიდველობას, მაგრამ ეს განსხვავება არ აღწევს სტატისტიკურად სანდო დონეს. მოტივაციის ანალიზის პირველი ვარიანტის ჯგუფებისათვის: $t=1,309$, $p>0,05$; მოტივაციის ანალიზის მეორე ვარიანტის ჯგუფებისათვის: $t=1,6506$ $P>0,05$; ჯგუფებისათვის, რომლებიც ქცევის შინაგან და გარეგან მიზეზებს აფასებდნენ, განსხვავება სანდო არ არის, $t=1,0135$, $P>0,05$. ეგო-ჩართულობის საკონტროლო ჯგუფის მიერ სამუშაოს მიმზიდველობის შეფასება მცირედ განსხვავდება შემეცნებითი მოტივაციის საკონტროლო ჯგუფის შესაბამისი მონაცემისაგან, $t=0,36$, $P>0,25$.

ეგო-ჩართულობის ჯგუფთა სამუშაოს მიმზიდველობის გაერთიანებული საშუალო მაჩვენებელი $X_2=16,42$ ($S_2=2,67$) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფების შესაბამისი მონაცემისგან, $X_1=17,24$ ($S_1=2,38$) $t=2,356$, $P<0,05$.

ამრიგად, ეგო-ჩართულობის პირობებში ამოცანების შესრულება იწვევს ამ საქმიანობის მიმზიდველობის სტატისტიკურად მნიშვნელოვან შემცირებას შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფთან შედარებით.

შეჯიბრის სიტუაციაში დავალების შესრულებისას ამოცანათა მიმზიდველობის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირები აფასებენ ქცევის გარეგან მიზეზებს, $t=2,096$, $P<0,05$. შეჯიბრში მონაწილე სხვა ჯგუფებისათვის ამოცანათა მიმზიდველობის კლება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არაა; მოტივაციის ანალიზის პირველი ვარიანტის შეჯიბრის ჯგუფისა და შემეცნებითი მოტივაციის შესაბამისი ჯგუფისთვის: $t=1,479$, $P>0,05$. მოტივაციის ანალიზის მესამე ვარიანტის ჯგუფებისთვის $t=1,204$, $P>0,05$. შეჯიბრში მონაწილე საკონტროლო ჯგუფი, რომელიც არ ახდენს ქცევის შინაგანი ან გარეგანი მიზეზების ანალიზს, ამოცანების მიმზიდველობას თითქმის ისეთივე შეფასებას აძლევს, როგორც შემეცნებითი მოტივაციის საკონტროლო ჯგუფი; $t=0,36$, $P>0,2$. შეჯიბრში მონაწილე ჯგუფთა გაერთიანებული მაჩვენებელი სამუშაოს მიმზიდველო-

ბაში $X_3 = 16,44$ ($S_3 = 2,505$) სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდება შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფების შესაბამისი მონაცემებისაგან $t = 2,42$, $P > 0,01$

ამრიგად, შეჯიბრის სიტუაციაში გარკვეული სამუშაოს შესრულება იწვევს ამ სამუშაოს მიმზიდველობის შემცირებას შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფთან შედარებით.

ექსპერიმენტული ჯგუფების შედარება მოტივაციის ანალიზის პირობების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ქცევის მიზეზთა შეფასების პროცედურა განსაზღვრავს სამუშაოს მიმზიდველობის კლებას ჰეტეროგენული მოტივაციის ჯგუფებთან. ჰეტეროგენული მოტივაციის საკონტროლო ჯგუფები თითქმის ისეთივე შეფასებას აძლევს სამუშაოს მიმზიდველობას, როგორც შემეცნებითი მოტივაციით მომუშავე ცდისპირები, მათთან სამუშაოს მიმზიდველობის კლება უმნიშვნელო ხასიათს ატარებს. მოტივაციის ანალიზის პირობების მიხედვით ჯგუფების გაერთიანებული საშუალოების გამოთვლა ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავებულ სიდიდეებს გვაძლევს: საკონტროლო ჯგუფისთვის $X_4 = 16,81$, ($S_4 = 2,37$); მოტივაციის ანალიზის პირველი ვარიანტისათვის $X_5 = 16,61$ ($S_5 = 2,456$); მეორე ვარიანტისათვის $X_6 = 16,83$, ($S_6 = 2,739$); მოტივაციის ანალიზის მესამე ვარიანტისათვის $X_7 = 16,58$ ($X_7 = 2,60$).

განსხვავებული სურათი მიიღება, თუ მოტივაციურ ჯგუფებს შევადარებთ ამოცანებთან მუშაობის რეალური სურვილის მიხედვით. სხვადასხვა მოტივაციური ჯგუფებისთვის ქცევითი ინტენციის მაჩვენებლების საშუალოები და მათი სტანდარტული გადახრები მოყვანილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

ქცევითი ინტენციის საშუალოები და მათი სტანდარტული გადახრები

| ვარიანტი | მოტივაციური ჯგუფები | | | | | |
|----------|-----------------------|------|---------------|------|-----------|------|
| | შემეცნებითი მოტივაცია | | ეგო-ჩართულობა | | შეჯიბრი | |
| | \bar{X} | s | \bar{X} | s | \bar{X} | s |
| 1 | 5,94 | 1,27 | 5,18 | 1,59 | 5,35 | 1,76 |
| 2 | 5,84 | 1,20 | 5,07 | 1,65 | 5,21 | 1,67 |
| 3 | 5,96 | 1,58 | 4,89 | 2,15 | 5,09 | 2,10 |
| 4 | 6,08 | 1,03 | 5,24 | 1,41 | 5,15 | 1,41 |

ეგო-ჩართულობის ჯგუფებიდან ამოცანათა ამოხსნის სურვილის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შემცირება შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფებთან შედარებით აღინიშნება მხოლოდ საკონტროლო ჯგუფების შედარებისას, $t = 2,307$, $P < 0,05$. ეგო-ჩართულობის ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ქცევის შინაგან მიზეზებს აფასებს, შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფისგან განსხვავებით მუშაობის ნაკლებ სურვილს მიუთითებს, მაგრამ ამ შემთხვევაში განსხვავება სანდო არ არის, $t = 1,80$; $P > 0,05$. მოტივაციის ანალიზის მეორე ვარიანტში ეგო-ჩართულობის ჯგუფი ასევე ამოცანებზე მუშაობის ნაკლებ სურვილს გამოთქვამს, მაგრამ განსხვავება შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფისაგან არ აღწევს სანდო სიდიდეს, $t = 1,78$, $P > 0,05$. განსხვავება ეგო-ჩართულობის მესა-

შე ჯგუფის მონაცემსა და შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფის მაჩვენებელს შორის ასევე ვერ აღწევს სტატისტიკურად მნიშვნელოვან სიდიდეს, $t=1,98$, $P>0,05$. ეგო-ჩართულობის ჯგუფების ქცევითი ინტენციის გაერთიანებული საშუალო მონაცემი $X_8=5,09$ ($S_8=1,707$) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფების შესაბამისი მონაცემისაგან $X_9=5,95$ ($S_9=1,28$); $t=4,0375$, $P<0,001$. როგორც ვხედავთ, ეგო-ჩართულობის პირობებში დავალების შესრულება იწვევს ამ სამუშაოს მიმართ უფრო სუსტი ქცევითი ინტენციის ჩამოყალიბებას, ვიდრე შემეცნებითი მოტივაციის დროს.

ჰეტეროგენული მოტივაციის მეორე ჯგუფი შეჯიბრის სიტუაციაში ხსნიდა ამოცანებს, შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფებთან შედარება მხოლოდ საკონტროლო ჯგუფების შემთხვევაში იძლევა სანდო განსხვავებას, $t=2,11$, $P<0,05$. მოტივაციის ანალიზის მეორე ვარიანტში ჯგუფებს შორის განსხვავება არაა სანდო, $t=1,485$, $p<0,05$. მოტივაციის ანალიზის მესამე ვარიანტის ჯგუფებისთვის $t=1,67$, $p>0,05$ განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არაა. მოტივაციის ანალიზის პირველი ვარიანტის ჯგუფებისათვის განსხვავება ასევე ვერ აღწევს სტატისტიკურად სანდო სიდიდეს, $t=1,404$, $P>0,05$. შეჯიბრში მონაწილე ჯგუფთა ქცევითი ინტენციის გაერთიანებული საშუალო $X_{10}=5,22$ ($S_{10}=1,808$) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფების შესაბამისი მონაცემისაგან, $t=3,335$, $P<0,01$. ამრიგად, შეჯიბრის სიტუაციაში გარკვეული საქმიანობის შესრულება უფრო მცირე ქცევით ინტენციას ქმნის, ვიდრე იგივე მოქმედების ჰომოგენური მოტივით შესრულება.

მოტივაციის ანალიზის პირობების მიხედვით ექსპერიმენტული ჯგუფების შედარება ქცევითი ინტენციის ცვლილების თავისებურ სურათს იძლევა. ჰეტეროგენული მოტივაციის ჯგუფებიდან მუშაობის სურვილის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კლება მხოლოდ საკონტროლო ჯგუფებთან აღინიშნება, მართალია, მოტივაციის ანალიზის პირობებშიც იკლებს მუშაობის სურვილი, მაგრამ ეს განსხვავება ვერ აღწევს სტატისტიკურად სანდო დონეს. როგორც ვხედავთ, ქცევითი ინტენციის მაჩვენებელი არ განიცდის ცვლილებას მოტივაციის ანალიზის პროცედურის გავლენით. მოტივაციის ანალიზის პირობების მიხედვით ჯგუფების გაერთიანებული საშუალოების გამოთვლა ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავებულ სიდიდეებს გვაძლევს: საკონტროლო ჯგუფისათვის $X_{11}=5,49$ ($S_{11}=2,18$); მოტივაციის ანალიზის პირველი ვარიანტისათვის $X_{12}=5,45$, ($S_{12}=1,52$); მოტივაციის ანალიზის მესამე ვარიანტისთვის $X_{13}=5,50$, ($S_{13}=1,57$); ეს შედეგი მიუთითებს, რომ მოტივაციის ანალიზის პროცედურა არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ქცევითი ინტენციის ცვლილებაზე. როგორც ვხედავთ, მოტივაციის ანალიზის პროცედურა გავლენას ახდენს მხოლოდ ჰეტეროგენული მოტივაციის ჯგუფების მიერ ამოცანათა შეფასებაზე.

ექსპერიმენტის შედეგები ასაბუთებენ ჩვენს მიერ გამოთქმულ ჰიპოთეზას; ჰეტეროგენული მოტივაციის პირობებში ამოცანათა ამოხსნის შემდეგ ცდისპირები უფრო ნაკლებ სურვილს გამოთქვამენ კვლავ იმუშაონ ამოცანებზე იმ ინდივიდებთან შედარებით, რომლებიც იმავე ამოცანებს ჰეტეროგენულად მოტივირების პირობების გარეშე ხსნიან. ჰეტეროგენული მოტივაციის ცდისპირთა მიერ ასევე აღინიშნება ამოცანათა მიმზიდველობის უფრო ნაკლები შეფასებები, ოღონდ უმეტესად იმ შემთხვევებში, როდესაც ცდისპირები ახდენენ მათი

ქცევის მიზეზთა ანალიზს, აფასებენ ქცევის შინაგან სურვილს და ქცევის გამომწვევ გარეგან სტიმულებს.

ექსპერიმენტის ერთ-ერთ საყურადღებო შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ცდისპირების შინაგანი მოტივაციის კლება ისე ხდება, რომ ინდივიდები არ მიუთითებენ სამუშაოს შესრულებისას გარეგან იძულებას ან მუშაობის შინაგანი სურვილის ოდენობას, განსხვავებულს შემეცნებითი მოტივაციის პირობებში მომუშავე ცდისპირების შესაბამისი მონაცემებისაგან. ეს შედეგი ასაბუთებს ჩვენს ვარაუდს, რომლის მიხედვითაც შინაგანი მოტივაციის კლებას განსაზღვრავს არა ქცევის მიწერა გარეგანი პირობებისადმი, არამედ ჰეტეროგენულად მოტივირებული აქტივობის შესრულება.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

ა) ეგო-ჩართულობისა ან შეჯიბრის სიტუაციით შექმნილ ჰეტეროგენული მოტივაციის პირობებში ცდისპირების მიერ არ აღინიშნება განსხვავებები ქცევის გარეგანი და შინაგანი მიზეზების შეფასებაში შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფებთან შედარებით.

ბ) ეგო-ჩართულობის ან შეჯიბრის სიტუაციაში გარკვეული დავალების შესრულების შემდეგ ცდისპირები უფრო ნაკლებ სურვილს გამოთქვამენ ამ დავალების კვლავ შესრულებისა, ვიდრე ის ინდივიდები, რომლებიც ჰეტეროგენული სტიმულების მიწოდების გარეშე მუშაობდნენ სატესტო დავალებაზე.

გ) ჰეტეროგენული მოტივაციის ჯგუფების წევრები მაღალ შეფასებას აძლევენ სატესტო დავალების მიმზიდველობას, სატესტო დავალების მიმზიდველობის შეფასებათა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კლება აღინიშნება მხოლოდ ქცევის მიზეზთა ანალიზის შემდეგ ცალკეულ შემთხვევებში.

დ) ქცევის მიზეზთა შეფასების პროცედურის გავლენა აღინიშნება მხოლოდ ჰეტეროგენული მოტივაციის ჯგუფების ცდისპირებთან. შემეცნებითი მოტივაციის ჯგუფებთან ეს პროცედურა არ იწვევს ცვლილებებს სატესტო დავალების შეფასებაში.

ე) ჩვენს მიერ გამოთქმული ჰიპოთეზა შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს: ის ინდივიდები, რომლებიც გარკვეულ მოქმედებას ჰეტეროგენული მოტივით ასრულებენ, შემდგომში ამ მოქმედების მიმართ უფრო ნაკლებ ინტერესს გამოხატავენ ვიდრე ის ცდისპირები, რომელთა აქტივობაც ჰომოგენური მოტივით არის განსაზღვრული.

Г. Г. КИПИАНИ

ИЗМЕНЕНИЕ СОЦИАЛЬНОЙ УСТАНОВКИ В УСЛОВИЯХ РАЗЛИЧНОЙ МОТИВАЦИИ

Резюме

В социально-психологических исследованиях было показано, что внутренний интерес индивида к избранному типу поведения может быть значительно уменьшен при использовании внешнего подкрепления. Согласно теориям атрибуции, уменьшение внутреннего интереса происходит в результате восприятия субъектом внешнего принуждения и приписывания им причин поведения внешним условиям.

В данной работе предложена гипотеза, согласно которой уменьшение внутреннего интереса происходит при исполнении поведения, вызванного гетерогенным мотивом, и имеет место и в тех случаях, когда субъекты не указывают на внешнее принуждение в ситуации. Предполагалось, что индивиды после решения познавательных задач в условиях соревнования или «эго-включенности» проявят меньше желания работать с этими задачами, чем испытуемые, чья деятельность была мотивирована познавательным интересом. Был поставлен эксперимент, результаты которого подтвердили гипотезу.

ლიტერატურა

1. უზნაძე დ. ნ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები, ტ. III—IV, თბილისი, 1963.
2. ყვავილაშვილი ჯ. შ. სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, თბილისი, 1974.
3. ჩხარტიშვილი შ. ნ. სწავლის მოტივაციური ფორმები, სკოლა და ცხოვრება, 1975, № 12.
4. Ajzen A., Fishbein M. Understanding Attitudes and Predicting Social Behaviour New, Jersey, 1980.
5. Allport G. W. Personality and Social Encounter, Boston, 1960.
6. Bem D. I. Self-perception Theory. In: Advances in Experimental Social Psychology. N. Y. 1972. v. 6. p. 2—62.
7. Boal K., Cummings L. Cognitive evaluation theory. An experimental test of processes and outcomes. Organisational Behaviour and Human Performance, 28, 289—310, 1981.
8. Condry I. Enemies of Exploration: Self-initiated versus other-initiated learning. J. Pers. Soc. Psychol. 35, 459—477, 1977.
9. De Charms R., Muir M. S. Motivation: Social approaches. Ann. Rev. Psychol., 29, 91—113, 1978.
10. Deci E. L. Intrinsic Motivation, N. Y. 1975.
11. Greenvald A. G. Ego task analysis: An integration of research on ego-involvement and self-awareness 'In: Cognitive Social Psychology, A. H. Hastorf, A. M. Isen (eds). N. Y. 1982.
12. Fisher C. The effects of personal control and extrinsic reward systems on intrinsic motivation. Organisational Behaviour and Human Performance, 21, 273—288, 1978.
13. Karniol R., Ross M. Children use of a causal attribution schema and the inference of manipulative intentions, Child Development, 50, 463—468, 1979.
14. Kelly H. H. The processes of causal attribution, American Psychologist, 28, 107—128, 1973.
15. Lepper M. R., Green, D., Nisbett R. E. Undermining children's intrinsic interest with extrinsic rewards: A test of „overjustification“ hypothesis J. Pers. Soc. Psychol. 28, 129—1856; 1973.
16. Nisbett R. E., Wilson T. P. Telling more than we can know: verbal reports on mental processes. Psychological Review 834, 231—256, 1977.
17. Pittman G. S. Cooper E. E. Smith G. W. Attribution of causality and the overjustification effect. J. Pers. Soc. Psychol. Bull., 3, 280—283, 1977.
18. Wells D., Shults T. R. Developmental distinctions between behaviour and judgement in the operation of the discounting principle. Child Development, 51, 1307—1310, 1980.
19. Wilson G. D., Hull. I. G., Jonnson f. Awareness and selfperception. J. Pers. Soc. Psychol., 40, 53—72, 1981.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მინილ მახარაძე

იხილეთ რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ

პოეტ თამაზ ჭილაძეს წერილში — „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ („მნათობი“, №№ 10—11, 1983), განუზრახავს „ვეფხისტყაოსნის“ ახლებური — პოეტური წაკითხვა.

ხსენებულ წერილში ჩვენ ძირითადად გვაინტერესებს თ. ჭილაძის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ფილოსოფიისა და ფილოსოფიის ისტორიის ზოგიერთ საკვანძო საკითხზე; ქართული რენესანსის პრობლემებზე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობაზე, ამ მსოფლმხედველობის მნიშვნელობაზე საკაცობრიო და ქართული კულტურისათვის.

წერილიდან ნათლად ჩანს მისი ავტორის გამორჩეულად ავღებული დამოკიდებულება „ფილოსოფოს-რუსთველოლოგების“ კვლევა-ძიებებით მიღებული შედეგების მიმართ: თ. ჭილაძე ერთ „ფილოსოფოს-რუსთველოლოგს“, რომლის მოსაზრებებსაც ენერგიულად „აკრიტიკებს“, ერთხელაც არ ახსენებს და არც მის ნაშრომებს მიუთითებს. არადა წერილი რუსთველოლოგიის გრიფითაა გამოქვეყნებული, რუსთველოლოგია კი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, ხოლო მეცნიერებაში ამგვარ საკითხებზე მსჯელობისას და სხვათა თვალსაზრისების კრიტიკისას, ოპონენტის მოსაზრებათა დამოწმება და შესაბამისი წყაროს მითითება აუცილებელია.

თ. ჭილაძის წერილიდან არ ჩანს, რომ მას არ აკმაყოფილებს „ფილოსოფოს-რუსთველოლოგების“ საქმიანობა რუსთველოლოგიაში და უფრო მეტს მოითხოვს მათგან. წერილის პათოსი სწორედ რომ პირიქითაა მიმართული და ზედმეტად და არაფრის მაქნისადაა გამოცხადებული რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური პოზიციიდან განხილვა.

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წერილის ავტორი ქართველი ფილოსოფოსების საქმიანობას რუსთველოლოგიაში ზედმეტად აცხადებს, რაც, როგორც ამას შემდგომში ვნახავთ, საერთოდ ფილოსოფიისადმი თ. ჭილაძის ავღებული დამოკიდებულებიდანაც მომდინარეობს.

თ. ჭილაძე განიხილავს ფილოლოგიურ და ფილოსოფიურ „ხარაჩოებს“, რომლებმაც მისი სიტყვებით — განაპირობეს რუსთაველის „პოემასა და მკითხველს შორის ინტელექტუალური ჯებირის“ აღმართვა: „თუმცა, ფილოსოფოსებმა, ბუნებით უფრო თამამებმა და შეუპოვრებმა, ხარაჩოები არ იკმარეს და ვეფხისტყაოსნის ტერიტორიაზე რამდენიმე საფეოდალო დააარსეს: ნეოპლატონიზმი, არისტოტელიზმი, პანთეიზმი, მანიქეველიზმი... ამ „საფეოდალოებს“ მაღალი გალავანი შემოარტყეს და ამ მაღალი გალავნიდან შუბების ტყორცნა დაუწყეს ერთმანეთს, რაც, რატომღაც, ბრძოლას კი არ გავდა, არამედ — ვირტუოზთა გართობას, ტურნირს, რის საყურებლადაც დიდი სიამოვნებით ვიკრიბებოდით ჩვენც „საქმის უცოდინარი მკითხველები“ [5, გვ. 120]. იქვე: „გატა-



ცებით ვადევნებდით რა თვალს ფილოსოფოსთა ამ ტურნირებს, საესებით დავი-
ვიწყებთ პოემა და ისიც ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნეველად გაქრა ჩვენი თვალ-
საწიერი. არა, კი არ გაქრა, დანაწილდა, გადაიწონ-გადმოიწონა, გადაიღვარ-
გადმოიღვარა სხვადასხვა დისერტაციასა და მონოგრაფიაში“; „ზოგიერთმა
ჩვენმა ფილოსოფოსმა და ტექსტოლოგმა-მკვლევარმა ლოდინან ქანდაკება კი
არა, ქანდაკებიდან ლოდი გამოთალა და ამით ჩახერგა კარი იმ მზიან, სიკეთით
სასვე სახლისა, ვეფხისტყაოსანი რომ ქვია“.

ამგვარი მოსაზრებები თ. ჭილაძის წერილიდან მრავლად შეიძლება მო-
ვიხილოთ, რომლებშიც ერთ-ერთ მთავარ მიზნად ამოვიკითხავთ — „ვეფხისტ-
ქაოსნის“ ფილოსოფიური ანალიზის შედეგად გა-
მოცხადებას. მაგრამ წერილის ავტორი ბოლომდე ვერაა თანმიმდევ-
რული და სხვაზე ნაკლებად როდი ლაპარაკობს რუსთაველის ფილოსოფიაზე,
მისი ლექსის „ინტელექტუალურობაზე“ და ა. შ. აი რას წერს საკუთრივ თ. ჭი-
ლაძე: „ხოლო, რაც შეეხება რუსთაველს, მან უზარმაზარი მემკვიდრეობა („ფი-
ლოსოფოსნი წინანი“), ფილოსოფიური ნააზრევი პოეზიად
აქცია, ფილოსოფიად აღიქვა პოეზიად...“ [5, გვ. 126. სა-
დაც საგანგებო აღნიშვნა არ იქნება, ხაზი ყველგან ჩვენ გვეკუთვნის — მ. მ.]
„ზემოთ ვთქვი, რუსთაველი ფილოსოფოსი კი არა, პოეტია მეთქი და მაინც,
თუკი რომელიმე ქართული პოეტი იმსახურებს იწოდებო-
დეს ფილოსოფოსად, ეს რასაკვირველია, რუსთავე-
ლია, თუკი ფილოსოფიის ცნებას ფართო გაგებით ავიღებთ...“ [6, გვ. 121];
„გრანდიოზული პოეტურობით გასხივოსნებულ ამ „სისტემას“ საფუძვლად
უდევს აზრის მიზანდასახული მოძრაობა ბოროტების დასათრგუნავად. ასე რომ,
პოეტის მთელი ფილოსოფია ამ ცენტრად ქცეული იდეის გარშემო
თავმოყრილი, ამ იდეის გარშემო ბრუნავს, ბრწყინავს, ცოცხლობს...“ (იქვე.)
„რუსთაველის ლექსი ინტელექტუალურია ფართო გაგებით, ეს არის
ძირითადი, სამახსოვრო პირობა...“ [6, გვ. 111. ხაზი თ. ჭილაძეს ეკუთვნის].
წერილიდან ბევრი ამგვარი თვალსაზრისის მოტანა შეიძლება, რომლებიც სა-
ერთო შთაბეჭდილებას ვერ შეცვლიან. ეს შთაბეჭდილება კი ასეთია: საკუთრივ
თ. ჭილაძე „ფილოსოფოს-რუსთაველოლოგებზე“ ნაკლებად როდი მიუთითებს
რუსთაველის ფილოსოფიაზე. აქ საქმეს ვერ უშველის ფილოსოფიის ცნების
ფართო გაგება, ვინაიდან რაც არ უნდა ვცვალოთ ფილოსოფიის ცნების ში-
ნაარსი, მის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მაინც ის გამოგვივა, თ. ჭილაძეს რომ
აქვს ცოტა სხვა მიმართებით აღნიშნული: „აზრის მიზანდასახული მოძრაობა
ბოროტების დასათრგუნავად“. ამასთანავე, არც ლექსის ინტელექტუალურობა
არ ამორებს პოეზიას ფილოსოფიისაგან.

ასე რომ, რუსთაველის ფილოსოფიის შესახებ თ. ჭილაძის პოზიცია დიდად
არ განსხვავდება ამ საკითხში „ფილოსოფოს-რუსთაველოლოგების“ დასკვნებისა-
გან. ერთია კია — „ფილოსოფოს-რუსთაველოლოგებთან“ საკუთარი მოსაზრე-
ბები, განსხვავებით თ. ჭილაძისაგან, სათანადოდაა დასაბუთებული.

წერილში არის ავტორის ასეთი კატეგორიული განცხადებაც: „...ვერავინ
დამარწმუნებს (თუკი, გამოჩნდება ასეთი ვინმე!), თითქოს ნებისმიერი ტექსტო-
ლოგი, ენათმეცნიერი ან ფილოსოფოსი პოემაში გაცილებით მეტ პოეზიას
პოულობდეს, ვიდრე ამავე პოემის რომელიმე არამეცნიერი მკითხველი. სრუ-
ლი პასუხისმგებლობით შემოიძლია განვაცხადო, რომ
ვერც ერთი ენათმეცნიერის, ფილოსოფოსის თუ ტექსტოლოგის ნარკვევში

ვერ ვხედავ ამის კვალს...“ [5, გვ.121]. აქ, „მთელი კატეგორიულობით განცხადების“ მიუხედავად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორი სრულად არ იცნობს რუსთველოლოგიურ ლიტერატურას, თორემ ერთ მკვლევარს როგორ ვერ მიაგნო, რომელსაც „არამეცნიერ მკითხველზე“ ნაკლებად არ ჰქონდეს ამოკითხული პოეზია „ვეფხისტყაოსანში“. იქნებ შალვა ნუცუბიძის, ყველაზე „პოეტური ფილოსოფოსის“ (თ. ჭილაძის სიტყვებია) განხენებაც საკმარისი იყოს აღნიშნული განცხადების არამართებულობის საჩვენებლად.

ახლა იმის შესახებ, თუ რა გააკეთეს საკუთრივ „ფილოსოფოს-რუსთველოლოგებმა“ რუსთველოლოგიაში. ქართველმა ფილოსოფოსმა მკვლევარებმა, არც მეტი, არც ნაკლები, გამოიკვლიეს რომელი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა „გადაადნო პოეზიად“ რუსთაველმა. ამ საკითხების ფილოსოფოსი-მკვლევარების ერთი ნაწილი თვლიდა, რომ რუსთაველმა „გადაადნო“ არისტოტელეს ფილოსოფია, ხოლო მეორენი ასეთად ნეოპლატონიზმს მიიჩნევდნენ (არეოპაგიტიკის ფილოსოფიური სისტემა ც ნეოპლატონურია). ასე რომ, თ. ჭილაძის განცხადება — რუსთაველმა „უზარმაზარი მემკვიდრეობა... ფილოსოფია გადაადნო პოეზიად“, სწორედ რომ ადასტურებს ქართველ ფილოსოფოსთა კვლევა-ძიებით მიღებულ დასკვნებს და არა პირიქით.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მკვლევარ-ფილოსოფოსებს „ვეფხისტყაოსანი“, უპირველესად, პოეტურ ქმნილებად მიაჩნიათ და არა ფილოსოფიურად. შ. ნუცუბიძე რომ ამ ყაიდის მკვლევარია, ამას თვით თ. ჭილაძეც აღიარებს (თუმცა მისივე შენიშვნით — შ. ნუცუბიძეს ხშირად ავიწყდებოდა ეს პრინციპი). რაც შეეხება შალვა ხიდაშელს, რომლის მოსაზრებებსაც დაუმოწმებლად აკრიტიკებს თ. ჭილაძე, აღნიშნავს: „რ უ ს თ ა ვ ე ლ ი პ ი რ ვ ე ლ ყ ო ვ ლ ის ა მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ის წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ა. მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი — პირველყოვლისა ესთეტიკური დამოკიდებულებაა, მსოფლმხედველობის გამოხატვის საშუალებანი — მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ს ა ხ ე ე ბ ი ა“ [8, გვ. 4]. ასე რომ, თ. ჭილაძის საყვედური „ფილოსოფოს-რუსთველოლოგების“ მისამართით, არც ამ მხრივ უნდა იყოს გამართლებული.

უკვე აღვნიშნეთ, რომ თ. ჭილაძის არამართებული დამოკიდებულება ქართველი ფილოსოფოსი მკვლევარებისადმი, საერთოდ ფილოსოფიისადმი მისი აგდებული დამოკიდებულებიდანაც უნდა მომდინარეობდეს. ჩვენი ნათქვამი ზეპირ განცხადებლად რომ არ დარჩეს ფაქტებს მივმართოთ.

ა) თ. ჭილაძე წერს: „იქნებ როგორმე, ერთხელ და სამუდამოდ, შევუთრიგდეთ იმ აზრსაც, რომ რუსთაველი ფილოსოფოსი კი არაა — პოეტია, რომ პოეზიაც „სიბრძნისა ერთი დარგი“, რომ არავთარი საფუძველი არ გაგვაჩნია, ფილოსოფია პოეტურ სიბრძნეზე უმაღლესად მივიჩნით“... [5, გვ. 127]. წერილის ავტორმა რუსთაველის ფილოსოფიაზე ხაზგასმით რომ ილაპარაკა, ამის შესახებ უკვე ითქვა და ამაზე მეტს არ შევჩერდებით. საერთოდ კი, ფილოსოფიისა და პოეზიის ამგვარი დაპირისპირება გაუმართლებლად მიგვაჩნია, მაგრამ რადგან პოეტმა ასე დააყენა საკითხი, მასზე პასუხიც საჭიროა. ფილოსოფიისა და პოეზიის ცნებები ბერძნულ სამყაროში ჩამოყალიბდა და ბერძენმა სწავლულებმა, სიბრძნესთან ყველაზე მეტი სიახლოვე ფილოსოფიას დააკისრეს, რაც საკუთრივ ფილოსოფიის ცნებაშიც აისახა. ამაზე არ დავობენ. სხვა საქმეა, საუბარი ხედვას რომ ეხებოდეს და ვინც ფილოსოფიურ, ან საერთოდ რომელიმე „ხედვას“ უფრო მაღლა დააყენებს, მაშინ საყვედურიც გამართლებული იქნებოდა.

ბ) წერილის ავტორი იმოწმებს ეღუარდ იუნგის ცნობილ მოსაზრებას: „რაც ამაღლებს ისტორიკოსს, ის ამდაბლებს პოეტს“ და იქვე ამატებს: „იქნებ ნახევრად ხუმრობით ჩვენც გვეთქვა — რაც ამაღლებს ფილოსოფოსს, ამდაბლებს პოეტს“ [5, გვ. 127]. საქმე რომ ხუმრობაზე მისულა, ეს სიმართლეა და იმავე გვერდზე ჩანს: „და მაინც, პოეზია და ფილოსოფია გაცილებით ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე სიბრძნის სხვა დარგები. სწორედ რუსთაველი ამტკიცებს, პოეტური აზრი ისევე რომ არ გამორიცხავს ფილოსოფიურს, როგორც ფილოსოფიური პოეტურს“. ეს სიტყვებიც თ. ჭილაძეს ეკუთვნის და მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მისი ეს მოსაზრება ვერაფრით ვერ შეუთავსდება ცოტა ზემოთ მისივე „ნახევრად ხუმრობით“ ნათქვამს.

უნდა ითქვას ისიც, რომ იუნგის ახლა აღნიშნული თვალსაზრისის ბოლომდე ერთგული როდია თ. ჭილაძე. ცოტა უფრო ადრე იგი აღნიშნავს: „რუსთველოლოგები, საერთოდ, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც უფრო დიდია მეცნიერი, მით უფრო ნამდვილი პოეტია, რამდენადაც პოეზია არის მდგომარეობა სულისა, ის იღუმალი კონტაქტი, შეგრძნება სამყაროსი, იმ საიდუმლო ნიშანთა დანახვის, შემჩნევის უნარი, რომელიც ერთმანეთის გვერდით აყენებს შექსპირს, კოლუმბს და კობერნიკს“ [5, გვ. 121]. ამ ვრცელი ამონაწერიდან ჩვენთვის მთავარია ავტორის განცხადება — „რაც უფრო დიდია მეცნიერი, მით უფრო ნამდვილი პოეტია“. როგორც ჩანს თ. ჭილაძეს ან ეს ნათქვამი დაავიწყდა, ან კიდევ ისტორია არ მიაჩნია მეცნიერებად (ხომ ეთანხმება იუნგს — „რაც ამაღლებს ისტორიკოსს, ის ამდაბლებს პოეტს“).

გ) თ. ჭილაძის აზრით — ჩვენი მკვლევარები „თითქოს განგებ ივიწყებენ იმ ფაქტს, რომ რენესანსი კულტურულ-ლიტერატურული მოვლენა იყო და არა ფილოსოფიური, უფრო ზუსტად — არათეოლოგიური“ „[5, გვ. 149]. იქ, დაზუსტება საქმეს ვერ უშველის, ავტორმა, სრულიად შეგნებულად, ფილოსოფია კულტურას ჩამოაცილა. კულტურა კი თავის არსებაში აუცილებლად შეიცავს გარკვეულ ფილოსოფიურ ასპექტს. აქედან გამომდინარე — გაუგებარი და გაუპართლებელია საკითხის ასე დაყენება, კულტურისა და ლიტერატურის ფილოსოფიისადმი ასე დაპირისპირება.

ახლა იმის შესახებ, უნდა იკვლიონ თუ არა ფილოსოფიის პოზიციიდან ფილოსოფოსებმა მხატვრული შემოქმედება. დღემდე ეს, ყოველ შემთხვევაში კულტურულ ერებში მაინც, საეჭვო და სადავო არასოდეს ყოფილა. სწორედ ამის გამო, ქართველმა ფილოსოფოს-მკვლევარებმა უნდა იკვლიონ ქართული ხელოვნება, ქართული ლიტერატურა, და საერთოდ ქართული კულტურა, რათა თვითრეფლექსია მოვახდინოთ. ამგვარ თვითრეფლექსიაზე დაფუძნებით, რომელიც ყველაზე სრულყოფილად ფილოსოფიაში ხორციელდება, უნდა გამოვიკვლიოთ ქართული ეროვნული ხასიათი. სწორედ ამ გზით შეიძლება ავიცილოთ ის შეცდომები, რომლებიც თან ახლავს ეროვნული ხასიათის თავისებურების კვლევას, როცა ჩვენეულ სპექციფიკურად მიჩნეულია ის, რაც ჩვენზე მეტად სხვა ხალხებისათვის როდია დამახასიათებელი. ამგვარი კვლევა აუცილებელია თუნდაც იმის გამო, რომ, დიდ მხატვრულ ქმნილებებში, სინამდვილის ფილოსოფიური მსოფლგანცდა მხატვრულ ხედვაშია გარდატეხილი, რასაც, როგორც ვნახეთ არც თ. ჭილაძე უარყოფს.

ყველაფერი, რაც აქ ითქვა კარგად აქვთ გაანალიზებული ქართველ ფილოსოფოსებს და მით უფრო გასაკვირია თ. ჭილაძის პოზიცია. ნიკო ჭავჭავაძე აღნიშნავს: „ამიტომაც არის რომ ჭეშმარიტ კერძომეცნიერულ ცოდნას, მაღალზნეობრივ ქცევასა და მაღალმხატვრულ შემოქმედებაში ფილოსოფია გამოკრთის ხოლმე. ამიტომაც არის შესაძლებელი და აუცილებელი, რომ ფილოსოფია იყოს განზოგადება არა მარტო კერძომეცნიერული შემეცნებისა, არამედ აგრეთვე კაცობრიობის ზნეობრივი და მხატვრული განვითარებისა, ამ განვითარების საფუძვლად მდებარე შემეცნებითი და შეფასებითი ტენდენციებისა“ [7, გვ. 21]. თუკი უარს ვიტყვით ჩვენ ამგვარ კვლევაზე, მაშინ სავალალო შედეგებამდე მივალთ: „რა თქმა უნდა, ფილოსოფიაზე არ შეიძლება ვიმსჯელოთ ცალკეული, ცხოვრებას მოწყვეტილი ფილოსოფიური ნაწერების მიხედვით, ისევე როგორც პოეზიაზე ვერ ვიმსჯელებთ ცალკეული უსუსური ლექსის მიხედვით. ფილოსოფიაზე უარის თქმა არსებობდა და ადამიანის მიერ ცხოვრების გააზრებაზე უარის თქმა“ [11, გვ. 63].

ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ თამაზ ბუაჩიძის პატარა წერილი, რომელიც ვალაკტიონის ერთი ლექსისადმი მიძღვნილი და სადაც მშვენივრადაა ნაჩვენები „გენიალურ ფილოსოფოსთან“ (ჰეგელთან) „გენიალური პოეტის“ „შეხვედრა“, რაც გახდა საფუძველი „ფილოსოფიური ლირიკის შესანიშნავი ნიმუშის დაბადებისა“ [2, გვ. 109—111]. ან კიდევ ზურაბ კაკაბაძის წერილები გავიხსენოთ, რომლებშიც ფილოსოფიის პოზიციიდან შეფასებულია კამიუს, კაფკას და კიდევ სხვათა შემოქმედება, ფელინის, ანტონიონის, კუბრიკის ფილმები [3]. არა გვგონია რაიმე ეზარალოთ ვალაკტიონის, კამიუს, კაფკას... შემოქმედებას ამგვარი კვლევა-ძიებებით.

დასასრულს კი შეიძლება აღვნიშნოთ: რუსთაველის მსოფლმხედველობის განხილვა და შეფასება ფილოსოფიის პოზიციიდან, ქართული ფილოსოფიის საერთო საქმეა და აქედან გამომდინარე ძნელი არაა დაინახოს მკითხველმა თუ როგორ „გადაუსვა“ ყველაფერს ამას ხაზი.. თ. ჭილაძემ რუსთაველზე ზრუნვისა და გამოქომაგების საბაბით. საჭიროებს თუ არა ამგვარ დაცვას რუსთაველი — ეს უკვე სულ სხვა საქმეა!

2. თ. ჭილაძის წერილში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი არეოპაგიტულ მოძღვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნუცუბიძე-პონიგმანის თეორიის შემდეგ, ქართველ მკვლევართა ინტერესი არეოპაგიტიკისადმი ერთიორად გაიზარდა, და ეს ბუნებრივიც იყო: ქართველი მოღვაწე — პეტრე იბერი, შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეოლოგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების ყველაზე შესაძლებელ ავტორად იქნა მიჩნეული. ქართულ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა, როგორც ფსევდო-დიონისეს ფილოსოფიური სისტემის შესახებ, ისე მის მიმართებაზე რენესანსის მსოფლმხედველობასთან და მის მნიშვნელობაზე რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ გატარებული ეთიკური თვალსაზრისისათვის.

ა) რახან არსებობს ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის თეორია, ქართველი მკვლევარებისაგან ამ თეორიის აღიარებას ან არ აღიარებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თ. ჭილაძემ ეს საკითხი ასე განაგრძო და წარმოადგინა: „იდენტურობის“ თეორიის აღიარება, არეოპაგიტიკის დაკავშირება რენესანსთან, დაბოლოს: არეოპაგიტიკის რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირითად წყაროდ გამოცხადება. რა

თქმა უნდა, ყველაფერი ეს „ფილოსოფოს-რუსთველოლოგების“ სახელებთანაა დაკავშირებული.

თ. ჭილაძის შენიშვნით, „იდენტურობის ამბავს“, „ასე მხურვალედ დაუჭირა მხარი ზოგიერთმა „ფილოსოფოს-რუსთველოლოგმა“ და ამის საფუძველზე შეიქმნა ფსევდო-დიონისეს კულტი რუსთველოლოგიაში: „ყველა, ვინც ამ კულტს აღიარებს, იძულებული გახდება, ანდა, ბოლოს და ბოლოს, უეჭველად მივაიქამდე, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე ილაპარაკოს, როგორც რენესანსული იდეების შემოქმედზე“ [5, გვ. 149]. უნდა აღინიშნოს, რომ შ. ნუცუბიძის მიერ წამოყენებულ „იდენტურობის“ თეორიას „ფილოსოფოს-რუსთველოლოგთაგან“ მხოლოდ ერთი — შ. ხიდაშელი უჭერს მხარს „მხურვალედ“ და სხვა „ზოგიერთებში“ ვის გულისხმობს ავტორი ჩვენთვის გაუგებარია. მაგრამ აქ მთავარი მაინც ისაა, რომ თურმე საკუთრივ თ. ჭილაძეც ეთანხმება „იდენტურობის“ თეორიას: „პირადად მე შ. ნუცუბიძის ეს მეტად მნიშვნელოვანი შეხედულება სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია (იქვე). როგორც ვხედავთ, ის რის აღიარებაც „ფილოსოფოს-მკვლევარებს“ არც თუ მაინცდამაინც მოუწონა, საკუთრივ თ. ჭილაძეს „სრულ ჭეშმარიტებად“ მიაჩნია. ამასთანავე, თ. ჭილაძის მიერ მიუღებელ საკითხთა (აროპაგეტიკის გავლენა რენესანსის მსოფლმხედველობაზე და მისი მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანისათვის“) გვერდით, „იდენტურობის“ თეორია ყველაზე სადავოა.

საეჭვოდ მიგვაჩნია თ. ჭილაძის განცხადება „იდენტურობის“ თეორიის „სრულ ჭეშმარიტებად“ მიჩნევის თაობაზე. ძნელი დასაჯერებელია, რომ ვისაც „სრულ ჭეშმარიტებად“ მიაჩნია „იდენტურობის“ თეორია, ფსევდო-დიონისეს უწოდოს სქოლასტიკოსი და კოსმოპოლიტი. სინამდვილეში ხომ არეოპაგეტიკა არც სქოლასტიკური მოძღვრებაა და არც კოსმოპოლიტური. ეს განცხადება წერილის ავტორის მხრიდან რომ არასანდო უნდა იყოს, ჩანს მისი შემდეგი მსჯელობიდანაც. როგორც კი განაცხადებს თ. ჭილაძე, რომ შ. ნუცუბიძის ეს „შეხედულება“ „სრულ ჭეშმარიტებად“ მიმაჩნიაო, მაშინვე იწყებს დასაბუთებას: თუნდაც ასე რომ იყოს, „როგორმე შეგურიგდეთ იმ ამბავს“, რომ პეტრე იბერი უცხო მხარეში იყო და ქართული არაფერი ვააჩნდაო, „ამ შეხედულებას კატეგორიულად იცავდა კ. კეკელიძე“ [5, გვ. 150]. ეს სიმართლეა, მაგრამ აკად. კ. კეკელიძე უპირველესად მთელი „კატეგორიულობით“ უარყოფდა სწორედ „იდენტურობის“ თეორიას და თ. ჭილაძის მოხმობილ საკითხს უფრო სასხვათაშორისოდ შეეხო. ასე რომ, კ. კეკელიძის თვალსაზრისისადმი ანგარიშის გაწევა არც მაშინ იქნებოდა ურიგო, როცა თ. ჭილაძემ „სრულ ჭეშმარიტებად“ მიიჩნია „იდენტურობის“ თეორია¹.

კ. კეკელიძე ქართული ფილოლოგიის ერთი დედაბოძია და მისი დამსახურება ჩვენი კულტურის წინაშე განუზომელია. მაგრამ სახელოვანი მეცნიერი ხომ გაიკვირვებდა მომავალ თაობებს ყველა მისი მოსაზრება უკრიტიკოდ რომ მიეღოთ. მითუმეტეს, რომ თავის დროზე ეს მოსაზრება არ გაიზიარა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა, ასევე სახელოვანმა და მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერმა [10, გვ. 46].

¹ უტარდასაღებია ისიც, რომ თ. ჭილაძე დუმს პონიგმანის ანალოგიურ თვალსაზრისზე და ამასთან „იდენტურობის“ თეორიას, ხან „შეხედულების“, ხან კიდევ „ამბავის“ სახელებით იხსენიებს.

ჩვენის მხრივ დავამატებდით: პეტრე იბერის ბიოგრაფია, პალესტინაში მისივე აშენებული ეკლესიის ნანგრევებზე აღმოჩენილი ქართული წარწერები და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი, რომლებიც პეტრე იბერის ერთობ ქართულ საქმიანობაზე მიუთითებენ, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ: თუკი საბოლოოდ გამართლდება ნუტუბიძე-ჰონიგმანის თეორია, არავითარი საფრთხე არ არსებობს იმისა, რომ პეტრე იბერის აზროვნების სტილი, მისი მსოფლმხედველობა და ეროვნული მრწამსი არაქართულად იქნეს მიჩნეული [9, გვ. 10].

ახლა რაც შეეხება საკითხს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სქოლასტიკოსობის შესახებ, რასაც წერილში ხშირად იმეორებს თ. ჭილაძე. ეს მხოლოდ უბრალო განცხადებაა. სინამდვილეში კი ფილოსოფიის ისტორიის ავტორიტეტულ მკვლევარებს (რიტერი, ცელერი, ვინდელბანდი) ფსევდო-დიონისე არეოპაგელი სქოლასტიკოსად არ ჩაუთვლიათ. არადა ეს ავტორები ამ საკითხში სანდონი არიან. მაგრამ მთავარი საბუთი ფსევდო-დიონისეს არასქოლასტიკოსობისა საკუთრივ არეოპაგეტიკაა, რომელიც არ აკმაყოფილებს სქოლასტიკის არც ერთ ძირითად პრინციპს (არისტოტელიზმი, ფილოსოფიის თეოლოგიის მხეველად გამოცხადება...).

სწორედ რომ საკითხის არცოდნა ვახდა ზოგიერთი გულუბრყვილო დასკვნის საფუძველიც. სახელდობრ, დანტეს მიერ „ღვთაებრივ კომედიასი“, სამოთხეში „საშუალო საუკუნის სქოლასტიკის მთავარი დამცველის“ — თომა აქვინელის გვერდით ფსევდო-დიონისე არეოპაგელის დასახელება, თ. ჭილაძეს ამ უკანასკნელის სქოლასტიკოსობის უტყუარ საბუთად მიაჩნია [5, გვ. 162]. თუ ვიქნებით ბოლომდე თანმიმდევრული, მაშინ ამ ლოგიკით რუსთაველიც სქოლასტიკოსი გამოგვივა და აი რატომ: თ. ჭილაძე აღნიშნავს, რომ რუსთაველის პორტრეტთან ერთად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის იმავე კედელზე „ქრისტიანული ეკლესიის ორი ვარსკვლავის სურათიცაა — იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლისა...“ [5, გვ. 134]. ალბათ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა — იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის პორტრეტებს შორის ჩახატულია რუსთაველის პორტრეტიც. მაგრამ ეს არაა აქ არსებითი. მთავარი ისაა, რომ იოანე დამასკელი და მაქსიმე აღმსარებელი, ქრისტიანული ეკლესიის ეს „ორი ვარსკვლავი“, უპირველესი სქოლასტიკოსები იყვნენ და სქოლასტიკის დაწყებას სწორედ იოანე დამასკელის სახელს უკავშირებენ.

ბ) ქართველ მკვლევარებს განსაკუთრებით აინტერესებთ რუსთაველის მიმართება არეოპაგეტულ მოძღვრებასთან, რომელსაც რამდენიმე ასპექტი გააჩნია. თუ ჭილაძე საერთოდ უარყოფს არეოპაგეტიკის რაიმე მნიშვნელობას რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის და აღნიშნავს: „ერთადერთი მისი ხსენება“ პოემაში „ძვირად დაუსვეს ჩვენმა მკვლევარებმა რუსთაველს“ [5, გვ. 148]. აქ, არა გვეგონია მხოლოდ „ხსენებაში“ იყოს საქმე. ზურაბ კიკნაძე წერს „საყოველთაოდ მიღებულია ის აზრიც, რომ პოემას არეოპაგეტული მოძღვრების ძლიერი კვალი ატყვია. განსვენებულმა აკად. შ. ნუტუბიძემ ცხადყო ქართული ფილოსოფიური აზრის განსაკუთრებული ინტერესი ამ პრობლემატიკისადმი. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ამ საიდუმლოებით მოცული წიგნების ავტორის ხსენება რუსთაველის პოემაში. „ბრძენი დივნოსის“ ხსენებას ამართლებს თვით პოემის დედაარსი (ცალკეული გამონათქვამების გარდა), მასში გატარებულია ფილოსოფიურ-ეთიუ-

რი აზრი, რომ ბოროტება უხანოა (თვით ქართულ თქმაშიც „უხანო“ ყოველთვის ბოროტს გულისხმობს), რომ მას თავისთავადი არსებობა არა აქვს და მხოლოდ არასრულყოფილი სიკეთისაგან იშვება“ [4, გვ. 119].

რამდენადაც რუსთაველი ერთობ იშვიათად მიმართავს ავტორიტეტებს, ამდენად „ბრძენი დიენოსის“ მხოლოდ „ხსენებაც“ უკვე მნიშვნელოვანი ფაქტია. მაგრამ თავისთავად ეს მნიშვნელოვანი ფაქტიც კი მეორეხარისხოვანი გახდება, როცა ვნახავთ რაში იმოწმებს რუსთაველი ფსევდო-დიონისეს. რუსთაველის თანახმად, სიკეთე მარადიულია და ბოროტება არასუბსტანციური („ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს...“) და ამ საკითხში იმოწმებს არეოპაგელს. აღნიშნული კი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უძირითადესი საკითხია და რამდენჯერაც არ უნდა ვთქვათ — „რუსთაველს შეუძლია თავისი აზრი სხვას მიაწეროს“ და მის საძებნელად „ჩინეთში გაგზავნოს მკვლევარი“ [11, გვ. 110], მაინც გაგვიჭირდება გამოსავლის პოვნა, რადგანაც სიკეთისა და ბოროტების მიმართების იმგვარი გაგება, როგორსაც რუსთაველი იმ დამოწმებისას თუ „ხსენებისას“ გვაწვდის, წმინდად არეოპაგიტულია (არეოპაგელს კი ეს პრინციპი პროკლესაგან აქვს აღებული). აქედან გამომდინარე, საჭიროა კი რუსთაველისეულად გამოვაცხადოთ ისეთი აზრები, რომლებიც საუკუნეებით აღრე სხვებს ჰქონდათ გამოთქმული.

მკვლევართა ერთი ნაწილი (მათ შორის თ. ჭილაძეც), მიუთითებს ბოროტებებს შესახებ რუსთაველისეული თვალსაზრისის განსხვავებაზე არეოპაგიტის თვალსაზრისისაგან ამავე საკითხზე. ამ მოსაზრებათა თანახმად, არეოპაგიტიაში ბოროტების რაიმე სახით არსებობა უარყოფილია, რუსთაველთან კი არა, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ ექნეოდა მის წინააღმდეგ ბრძოლას („ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“). ეს მოსაზრება არაა სწორი. არეოპაგიტულ მოძღვრებაში ბოროტება რაიმე სახით რომ არ არსებობდეს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა თუ რატომ დაუთმო ასე დიდი ადგილი ფსევდო-დიონისემ ბოროტების არარსებობის დასაბუთებას [1, §§ 18—35]. ამ დასაბუთების საფუძველზე კი არეოპაგიტულ მოძღვრებაში გაკეთებულია შემდეგი დასკვნები: ბოროტება არის „მოკლება კეთილისაგან“, „ნაკლულევანება კეთილისა“, „ბოროტსა ყოფაა შემთხუვეითად განიწესებოდნენ“ და ა. შ. ყველაფერი ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ბოროტება არეოპაგიტიაშიც არსებობს, მაგრამ ის მარადიული კი არაა, როგორც სიკეთე, არამედ შემთხვევითია. ასე რომ, ბოროტების იმგვარი გაგება, როგორც რუსთაველთან გვხვდება და რომლის ძლევაც შესაძლებელია, გამოკვეთილადაა მოცემული არეოპაგიტიაშიც [1, გვ. 44—57]. ფილოსოფიის ენაზე ეს არის მსჯელობა ბოროტებაზე, როგორც არასუბსტანციურ მოვლენაზე, როგორც შემთხვევითზე.

საკითხის სიცხადისათვის თემას ცოტა ხნით გადავუხვევთ. საკუთრივ რამ განაპირობა შუა საუკუნეების აზროვნებაში სიკეთისა და ბოროტების დამოკიდებულებსადმი განსაკუთრებული ინტერესი? ამ კითხვაზე პასუხისას უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების მსოფლმხედველობრივ სისტემებში ძირითადად დამკვიდრდა მონისტური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც მთელი სინამდვილის საფუძველია (თუ შემქმნელი) ერთი — ყოვლად სრულყოფილი ღმერთი. რაც არსებობს სინამდვილეში, არსებობს ღმერთის მეშვეობით. მაგრამ ფაქტია, რომ

სინამდვილეში არსებობს ბოროტებაც და იბადება კითხვა: ბოროტება ღმერთისაგან მომდინარეობს თუ მას სხვა საწყისი გააჩნია? თუკი ბოროტება ღმერთის მიერაა შექმნილი, მაშინ რა უშლიდა სრულყოფილსა და ყოვლისშემძლე ღმერთს ბოროტება რომ არ შეექმნა? ამ კითხვაზე სხვადასხვანაირად პასუხობდნენ შუა საუკუნეების მოაზროვნეები, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ბოროტებას უსაწყისოდ — არასუბსტანციურად მიიჩნევდნენ. მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, ერთი ბოროტებას გარკვეულ პოზიტიურ მნიშვნელობას მაინც ანიჭებდნენ და მის დაშვებას აუცილებლად მიიჩნევდნენ, კერძოდ, სიკეთის გამოსამჟღავნებლად (მაგ. პლოტინი); მეორენი ბოროტების არსებობის ფაქტს იმით ხსნიდნენ, რომ საერთოდ გამოცდის გარეშე არაფერი არ ივარგებს. ბოროტება კი ღმერთმა ადამიანის გამოცდის მიზნით გააჩინა (იოანე დამასკელი). უნდა ითქვას, რომ იოანე დანასკელის ეს თვალსაზრისი მოცემულ კითხვაზე, შუა საუკუნეების აზროვნებაში ერთ-ერთი მარჯვე, თუმცა არა საბოლოო პასუხია.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის თვალსაზრისი, რომელიც ბოროტებას უსაწყისოდ მიიჩნევს და აუქმებს მის ყოველგვარ მნიშვნელობას (პროკლე). ეს თვალსაზრისი, რომელიც ისტორიულად შეფასებული პროგრესულად, ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში შემოიტანა და დაამკვიდრა ფსევდო-დიონისე არეოპაგელმა. ამ თვალსაზრისის პროგრესულობაში მდგომარეობდა, რომ ბოროტების უსაწყისოდ და შემთხვევითად გამოცხადებით, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი დაძლევის შესაძლებლობას უშვებდა. ყოველივე ეს კი საკუთრივ ადამიანის აქტიურობას უხსნიდა გზას. ბოროტების ამნაირ გაგებას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჰუმანიზმის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. რუსთაველი ბოლომდე იზიარებს ამ თვალსაზრისს, მიუთითებს მის წყაროზე (ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე) და ხორცს ასხამს კიდევ მას პოემაში.

გ) აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ სტროფმა — „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ შესახებ. თ. ჭილაძე შენიშნავს: „ფილოსოფიურ ცნებასა და პოეტურ მეტაფორას შორის შეიძლება არსებობდეს რაღაც კავშირი, მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს იდენტურობა. შეიძლება ზოგიერთი ცნება, მაგალითად, უკვე აღნიშნული „მზიანი ღამე“ ფილოსოფიური თუ თეოლოგიური მოძღვრების წიაღში იყოს წარმოშობილი, მაგრამ ვეფხისტყაოსანში გადმოსული უკვე მხოლოდ და მხოლოდ პოეზიის სამყაროს ეკუთვნის, პოეტურ მეტაფორადაა ქცეული“ (6, 128. ხაზი წერილის ავტორს ეკუთვნის). სრული სიმართლეა! რაც შეეხება კვლევა-ძიებას, მისი მიზანია დაადგინოს, კერძოდ რომელი „ფილოსოფიური თუ თეოლოგიური მოძღვრების წიაღშია“ წარმოშობილი ესა თუ ის ცნება, რომელიც შემდგომ პოეტურ მეტაფორად ქცეულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რატომ უნდა ვიყოთ წინააღმდეგი ამგვარი კვლევა-ძიებისა? თავისთავად ხომაა საინტერესო, თუ რომელი მოძღვრების წიაღშია მოცემული ამა თუ იმ ცნების, მეტაფორის საფუძველი. რაც შეეხება „მზიან ღამეს“, იგი რომ პოეტური მეტაფორაა და ერთ-ერთი „უბრწყინვალესი პოეტური სახე“ პოემაში, ეს სადავო არაა, და არა გვგონია ვინმე სერიოზულად ამის საწინააღმდეგოს ფიქრობდეს.

რომელი „ფილოსოფიური მოძღვრების წიაღშია“ მოცემული „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ ცნებების შინაარსი? დავიწყოთ რუსთაველთან,

იმავე სტროფში მოცემული „ერთარსება ერთის“ ცნებით. „ერთარსება ერთში“, შეიძლება იგულისხმებოდეს, როგორც ქრისტიანულად (ე. ი. რელიგიურად), ისე ნეოპლატონურად (ე. ი. ფილოსოფიურად) გაგებული ღმერთი. მაგრამ რადგანაც, მომდევნო სტროფში ნათქვამია, რომ მზე ღმერთის ხატად წარმოადგინეს წინამავალმა ფილოსოფოსებმა („ვის ხატად ღმერთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი...“), აქედან გამომდინარე რატომაა დაუშვებელი რუსთაველის „ფილოსოფოსნი წინანიში“ ნეოპლატონიკოსები ვივარაუდოთ. ნეოპლატონიკოსებთან ხომ ღმერთი გამორჩეულად ისეა გაგებული და დახასიათებული, როგორც ეს „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებულ სტროფშია წარმოდგენილი: „ყველგან და ამავე დროს არსად მყოფი“ — პლოტინთან; „უხილავი ნათელი“, „ნათელი ნისლი“ — ფსევდო-დიონისესთან; „მიუღწეველი სიცხადე“ — იოანე სკოტ ერიუგენასთან (ერიუგენაც ნეოპლატონურ ფილოსოფიას მიყვება).

თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ რუსთაველის „ერთარსება ერთი“, „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ ერთი და იგივეა და გამოხატავს ერთ ღმერთს, რომლის ხატიცაა მზე და შვეულარებთ ამას ნეოპლატონიკოსების უკვე აღნიშნულ თვალსაზრისს, მაშინ რუსთაველის „ფილოსოფოსნი წინანიში“ უფრო სწორი იქნება ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსები რომ ვიგულისხმოთ. აქედან კი, არ უნდა იყოს ძნელი გასაგები, თუ საიდან მომდინარეობს პოემის „ერთ-ერთი უბრწყინვალესი პოეტური სახის შინაარსი“.

როგორც უკვე ითქვა — თ. ჭილაძე ფსევდო-დიონისეს უწოდებს „სქოლასტიკოსს“, „კოსმოპოლიტს“, „მისტიკოსს“... და მის მსოფლმხედველობას არც თუ ისე მნიშვნელოვნად მიიჩნევს: ფსევდო-დიონისე ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის გამაერთიანებელია „ისტორიამ მასზე მეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, არანაკლები თეოლოგების სახელები იცის, იმავე მიზნით რომ იღვწოდნენ და მეტად მნიშვნელოვან შედეგსაც აღწევდნენ“ [5, გვ. 149]. ეს სიმართლეა, მაგრამ ისტორიაში ძნელია დაასახელო მეორე ისეთი ავტორი, რომელსაც ასეთი წარმატებული შედეგი ჰქონდა ამ ორი უდიდესი მოძღვრების გაერთიანებისას. ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის სინთეზით არეოპაგეტიკამ უდიდესი როლი შეასრულა კულტურის ისტორიაში. ეს აღიარებული ფაქტია და სწორედ ამის გამოა მიჩნეული ეს მოძღვრება რენესანსის ერთ-ერთ ძირითად მსოფლმხედველობრივ საფუძვლად (და არა მხოლოდ ქართველი მკვლევარებისათვის, როგორც ამას კატეგორიულად აცხადებს თ. ჭილაძე). არ იქნება ზედმეტი იმის აღნიშვნაც, რომ არეოპაგეტიკულ მოძღვრებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თანამედროვეობის გამოჩენილი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი. აღარაფერს ვიტყვით ალექსეი ლოსევის შესახებ, ვისი დადებითი აზრიც არეოპაგეტიკის მსოფლმხედველობის პროგრესულ მნიშვნელობაზე საყოველთაოდაა ცნობილი.

3. თ. ჭილაძე თავისი წერილის დასასრულს საუბრობს ქართულ რენესანსზე, რომელიც „...აღიარებული ფაქტია არა მარტო ჩვენი მკვლევარების, არამედ უცხოელი მეცნიერების მიერ“ და ქართული რენესანსის შესახებ „...ადრე უამრავ და უამრავ(!) უცხოელ მეცნიერს გამოუთქვამს მსგავსი მოსაზრება“ [6, გვ. 147]. ავტორი — თ. ჭილაძე, ქართული რენესანსის საკითხებზე იმოწმებს ჩეხ ვაცლავ ჩერნის, იტალიელ მარიო პიკის, პროფესორ მ. გუკოვსკის (ზოგადად აღორ-
8. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1985, № 1

დინების საკითხში) და ერთხელაც(!) არ ახსენებს შ. ნუცუბიძეს. ნიშანდობლივია, რომ აქ თ. ჭილაძე ღუმს ა. ლოსევის შესახებაც, ვინაც შ. ნუცუბიძის დამსახურება აღმოსავლური (რაც შ. ნუცუბიძესთან საბოლოოდ ქართულ რენესანსზეა დაყვანილი) რენესანსის თეორიის შექმნაში საგანგებოდ აღნიშნა.

წერილის ავტორი ისე დაბეჯითებით საუბრობს ქართულ რენესანსზე, თითქოსდა ცოტა ადრე ქართული რენესანსის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები კატეგორიულად არ უარეყოს. თ. ჭილაძე ქართული რენესანსის საკითხში ქართველ მეცნიერთაგან იმოწმებს ივანე ჯავახიშვილს. დიდი მეცნიერის აზრი აღნიშნულ საკითხზე საყოველთაოდაა ცნობილი. მსგავსი მოსაზრება გვხვდება კონსტანტინე გამსახურდიასთანაც, მაგრამ ქართული რენესანსის (რომლის მწვერვალსაც რუსთაველის შემოქმედება წარმოადგენდა) ერთიანი, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული თვალსაზრისი შ. ნუცუბიძის სახელთანაა დაკავშირებული. თუკი ვინმეს, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, ქართული რენესანსის თვალსაზრისი გაუზიარებია, მას შ. ნუცუბიძის სახელი არასოდეს დაგიწყებია. ეს კი ნამდვილად არის „აღიარებული ფაქტი“ და გაუგებარია ამაზე ღუმილი რით უნდა იყოს განპირობებული. ისევ და ისევ „ფილოსოფოს-რუსთაველოლოგების“ კვლევა-ძიებით მიღებული შედეგების ზედმეტად გამოცხადებით ხომ არა?

რაც შეეხება „უამრავ და უამრავ უცხოელ მეცნიერებს“, რომელთაც ქართული რენესანსის შესახებ თავიანთი დადებითი მოსაზრება გამოუთქვამთ, სასურველი იქნებოდა ზოგიერთი მათგანის დასახელებაც. ამით ხომ ქართველი მკითხველი ჩვენი კულტურის, მათთვის ჯერ კიდევ უცნობ დამფასებლებს გაიცნობდა.

4. გვინდა მოკლედ შევეხოთ ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. ეს საჭიროა, რადგანაც ნეოპლატონიზმის არასწორი შეფასებიდან მომდინარეობს ბევრი შეცდომა, როცა საუბარი ეხება რენესანსის საკითხებს. ქართველი მკვლევარების ერთი ნაწილი ნეოპლატონური ფილოსოფიის შესახებ დღესაც ისე მსჯელობს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 30-იანი წლების საბჭოურ ფილოსოფიაში. ნეოპლატონიზმის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება, საბედნიეროდ, ისტორიის კუთვნილებაა და ამის ფონზე გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი ჩვენი მკვლევარის საწინააღმდეგო პოზიცია. ნეოპლატონური ფილოსოფიისადმი კუთვნილი ადგილის აღდგენაში შ. ნუცუბიძის დამსახურება ძალზე დიდია. არც ისაა შემთხვევითი, რომ ა. ლოსევმა შ. ნუცუბიძესა და მის მიმდევრებს ეს ღვაწლი სხვა საკითხებთან ერთად „ფილოსოფიურ-ისტორიულ“ გმირობად ჩაუთვალა.

ნეოპლატონური ფილოსოფიის კრიტიკოსები უგულვებელყოფენ ამ ფილოსოფიური სისტემის დადებით მნიშვნელობას, როგორც ქართული, ისე საკაცობრიო კულტურისათვის.

ა) ნეოპლატონიზმის დიდ მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის აღიარებდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები — ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, შ. ნუცუბიძე... ახლა ისტორიასაც გადავხედოთ. შუა საუკუნეებში ინტენსიურად ითარგმნება ანტიკური კულტურული მემკვიდრეობა ქართულ ენაზე. სათარგმნელად შერჩეული ფილოსოფიური ლიტერატურა უპირატესად ნეოპლატონურია: არეოპაგიტიკა, ჰერმიასი, ნემესიოს ემესელი, პროკლე. პროკლეს „კავშირის“ პეტრიწისეული თარგმანი და მასზე დართული

მისივე კომენტარები წმინდად ნეოპლატონური ხასიათისაა და ამასთანავე ღრმა შინაარსის შემცველი ორიგინალური თხზულებაა. ფილოსოფიის ისტორიის სპეციალისტებისათვის იოანე პეტრიწი შუა საუკუნეების გამოჩენილი ფილოსოფოსია. თუ დავუჭერებთ ჩვენ ზოგიერთ მკვლევარს, შუა საუკუნეებში ქართველი სწავლულების ეს მთარგმნელობითი თუ შემოქმედებითი საქმიანობა ფილოსოფიაში არაფრის მომტანი და უსარგებლო ყოფილა. ასე გამოდის, რომ საქართველოს კულტურული აღზევების ხანაში ფილოსოფიური და ლიტერატურული მოღვაწეობა მოწყვეტილი ყოფილა ერთმანეთისაგან. ამ ლოგიკით, სხვა თუ არაფერი, იოანე პეტრიწი — უპირველესი ქართველი ფილოსოფოსი, ქართული კულტურის გარეთ აღმოჩნდება...

ბ) ქართულ კულტურასთან მიმართების გარეშე, საკუთრივ ნეოპლატონიზმს თუ გააჩნია დადებითი მნიშვნელობა კულტურის ისტორიაში? როგორც ჩანს აუცილებელია ზოგადად რაიმეს თქმა ამ უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური სისტემის შესახებ.

ნეოპლატონიზმი, ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლის ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიური სისტემაა, რომელსაც გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა მომდევნო დროის მსოფლმხედველობრივ მიმართულებებზე. გავლენას ადგილი ჰქონდა, როგორც ქრისტიანულ სამყაროში (აქედან ქრისტიანული ნეოპლატონიზმი), ისე მუსლიმანურში (მაგ. სუფიზმზე). საქართველო, რომელიც ოდითგანვე დაკავშირებული იყო ბერძულ-ბიზანტიურ კულტურასთან, ეჭვს გარეშეა, რომ ვერ ასცდებოდა ამგვარ გავლენას. ასე რომ არ ყოფილიყო ის უფრო გასაკვირი არ იქნებოდა?

საკუთრივ ნეოპლატონური ფილოსოფია უპირველესად მნიშვნელოვანია როგორც რენესანსისა და ჰუმანიზმის მსოფლმხედველობრივი საფუძველი². რა ნიშნით ითვლება ნეოპლატონიზმი რენესანსის ერთ-ერთ ძირითად მსოფლმხედველობრივ საფუძვლად? როგორც ცნობილია, რენესანსის ერთ-ერთ მთავარ მომენტს წარმოადგენს ამქვეყნიურისადმი ღირებულების მინიჭება. ქართველი მკვლევარების ერთი ნაწილი ისე გატაცებულია ნეოპლატონიზმის კრიტიკითა და მისი მნიშვნელობის უარყოფით, რომ ხილული სინამდვილის („ტურფასა საბადნაროს“) ღირებულად გამოცხადების ერთადერთ საფუძველს მხოლოდ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში ხედავენ.

ამქვეყნიურის ღირებულად გამოცხადება შეიძლება არ მიიჩნიო რენესანსულ მოვლენად, მაგრამ ამ აღიარების შემდეგ მისი საფუძველი უპირველესად რელიგიურ (კონკრეტულ შემთხვევაში, ქრისტიანობაში) მსოფლმხედველობაში ეძებო, სწორი არაა და აი რატომ: ნებისმიერი მონოთეისტური რელიგიური მსოფლმხედველობის თანახმად ეს ქვეყანა მოსამზადებელი საფეხურია იმქვეყნიური, მარადიული ცხოვრებისათვის. „ქრისტიანული თვალსაზრისის მიხედვით ხომ ღმერთი არის ისეთი აბსოლუტური პიროვნება, რომელიც ყოველგვარ კოსმოსზე აღმატებულია და უსწრებს დროში, რომე-

² ქართველი მკვლევარების გარდა ამის შესახებ იხ. И. П. Медведев, Византийский гуманизм XIV—XV вв., Л., 1976. თავი — „ნეოპლატონიზმი ბიზანტიური ჰუმანიზმის ფილოსოფიური საფუძველი“. აგრეთვე: W. Beierwaltes, Proklos, Grundzüge seiner Metaphysik, Frankfurt a/M, 1965, სადაც ავტორი პროკლეს ფილოსოფიაზე მიუთითებს, როგორც რენესანსის მსოფლმხედველობრივ წყაროზე და აჩვენებს მასი კვლევის აქტუალობას დღევანდელ პირობებში.

ლიც თავისი ნებით და თავის საკუთარი მიზნებისათვის ქმნის სამყაროს არაფრისაგან. მაგრამ ქრისტიანობა, ისევე როგორც მონოთეიზმის სხვა ტიპები (იუდაიზმი ან მაჰმადიანობა) ეფუძნება არა გრძნობად-მატერიალური საგნების პრიმატზე, მითუმეტეს მის იდეალურ განხორციელებაში, არამედ წმინდა სულის პრიმატზე, რომელსაც სრულიადაც არ ექცეოდა ყურადღება ანტიკურობაში...“ (12, 145). აღნიშნულს დავამატებდით, რომ მონოთეისტური რელიგიური მსოფლმხედველობისათვის არსებითაა — კრეაციის პრინციპი, რომელიც არაფრისაგან შექმნას გულისხმობს. არაფრისაგან შექმნილში და წარმავალში კი მარადიული ღირებულებები ვერ იარსებებენ.

ახლა რაც შეეხება ნეოპლატონურ ფილოსოფიას, რომლის ამოსავალი დებულებაა ღმერთის (პირველმიზეზის) და სამყაროს ერთიანობის იდეა (ემანაციის პრინციპის შემოტანით განხორციელებული), რის საფუძველზედაც ღმერთი „მიწაზეა ჩამოყვანილი“. ეს კი — ხილულ სინამდვილეში ღვთაებრივის „ადმოჩენისა“ თუ „დანახვის“ შესაძლებლობას უშვებდა³. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ნეოპლატონიკოსი პლოტინი მატერიის მარადიულობასა და ამის საფუძველზე მარადიული მშვენიერების არსებობას რომ აღიარებდა. მსგავსი თვალსაზრისებითაა გამსჭვალული სხვა ნეოპლატონიკოსების მოძღვრებებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნეოპლატონური ფილოსოფია რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს ხილული სინამდვილის ღირებულად გამოცხადების, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ-ერთ მსოფლმხედველობრივ საფუძველად მაინც. აქ აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს ქრისტიანული მსოფლმხედველობის დიდი დამსახურებისა და უპირატესობის უარყოფას. მაგრამ ეს დამსახურება და უპირატესობა ქრისტიანობისა უფრო სხვა მხრივ მკლავდება და არა იმაში, რომელზედაც ზოგიერთი ქართველი მკვლევარი მიუთითებს, და რაც საკუთრივ ქრისტიანობისათვის უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი იყო. როგორც უკვე ითქვა, ქრისტიანობა „წმინდა სულის პრიმატს ეფუძნება“, რის საფუძველზედაც, უპირველესად, ყურადღება გამახვილებულია ადამიანის — ინდივიდის სულიერ სამყაროზე. ამას ეფუძნება ქრისტიანული ეთიკა, რომელსაც ადამიანის რენესანსული ტიპის თვალსაზრისის ჩამოყალიბებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ ესაა ქრისტიანული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება კულტურის ისტორიაში.

საერთოდ კი, როგორც ქრისტიანობა, ისე ნეოპლატონიზმი, ადამიანის სულიერი მოღვაწეობის აუცილებელი შემადგენელი მხარეები იყო და შუა საუკუნეებში მათი ასე ურთიერთდაპირისპირებულად წარმოდგენა გაუმართლებელი უნდა იყოს. აქ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ „თავდაპირველად ქრისტიანობა და ნეოპლატონიზმი არ წარმოშობილან, როგორც ურთიერთსაპირისპირო მოძღვრებები“ (ე. ცელერი).

დასასრულს კი უნდა აღინიშნოს შემდეგი: ამ ბოლო დროს, ზოგიერთ წერილში, სტატიასა თუ გამოკვლევაში, რუსთაველზე „ზრუნვის“ საბაბით,

³ ქართველ მკვლევართაგან ამ პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შალვა ხიდაშელმა. მის გამოკვლევებში დამაჯერებლადაა ნაჩვენები ნეოპლატონიზმის ვადამწყვეტი როლი ჰუმანიზმის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.



„ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიის პოზიციიდან განხილვა, ცოდნა — ცოდვად, თითქმის დანაშაულადაა გამოცხადებული. ამგვარი „ზრუნვისას“ კი ფილოსოფიის, ფილოსოფიის ისტორიისა და საერთოდ კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე უდავო ჭეშმარიტების პრეტენზიით გამოთქმულია არაკომპეტენტური, დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი მოსაზრებები. როგორც ვნახეთ — თ. ჭილაძის წერილიც — „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ ერთი ამათგანია. ამ სახის უსაფუძვლო მოსაზრებებზე სერიოზული კამათი განპირობებულია იმით, რომ „ჩვენი დუმბილის პასუხად“ „საქმის უცოდინარმა მკითხველმა“ ყველაფერი ეს შეიძლება ერთადერთ და უტყუარ ჭეშმარიტებად მიიღოს, რაც საბოლოოდ ვერ იქნებოდა გამართლებული. სწორედს ამი გამო, ზოგჯერ აუცილებელი ხდება „დუმბილის“ დარღვევა. ჩვენი წერილიც ამ მიზნით დაიწერა.

М. К. МАХАРАДЗЕ

СНОВА О ФИЛОСОФСКОЙ МИРОВОЗЗРЕНИИ РУСТАВЕЛИ

Резюме

В обширном письме поэта Тамаза Чиладзе „Цветение розы“ („ვარდის ფურცლობის ნიშანი“, „Мнатоби“, 1983, № 10—11), помимо других, рассмотрены также вопросы, касающиеся мировоззрения Руставели, грузинского ренессанса, влияние ареопагитики на этическую точку зрения Руставели и вообще философию.

Т. Чиладзе отрицает и считает лишним философский анализ «Витязя в тигровой шкуре» Руставели. На этой основе он упрекает грузинских «философов-руствелологов» из-за философской интерпретации мировоззрения Руставели. Эта точка зрения в основном обусловлена не совсем правильным пониманием автора сущности философии, игнорированием значения ареопагитики — одного из важнейших теолого-философских учений средневековья. По мнению Т. Чиладзе, грузинские философы якобы «видели» в ареопагитике ренессансные идеи только потому, что автором учения считали известного грузинского деятеля V века — Петра Ивера. На самом деле теория «идентичности» (Нуцубидзе-Хонигмана) более позднего времени, чем точка зрения о ренессансном характере ареопагитического мировоззрения. Кстати, точку зрения грузинских философов по этому вопросу полностью разделяет известный знаток античной и средневековой культуры Алексей Лосев.

Т. Чиладзе в письме подерживает идею «грузинского ренессанса», хотя тут же отрицает его теоретические предпосылки, на основе которых акад. Шалва Нуцубидзе выдвинул теорию «грузинского ренессанса». По меньшей мере странно, что автор вообще не упоминает имени акад. Ш. Нуцубидзе.

Т. Чиладзе присуща непоследовательность суждений, встречаются

взаимоисключающие положения, ошибочное понимание основных тенденцией развития философской мысли как средневековья, так и вообще, недопонимание истинной и специфической роли философии и религии в культурной жизни человечества и т. д.

ლიტერატურა

1. არეოპაგეტიკა. ვიმოწმებთ: პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961.
2. ბუაჩიძე თ. ...როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი, „ცისკარი“, 2, 1975.
3. კაკაბაძე ზ. წერილები, თბ., 1972; მასივე, „ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება“, თბ., 1979.
4. კიკნაძე ზ. დიონისესა და კრონოსის გამო „ვეფხისტყაოსანში“, „ცისკარი“, 11, 1969.
5. ჭილაძე თ. ვარდის ფურცლობის ნიშანი, „მნათობი“, 10, 1983.
6. ჭილაძე თ. ვარდის ფურცლობის ნიშანი (გაგრძელება), „მნათობი“, 11 1983.
7. ჭავჭავაძე ნ. ესთეტიკის მეთოდოლოგიისათვის, თბ., 1977.
8. ხიდაშელი შ. რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, თბ., 1981.
9. ხიდაშელი შ. სამკაული და სიქადული ქართველთა, „ცისკარი“, 4, 1969.
10. შერეთელი გ. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
11. ჯიოვიცი ო. კულტურა და ფილოსოფია, „სკოლა და ცხოვრება“, 2, 1983.
12. ჯოხაძე დ. საუბარი პროფესორ ა. ლოსევთან. «Вопросы Философии», I, 1984.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ი ნ ვ ო რ მ ა ც ი ა

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნამუშევრების გამოსავლინებლად 1985 წლისათვის აცხადებს კონკურსს.

კონკურსში გამარჯვებულათვის დაწესებულია ორი მედალი და ფულადი პრემია, თითოეული 200 მანეთის ოდენობით, რომელსაც ყოველწლიურად დეკემბერში ანიჭებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ახალგაზრდა მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის.

მედლები და პრემიები მიენიჭებათ ცალკეულ მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის (მეცნიერულ ნაშრომთა სერიისათვის ერთიანი თემატიკის მიხედვით), აღმოჩენებისათვის, გამოგონებებისათვის.

მედლებისა და პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაიშვებიან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მეცნიერი და სამეცნიერო ტექნიკური თანამშრომლები, მასწავლებლები, სტაჟიორ-მკვლევარები, ასპირანტები, რომელთა ასაკი არ აღემატება 33 წელს.

კანდიდატების წამოყენების უფლება აქვთ:

ა) სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოებს;

ბ) სამინისტროებსა და უწყებებს;

გ) სამრეწველო საწარმოთა და საკონსტრუქტორო ბიუროების ტექნიკურ საბჭოებს.

ორგანიზაციები, რომლებიც წამოაყენებენ კანდიდატებს, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ოქტომბრისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო განყოფილებაში წარწერით „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ძედლის პრემიითურთ მოსაპოვებლად“ წარმოადგინონ:

ა) მოტივირებული წარდგენა, რომელიც შეიცავს ნამუშევრის მეცნიერულ დახასიათებას;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნამუშევრის (ნაშრომთა სერიის), აღმოჩენის ან გამოგონების მასალები 3 ეგზემპლარად;

გ) ცნობები ავტორის შესახებ (ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების, აღმოჩენების, გამოგონებების სია, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, დაბადების წელი, ბინის მისამართი).

ცნობები ტელეფონით: 93-29-86; 93-88-89.

ИСПРАВЛЕНИЕ ОПЕЧАТОК

В статье Д. Д. Тевзадзе «Об интерпретации дескриптивных выражений, входящих в модальные контексты» (Известия АН ГССР, № 3, 1984, стр. 64—77) на стр. 65, в формуле (1), вместо 8 должно стоять 9; на стр. 66, в формуле (10), первый знак отрицания является лишним; на стр. 68—69, в предложениях (25)—(28), вместо тире должен стоять знак равенства; на стр. 74, на восьмой строчке снизу, после слова «утверждение», не хватает знака отрицания; на стр. 76, в формуле (53.1), вместо знака сложения должен стоять знак равенства.

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ სააქტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი
(ჟურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია

6102/96



ფასი 85 კაპ.

ინდექსი 76195